# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 15 თებერვალი, 2007 წელი.

№ 29 (5630)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## უმრავლესობა მემარჯვენეებს კეთილ ნებას უწუნებს

2



აზრი

3

## რას მოუტანს ნატოში შესვლა საქართველოს?

რეფორმა

5

## უსამართლობამ და ფარისევლობამ ისევ დაისადგურა ქვეყანაში



მამულიშვილები



9

## ბუმბერაზთა ჭიდილი – ქვეყნის სასიკეთოდ

ჩვენზე

10

## საქართველო დეპორტირებულთა უფლებებს სტრასბურგში დაიცავს

## „მეამაყება, რომ კომკავშირიდან და ნაცმოძრაობიდან გარიცხული ვარ“

3



„შერისხული“ დეპუტატი ოპოზიციაში გადადის

## ცივი ომის რეანიმაციის დასაწყისის შესაფერისი რიტორიკა

6-7



● საერთოდ, პარლამენტში როცა საკითხი არ აინტერესებთ, მომხსენებელს არც უსმენენ და – ეს არავის უკვირს. მაგრამ ვიცე-სპიკერის ხუმრობის შემდეგ დეპუტატები ჩაწყნარდნენ და სხდომა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა



◎ კანონმდებლები

# უმრავლესობა მემარჯვენეებს კეთილ ნებას უწუნებს

**პოლიციაში მიღების წესი მარტივდება. გუშინ პარლამენტმა განიხილა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები აირჩევენ, ჯარში იმსახურონ თუ პოლიციაში. პოლიციაში ოთხწლიანი მუშაობის შემდეგ, მათ სამხედრო სავალდებულო სამსახური გავლილად ჩაეთვლებათ და უმცროსი ლეიტენანტის წოდებასაც მიიღებენ. მუშაობის დაწყებამდე ისინი პოლიციის ოფიცრის სპეციალურ ორთვიან კურსს გაივლიან.** კანონპროექტის მიხედვით, თუ ოთხწლიანი კონტრაქტი ვადაზე ადრე დაირღვა, ახალგაზრდები კვლავ სამხედრო ვალდებულები გახდებიან. მსგავსი პრაქტიკა უკვე არსებობს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.



ჯემალ კასრაძის ფოტო

კანონმდებლობის თანახმად, პოლიციის სტრუქტურებში მუშაობა დღემდე 27 წლის ასაკიდან იყო ნებადართული. სამუშაოდ არც 35 წელს გადაცილებულთ იღებდნენ. ახალი კანონპროექტის მიხედვით, პოლიციელის ასაკი გაახალგაზრდავდება. გუშინ სესიაზე ამ კანონპროექტის განხილვის შემდეგ სხვადასხვა საკითხების განხილვა დაიწყო, თუმცა დეპუტატებს უკვე არ აინტერესებდათ, თუ რაზე იყო მსჯელობა. მსჯელობა სამოქალაქო კოდექსში შესატან ცვლილებებზე იყო. მომხსენებელი ტრიბუნასთან იდგა, მაგრამ მას არც ერთი დეპუტატი არ უსმენდა. სხდომის თავმჯდომარე მიხეილ მაჭავარიანი ახმაურებულ კოლეგებს შეეხუმრა კიდეც, შესაძლოა, ჟანდარმერიის გამოძახებაც დამჭირდესო.

საერთოდ, პარლამენტში როცა საკითხი არ აინტერესებთ, მომხსენებელს არც უსმენენ და – ეს არავის უკვირს. მაგრამ ვიცე-სპიკერის ხუმრობის შემდეგ დეპუტატები ჩაწყნარდნენ და სხდომა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. ზოგი დეპუტატი განსახილველი საკითხითაც კი დაინტერესდა. უფრო მეტიც, კანონპროექტმა „სააღსრულებლო სამსახურის შესახებ" მემარჯვენეოპოზიციასა და უმრავლესობას შორის დავა გამოიწვია.

საქმე ის გახლავთ, როგორც უკვე ვწერდით, რომ, პრეზიდენტის ინიციატივით, პარლამენტშიშემოსული ამ კანონპროექტით, კომერციული ბანკების სარჩელს სასამართლო ოცი დღის ვადაში გადაწყვეტს და ურჩ კლიენტებს ქონება დაუყოვნებლივ ჩამოერთმევათ. მემარჯვენეებმა დავით საგანელიძემ და ირაკლი იაშვილმა აღნიშნეს, რომ ბანკისთვისაც და კრედიტორისთვისაც უკეთესი იქნება, თუ აღსრულების ვადა სამ თვემდე გადაიწევს. „სასამართლო პროცესის მერე ბანკი და კლიენტი უკვე აბსოლუტურად სხვადასხვა პოზიციაში აღმოჩნდებიან. დომინანტი ბანკია. აქტივი მისია, კლიენტმა კი წააგო, დაკარგა გირაოში ჩადებული ქონება. ანუ, მისიქონება ფაქტობრივად გადავიდა, და სწორადაც გადავიდა, ბანკის მფლობელობაში. აღსრულების პერიოდს თუ გადავუწევთ, რათა კლიენტი ფსიქოლოგიურად მაინც მოერგოს ამ სიტუაციას, ნამდვილად სწორი იქნება. ჩემი აზრით, ეს ბანკის ინტერესებშიც შედის. ბანკმა კლიენტს უთხრას; ქონება ახლა ჩემია, მაგრამ მე კეთილ ნებას ვიჩენ და აღსრულებას კიდევ 3 თვით გადაგივადებ. მოგცემ კიდევ შანსს, რომ დაიბრუნო ქონება. მერწმუნეთ, ეს ბანკებისთვისაც და კლიენტებისთვისაც უკეთესი იქნება. ეს არის ჩვენი მოსაზრება და დანარჩენი, უმრავლესობა თქვენა ხართ, და თქვენვე მიიღეთ გადაწყვეტილება", – განაცხადა დავით საგანელიძემ.

პასუხად, ნიკა გვარამიამ აღნიშნა, რომ ასეთი შენიშვნები არ არის მემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელი, რადგან ასეთი ფორმულირება სწორედ მემარჯვენე პოზიციებიდან, საკუთრების უფლების პოზიციებიდან გამომდინარე, არის უკიდურესად არასწორი. „რისი ვადა უნდა მივცეთ სამი თვის განმავლობაში, რომ დებიტორმა ფული აკრიფოს და თვითონ იყიდოს ეს ბინა? ამის კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ. ვალის გადასახდელად მას ჰქონდა ძალიან დიდი დრო. არ მესმის, რა ვადას გულისხმობთ. სამთვიანი ვადა რისთვის უნდა მივცეთ, დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით ამის გააზრება ძნელია," – განმარტა ნიკა გვარამიამ.

უმრავლესობა აცხადებს, რომ ეს კანონი კეთილსინდისიერი კრედიტორებისთვის არის შემოღებული. ამასთან, გამიზნულია იმისთვისაც, რომ საბანკო პროცენტებმა, რომელიც საქართველოში ძალიან მაღალია, დაიწიოს.

კანონპროექტის ავტორებს იმედი აქვთ, რომ ბანკები ადეკვატურად აღიქვამს ამ კანონმდებლობას და, შესაბამისად, თავისი საქმიანობის კორექტირებაზე იფიქრებს.

**მზია გელენავა**

◎ ინფორმაცია

## რა ხდება საბავშვო ბაღებში?

**ლეიბორისტული პარტია საბავშვო ბაღებისთვის დაფინანსების გაზრდას ითხოვს. მათი ინფორმაციით, საბავშვო ბაღებში ბავშვთა დღიური კვებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1, 50 თეთრია გამოყოფილი.**

**პარტიის ერთ-ერთი ლიდერის კახა ძაგანიას განცხადებით, დღევანდელ საბაზრო პირობებში ამ თანხით ვერაფერს შეიძენ და შესაბამისად, სახელმწიფომ სკოლამდელი დაწესებულებისთვის დაფინანსება 10-ჯერ უნდა გაზარდოს.**

**– სააკაშვილის ოჯახის დღიური რაციონი 2 ათას აშშ დოლარია. ზოოპარკში თითო ცხოველზე ყოველდღიურად 10 ლარია გამოყოფილი, მაშინ, როდესაც ბავშვებისთვის 1,50 თეთრია გამწესებული. ხელისუფლებამ ეტყობა არ იცის საკვებ პროდუქტებს რა ფასები აქვს. სხვადასხვა ბაღებში განსხვავებული ფასებია, კვების ფულს ძირითადად მშობლები იხდიან, ოღონდ არაოფიციალურად, – აცხადებს კახა ძაგანია.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ კომპეტენტური აზრი

# პაატა ზაქარეიშვილი: „ნეიტრალიტეტზე ლაპარაკი წყლის ნაყვაა!"

**მიუნხენში გამართულ შეხვედრაზე ვლადიმერ პუტინის გამოსვლამ კიდევ ერთხელ მიიქცია მსოფლიოს პოლიტიკური წრეების ყურადღება. მაინც, რა იყო ეს – მუქარა, წინასწარგათვლილი სვლა, თუ, უბრალოდ, ემოციები? რამდენად დააბრკოლებს რუსეთის პოზიცია საქართველოს სვლას ნატოსაკენ? – ამ საკითხებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი:**

– პუტინის გამოსვლა ძალზე საინტერესო და სერიოზული იყო. ფაქტობრივად, რუსეთმა პუტინის სახით, დაადასტურა, რომ ის შეტევაზე გადადის. რუსეთი არ აპირებს მიიღოს ამერიკისა და მისი მოკავშირეების თამაშის წესები. ამას ადასტურებს პუტინის მწვავე, მძაფრი სიტყვა ამ სერიოზულ ფორუმზე. მოკავშირეებს შორის, პირველ ყოვლისა, ევროკავშირს ვგულისხმობ. თუმცა, ამერიკასა და ევროკავშირს განსხვავებული მიმართულებები აქვთ, მაგრამ რუსეთთან მიმართებაში მათი პოზიციები საერთოა.



**– მაინც როგორ შეაფასებდით რუსეთის ადგილსა და როლს დღევანდელ მსოფლიოში?**

– რუსეთი მზარდი ეკონომიკური ფენომენია. მიუხედავად იმისა, რომ ფასები ნავთობზე მერყეობს, იგი მაინც მონოპოლისტია. მას მზარდი დინამიკა ახასიათებს და ეს მაშინ, როდესაც ამერიკა ყოველთვის მომხმარებელია. რა ფასიც უნდა ჰქონდეს ნავთობს, ის ისე არ დაეცემა, რომ რუსეთი დააზარალოს. რუსეთს აქვს დიდი გავლენა ისლამურ სამყაროზე, კარგი ურთიერთობა – ჩინეთთან, კორეასთან... ის 8 მილიარდ დოლარს აბანდებს ჩრდილოეთ კორეაში, რათა მან არ განახორციელოს თავისი ბირთვული პროგრამები. მოკლედ, რუსეთის წინაშე ყველა ანგარიშვალდებულია, ის არის ძლიერი ძალა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. რუსეთმა სწორედ ამ ფონზე განახორციელა შეტევა და თქვა, რომ მას არ მოსწონს ბევრი რამ ამერიკის პოლიტიკაში.

**– როგორ უნდა მოიქცეს ამ ვითარებაში პატარა საქართველო?**

– აგრესიისა და ვერაგობის მიუხედავად, საჭიროა ნორმალური ურთიერთობის დამყარება რუსეთთან, რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ. მიმაჩნია, რომ ეს არის ჩვენი ხელისუფლების სისუსტე: ის აშკარად უტევს რუსეთს, მაშინ, როცა საერთაშორისო სტრუქტურებს, ორგანიზაციებს, სულაც არ აძლევს ხელს რუსეთთან კონფლიქტი. საქართველო, საბოლოო ჯამში მარტო რჩება. ის თავად აფუჭებს ურთიერთობას და მერე ცდილობს გამოასწოროს მდგომარეობა. ჩვენ ვქმნით პრობლემებს, რომლებსაც შემდეგ მეგობარი სახელმწიფოები აგვარებენ.

**– საქართველოში არის ხალხი, ვინც ნატოში შესვლის წინააღმდეგია. მათი აზრით, მხოლოდ ნეიტრალიტეტი თუ გადაგვარჩენს...**

– რესპუბლიკური პარტიის იმ ძალის წევრი ვარ, რომელიც მიიჩნევს რომ საქართველო რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევიდეს ნატოში. იქ კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიგვიღებენ, როცა დარწმუნდებიან, რომ ჩვენი გაწევრიანებით ევროატლანტიკურ ალიანსს პრობლემები არ შეექმნება. ნატოს ფორპოსტი, ფრონტის ხაზი ვიქნებით. ამით საქართველოს შეექმნება ახალი საფრთხეები, მაგრამ ნატოს უსაფრთხოება იმდენად მაღალია, რომ ამ საფრთხეებს მთლიანად გადაფარავს.

ხოლო ნეიტრალიტეტზე ლაპარაკიც კი აბსურდი და წყლის ნაყვაა. ისეთ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, არ შეუძლია ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს. საქართველო, როგორც ნეიტრალური ქვეყანა, ვერ განვითარდება. ეს კი რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს. ნეიტრალიტეტის იდეა რუსეთიდან არის შემოგდებული და მასზე ლაპარაკი მე, როგორც პოლიტოლოგს, უსაფუძვლოდ მიმაჩნია.

**– ბატონო პაატა, დავუბრუნდეთ ისევ პუტინის გამოსვლას მიუნხენში. თქვენი აზრით, რაზე ან ვისზე იყო გათვლილი მისი სიტყვები?**

– პუტინი ჭკვიანი პოლიტიკოსია. მან შეაშინა ევროპა. ევროპელები კი პრაგმატული ხალხია. ევროპას აინტერესებს რუსული გაზი, ნავთობი და სულაც არ სურს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება. ამავე დროს, პუტინმა მოიგო თავისი ამომრჩევლების გული. ის ამჟამად ძალზე დიდი ავტორიტეტია რუსეთში. მას არ აინტერესებს არც ამერიკა და არც ევროპა, სურს, გააძლიეროს რუსეთი და გაიმყაროს პოზიციები თავის ქვეყანაში. ამასთან ერთად, პუტინის მწვავე გამოსვლა საპასუხო რეაქცია იყო გეიტსის მისამართით. დაიწყო გეიტსმა ცივი ომის ტერმინებით ლაპარაკი? პუტინმაც არ დააყოვნა და საკადრისი პასუხი გასცა...



ჩვენზე კი ვიტყვი, რომ ასეთ განცხადებებს რუსეთი ბალტიისპირეთის ქვეყნების საწინააღმდეგოდაც აკეთებდა, სანამ მათ ნატოში მიიღებდნენ. საქართველო ამგვარმა წინააღმდეგობებმა არ უნდა შეაშინოს. მთავარია, შევეშვათ ამ უაპელაციო, პროამერიკულ პოლიტიკას და ჩვენი პრობლემები თავადვე მოვაგვაროთ. მაშინ, საქართველოც ისეთივე სრულუფლებიანი წევრი გახდება ნატოსი, როგორიც დღეს პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნებია.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

● ეს ყველაფერი რომ მხოლოდ ფსევდომეცნიერული ცუღლუტობა იყოს, ჯანდაბას, მაგრამ საქმე უფრო სერიოზულად მგონია. ხომ არ არის „ისტორიკოს“ მარგიშვილის ქმედება იმ ვერაგული გეგმის ნაწილი, რომელიც ყოველგვარი ქართულის, საამაყოს შეგინებას ისახავს მიზნად? ყოველივე იმისა, რაც ასე გვიყვარს და გვჯერა? ჰოდა, მარგიშვილებო, მოკეტეთ და ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ!





◎ გაუტიეს!




# აქა ამბავი უსაქმო კაცისა და მახათისა

**მთელი გასული კვირა „რუსთავი-2“ ანონსის სახით იტყობინებოდა, რომ კვირის „კურიერში“, რომელიც „დროების“ პარალელურად მიდის, დავით აღმაშენებლის ეპოქის, დიდგორის ეპოპეის ისტორიულ რევიზიას შემოგვთავაზებდნენ. ჰოდა, გასულ კვირას „ვუღალატე“ „დროებას“, რომლის ერთგული მაყურებელი ვარ და პულტის იმ ღილაკს დავაჭირე ხელი, რომელსაც მას შემდეგ მოეკიდა ოზი, რაც „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ საკუთარ ხალხზე გამარჯვებულთა ტელევიზიად იქცა.**

მინდა გითხრათ, რომ მოლოდინი გამიცრუვდა, რადგან ვინმე მარგიშვილის ნაზოდვარიდან ვერაფერი გავიგე. არა, უფრო სწორად მივხვდი, რომ თურმე სულ ტყუილად მივიჩნევდით ივანე ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიის მამად. სულ ტყუილად დამაშვრალან სიმონ ჯანაშია თუ კორნელი კეკელიძე. აღარაფერს ვამბობ ჟამთააღმწერელზე და არსენ იყალთოელზე. აგერ არ გვყოლია „ისტორიკოსი“ მარგიშვილი? ვაცადოთ და ისტორიას თავიდან გადაგვიწერს...

სერიოზულად თუ ვიტყვი, ამ დალოცვილმა მეტი საკვლევი თემა ვერ ნახა, რომ ადგა და პირდაპირ დავითს, დიდგორს მიადგა? შენ კაი კაცო, ტყუილიც რომ იყოს – მოდიოდა ერთზე ათიო – დაანებე რა თავი! ეს ტყუილიც რომ იყოს, ხომ ერის რწმენაა და რა გინდა?

მომავლისთვის კიდევ ერთ სამახათე თემას ვთავაზობ „ისტორიკოს“ მარგიშვილს: ოქროს საწმისის მითი „დაგვახუროს“ ქართველებს თავზე. დიდგორისგან განსხვავებით, ეგ ამბავი ხომ მართლაც ზღაპარს ჰგავს და რა უნდა მაგის „გაიმასქნებას“. მე შენ გეტყვი და, ან აქ, ან იქ, ელადაში იპოვი ცხვრის მოოქროვილ ტყავს...

ეს ყველაფერი რომ მხოლოდ ფსევდომეცნიერული ცუღლუტობა იყოს, ჯანდაბას, მაგრამ საქმე უფრო სერიოზულად მგონია. ხომ არ არის „ისტორიკოს“ მარგიშვილის ქმედება იმ ვერაგული გეგმის ნაწილი, რომელიც ყოველგვარი ქართულის, საამაყოს შეგინებას ისახავს მიზნად? ყოველივე იმისა, რაც ასე გვიყვარს და გვჯერა? ჰოდა, მარგიშვილებო, მოკეტეთ და ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ!

**დავით მხეიძე.**

◎ პრესკონფერენცია

# გოგი წულაია: „მეამაყება, რომ კომკავშირიდან და ნაცმოძრაობიდან გარიცხული ვარ“



## „შერისხული“ დეპუტატი ოპოზიციაში გადადის

**საპარლამენტო ოპოზიციას კიდევ ერთი დეპუტატი შეემატა – ორიოდ დღის წინათ ფრაქცია „უმრავლესობიდან“ და ნაციონალური მოძრაობიდან გაირიცხა გოგი წულაია.**

ე. წ. „გაციმბირებული“ დეპუტატის თქმით, მას უკვე კარგა ხანია მიღებული ჰქონია გადაწყვეტილება ფრაქციის დატოვების თაობაზე, რადგან უამრავ საკითხში არ ეთანხმებოდა ამ ხელისუფლების კურსს. ფრაქციის ბოსებმა კი დაასწრეს წულაიას და რადიკალური გადაწყვეტილება მიიღეს.

„ამბოხებული“ დეპუტატი ფიქრობს, რომ მისთვის მიუღებელია ხელისუფლების პოლიტიკა ადამიანის უფლებების დაცვის, სასამართლოს, რეგიონების მიმართ. „ხელისუფლების კურსია მრავალი ადამიანი უმუშევარი დატოვოს. ამ ქვეყანაში გალვიძებისა გეშინია, რადგან შეიძლება უკვე ქუჩაში აღმოჩნდე. ასეთ ვითარებაში კი საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად, პარლამენტისაკუთარ უფლებამოსილებას, ანუ ხალხის დაწესებულ ვადას თავხედურად იხანგრძლივებს, რაც ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია“, – ამბობს გოგი წულაია.

დეპუტატმა გაიხსენა 9 აპრილის ტრაგედიის გამო, 11 აპრილს პროტესტის ნიშნად კომკავშირიდან გასვლის განცხადება რომ დაწერა. მისთვის უთქვამთ, კომკავშირიდან გასვლა არ ხდებაო და გარიცხეს. „დღეს მეამაყება, რომ კომკავშირიდან და ნაცმოძრაობიდან გარიცხული ვარ. ბედნიერად სესიაზევე ვიგრძენი თავი, როცა ფიქრია ჩიხრაძემ მოითხოვა სანდრო გირგვლიანის ხსოვნისადმი დეპუტატებს ფეხზე ადგომით მიეგოთ პატივი. მართლა გულით, ვაჟკაცურად, ლაღად და ლამაზად ავდექი, ისე, რომ არავისგან აღარ დამჭირვებია ნებართვის აღება და აღარ მიფიქრია, ამის გამოხვალ რას მეტყვიან-მეთქი“...

– უმრავლესობის წევრები არ ადგნენ?

– ადგნენ, მაგრამ ზლაზვნით, შიშით, ვილაცისგან ნებართვას ელოდნენ... ვაი, ასეთ ადგომას.

ბატონ გოგის ვკითხეთ, ამ ყველაფრის შემდეგ დეპუტატის მანდატსაც ხომ არ დაატოვებინებდნენ. „კომუნისტების დროს იყო ასე, პარტიიდან გარიცხვის მერე აციმბირებდნენ და ხვრეტდნენ ადამიანს. ჯერჯერობით, ესენი ამ დონემდე არ დასულან, მაგრამ, თუ ასე გააგრძელეს, დავლენ კიდეც. ვფიქრობ, არც დამხვრეტენ და არც პარლამენტიდან გამაგდებენ.

არც მექრთამე ვარ, არც ნარკომანი, იარაღსაც არ ვატარებ. რაში მომედავებიან? თუ მაინც რაიმეს გამომიძებნიან და გამაგდებენ, ქუთაისში ხალხი სიცილით მოკვდება. გახსოვთ, ლუდოვიკომ თქვა, როცა ხალხი სიცილს იწყებს, ხელისუფლების რაღაც ქმედების გამო, იმ ხელისუფლების საქმე წასულიაო“, – გვითხრა მან.

გოგი წულაიას ვკითხეთ, რატომ ვერ გაიხსენა იგი მაია ნადირაძემ. „ამოიღონ არქივიდან დოკუმენტები, ფილმები და გაიხსენონ, რა როლი შევასრულე ქუთაისში „ვარდების რევოლუციის“ დროს, მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ შევარდნაძე უნდა წასულიყო ხელისუფლებიდან.

ჩემი ტრაგედია ნამდვილად არ არის, რომ ვერ მიხსენებენ, ეს თავად ფრაქციის ხელმძღვანელობის ტრაგედიაა, რომელსაც არ ახსოვს საკუთარი ფრაქციის წევრები“, – დაასკვნა წულაიამ.

შერისხული დეპუტატის თქმით, იგი უკვე ოპოზიციონერია და მალე ახალ პარტიაშიც შევა. თუმცა, ჯერჯერობით პარტიას არ ასახელებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ინფორმაცია

## ნოღაიდელი სხეფერის განცხადებას ეხმაურება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინდელ მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა ნატოს გენერალური მდივნის სხეფერის განცხადებას ალიანსის გაფართოების ახალი თარიღის შესახებ.**

**როგორც ნოღაიდელმა აღნიშნა, საქართველომ ინტენსიურად უნდა იმუშაოს ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით.**

**პრემიერ-მინისტრმა დავალება მისცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო მინისტრს გიორგი ბარამიძეს, რომ მაქსიმალური დატვირთვით იმოქმედონ, უპირველეს ყოვლისა, ნატოსთან ინტენსიური დიალოგის პროგრამის ფარგლებში, ხოლო შემდეგ – სამოქმედო გეგმის მიმართულებით.**

**ნოღაიდელმა მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძისგან მოითხოვა ინფორმაცია მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციის შესახებ.**

## ითხოვენ საპატრულო პოლიციის უფროსის გათავისუფლებას

**„ახალი მემარჯვენეების“ გორის ორგანიზაციის წევრები საპატრულო პოლიციის უფროსის გადადგომას უკვე მეორედ ითხოვენ.**

**გუშინ გამართულ ბრიფინგზე „ახლების“ გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მამუკა ფანიაშვილმა ჟურნალისტებს იმ დანაშაულების ჩამონათვალი წარუდგინა, რომლებიც, მისი მტკიცებით, საპატრულო პოლიციის უფროსს დავით ტაბუცაძეს აქვს ჩადენილი.**

**ფანიაშვილი ტაბუცაძეს „დავით ეფენდით“ მოიხსენიებს. მისი თქმით, ეს სახელი ტაბუცაძეს კახეთში მოღვაწეობიდან გამოჰყვა.**

**მამუკა ფანიაშვილი მის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვს და აცხადებს, რომ თუ ეს არ მოხდება, საპატრულო პოლიციის უფროსი მალე ალბათ მკვლელობების ჩადენამდეც მივა.**

**„ახლების“ წარმომადგენელი გორში მცხოვრები რობერტ ადამიას ცემაშიც ტაბუცაძეს ადანაშაულებს.**

**„რობერტ ადამია პატრულის უფროსმა სცემა, რის შემდეგაც მას სმენა დაუქვეითდა“, – აცხადებს ფანიაშვილი.**

**რაც შეეხება ტაბუცაძეს, იგი კომენტარის გაკეთებაზე უარს აცხადებს.**

**ინტერპრესნიუსი**

## კანონი დროულად უნდა მიიღონ

**პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“ კანონის მიღების დაჩქარებას მოითხოვს.**

**აღნიშნული კანონპროექტი სანიტარიული კოდექსის ლიკვიდაციას გულისხმობს. ამავე კანონითვე მოხდება კომპეტენციის გამიჯვნა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის.**

**ამჟამად ქვეყანაში სანიტარიული კოდექსის მხოლოდ რამდენიმე მუხლი მოქმედებს. დანარჩენი ფუნქციები ჯანდაცვის სისტემამ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს გადააბარა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ ხალხს გაგება სურს

# რას მოუტანს ნატოში შესვლა საქართველოს?

***საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ იმედს ამყარებს ნატოში გაწევრიანებაზე. ამის გამო, რუსეთის ხელისუფლების მესვეურები შეშფოთებასა და უკმაყოფილებას ვერ მალავენ.***

***ამ დღეებში მიუნჰენის კონფერენციაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა განაცხადა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება, სავარაუდოდ, 2009 წლისთვის იგეგმება. მანამდე კი საქართველომ გარკვეული ვალდებულებები უნდა იტვირთოს.***

***იქნება ნატო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თავდები? რას მოუტანს ეს ნაბიჯი ჩვენს ქვეყანას?***

***ამ საკითხებზე თავის მოსაზრებებს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გვიზიარებენ.***

**მედეა გიორგაძე:**

– დღემდე ვერც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ დაგვეხმარა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. არის აზრი, რომ შეიძლება ნატომ უაფხაზეთოდ და უშიდაქართლოოდ მიგვიღოს, რასაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგები.

**იზოლდა შამუგია:**

– ნატო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თავდები თუ იქნება, ამაზე შეიძლება ფიქრი. თუ ეს არ მოხდა, მაშინ აფხაზეთიც და შიდა ქართლიც ამერიკას დარჩება. აქამდეც გვეხმარებოდა სხვადასხვა ორგანიზაცია, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავ. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხის მიმართ უიმედოდ ვარ განწყობილი.

**რეზო შიოშვილი:**

– ჩვენი ქვეყნისთვის არაფერიც არ შეიცვლება. ამერიკა კი მიიჩნევა ჩვენს მეგობარ ქვეყნად, მაგრამ რეალურად ვერ გვეხმარება. ჩვენი ხელისუფლება დაპირებებს იძლევა, მაგრამ შადრევნებისა და გასართობი პარკების გარდა, არაფერს აკეთებს. არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის იმედი აღარ მაქვს. ნატოს ჩვენი ქვეყანა სამხედრო მიზნებისთვის სჭირდება.




**ჯონი მგელაძე:**

– საქართველოს ნატოში გაერთიანება საჩქარო და სასურველია. ამის შემდეგ სეპარატისტული წარმონაქმნები და რუსეთი იძულებულნი იქნებიან შეცვალონ ან ძირეულად შეარბილონ მტრული დამოკიდებულება ჩვენს მიმართ, რაც დააჩქარებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ნატოში გასაერთიანებლად მზად არა ვართ, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მზადაა წავიდეს დათმობებზე და დააჩქაროს ეს პროცესი, რასაც ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ნატოს პოლიტიკური ინტერესები განაპირობებს. ეს ხელს გვაძლევს და ღირსებითა და პატივით უნდა გამოვიყენოთ, რაც გულისხმობს ხელისუფლების მიერ სახელმწიფო მმართველობის სისტემის რადიკალურად შეცვლას, რომელიც ახლა არაპროფესიონალიზმით, არათანმიმდევრულობით, უპრინციპობით, კანონის უმოქმედობით, აქტუალურ და პერსპექტიულ პრობლემათა მოუგვარებლობით გამოირჩევა...

**გიორგი გოგინაშვილი:**

– ნატოში საქართველოს შესაძლო გაწევრიანებას ვეთანხმები. თუ ბევრი პრობლემა ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ გადაწყდა, მაშინ ნატო იქნება ხსნა, ევროინტეგრაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით. საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის აზრით, ნატო დაგვიბრუნებს აფხაზეთს, ე. წ. სამხრეთ ოსეთს, დაგვეხმარება სამცხე-ჯავახეთში ქრონიკული, სოციალურად ფეთქებადსაშიში პრობლემების მოგვარებაში. მაგრამ თუ ეს, და ჩვენი ქვეყნისთვის სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები არ გადაწყდება, მაშინ ნატოში ჩვენი ყოფნა აზრს დაკარგავს.

**ლილი ჩხეტიანი:**

– ნატოში შესვლა მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ძლიერ ალიანსში შესვლას ნიშნავს.

ნატოში გაერთიანება შეიძლება უარყოფითად აისახოს კონფლიქტების მოგვარებაზე, ვინაიდან აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ამ დროისათვის რუსეთის სამშვიდობო ძალები დგას, მათ შეიძლება არ დატოვონ ტერიტორია, რაც კონფლიქტური რეგიონების დაკარგვას გამოიწვევს.

**მაია ხორგუაშვილი, სოფიო გოგლიძე**

# გუშინ, დღეს

● პრობლემის სამართლიან აღქმას განსაკუთრებით აძნელებს ის გარემოება, რომ სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს რეგიონებიდან დეპორტირებულ ყველა მაჰმადიანს, განურჩევლად ეროვნებისა და ეთნოსისა, შეარქვეს არარსებული ეთნოსის „თურქი-მესხების“ სახელი





## ◎ ინფორმაცია

### „ჰუმანიტარული შტურმი“

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს მთავრობის მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განხორციელებულ ჰუმანიტარულ აქციას „ჰუმანიტარულ შტურმს“ უწოდებს.

„ის სიტუაცია, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ ე. წ. ჰუმანიტარული აქციის განხორციელებას მოჰყვა, 2004 წლის მოვლენებს მაგონებს“, — ამბობს ჯიოევი და დასძენს, რომ მაშინ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ე. წ. ჰუმანიტარულ აქციებს რეალური საბრძოლო მოქმედებები მოჰყვა.

### თურქები აფხაზეთით დაინტერესდნენ

სეპარატისტულ აფხაზეთში თურქ ექსპერტთა ჯგუფი ჩავიდა, რომელმაც თურქეთსა და აფხაზეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივის საკითხები უნდა შეისწავლოს.

აფხაზური მხარის ინფორმაციით, თურქი ექსპერტები აფხაზეთში ეკონომიკური მონიტორინგის ჩატარებასა და აფხაზეთის ბიზნეს-წრეებთან კონტაქტების დამყარებას გეგმავენ.

გავრცელებული ინფორმაციით, თურქი ექსპერტები აფხაზეთში ეკონომიკური ბლოკადის შესაძლო მოხსნის საკითხებზეც იმსჯელებენ.

„აღნიშნული ვიზიტი აფხაზეთში ჩვენი მუშაობის პირველი ეტაპია, მეორე ეტაპი კი აქვე დიდი საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ჩატარებას ითვალისწინებს“, — აცხადებენ თურქი ექსპერტები.

„თურქული ბიზნესი აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელებით ძლიერ დაინტერესებულია. ჩვენ კი ამ პროცესს მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი“, — აცხადებენ თურქი ექსპერტები.

### ქართველებმა დაკავებული ოსები გაათავისუფლეს

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე. წ. შს მინისტრი მიხეილ მინძაევი აცხადებს, რომ ქართველმა ძალოვანებმა ყველა დაკავებული ოსი ეროვნების მოქალაქე ულტიმატუმის ვადის ამოწურვამდე გაათავისუფლეს.

„საბედნიეროდ, ქართულმა მხარემ დაკავებული ოსი ეროვნების მოქალაქეები ულტიმატუმის ვადის ამოწურვამდე გაათავისუფლა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის მოქალაქეთა დაცვის მიზნით, ჩვენ ყველა ჩვენს ხელთ არსებული საშუალებისა და ძალის გამოყენებას ვგეგმავდით“, — აცხადებს მიხეილ მინძაევი.

ჯი-ეიჩ-ენი

### აპლაკოვი პედაგოგებს შეხვდა

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების განათლების მინისტრი ალექსანდრე აპლაკოვი გალის რაიონში მცხოვრებ ქართველ პედაგოგებს შეხვდა.

ქართველმა პედაგოგებმა მის წინაშე დასვეს საკითხი მათი საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ და ლეგიტიმური ხელისუფლებისგან უფრო მეტი ყურადღება მოითხოვეს.

ალექსანდრე აპლაკოვის განცხადებით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქართველი პედაგოგების გატაცების ფაქტებს, რომლებიც ბოლო ორ წელიწადში რამდენჯერმე განმეორდა.

ინტერპრესნიუსი

## ◎ თემა

# „თურქი მესხების“ პრობლემა მცდარ ცნებებსა და იდეებზეა დაფუძნებული

## 1944 წელს დეპორტირებული მუსლიმანების საკითხის სამართლიანი გადაწყვეტისათვის

როგორია პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და საზღვარგარეთში მცხოვრები დეპორტირებული მაჰმადიანების და მათი შთამომავლების მენტალიტეტი და ამჟამინდელი ხედვა? როგორია მათი დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ?

ზემოთ ჩამოვთვალეთ დეპორტირებული მაჰმადიანებისა და მათი შთამომავლების მრავალრიცხოვანი საზოგადოებები და ორგანიზაციები. მათი ლიდერების უმრავლესობას საჯარო გამოსვლებში, განცხადებებსა თუ საუბრებში უჭირავს აშკარად ანტიქართული და პროთურქული პოზიციები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს, რომ წარმომავლობით თურქები არიან, სურთ მიიღონ ორმაგი — ქართულ-თურქული მოქალაქეობა (სავარაუდოთ, საქართველოში ჩასახლების მიზნითძ, აღადგინონ ახალციხის თურქული საფაშო და იცხოვრონ თურქეთის კონსტიტუციის ქვეშ. სავსებით ნათელია, რომ ამ საზოგადოების თუ ორგანიზაციების ის ლიდერები და წევრები, რომლებიც იზიარებენ და მხარს უჭერენ ასეთ მოთხოვნებს, უნდა ვაღიაროთ საქართველოსათვის მიუღებელ პირებად (ე. წ. Persona non gratad, რის გამოც ვერ მიეცემათ საქართველოს მოქალაქეობა.

გამონაკლისს წარმოადგენს სამცხეთ-ჯავახეთიდან დეპორტირებული მუსლიმანი მესხების და მათი შთამომავლების საზოგადოება „ხსნა“ (ამჟამად მის ბაზაზე დაფუძნებულია „ხალილ გოზალიშვილის სახელობის მესხების საერთაშორისო ასოციაცია“), რომელშიც გაერთიანებულნი არიან სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული ქართული წარმომავლობის მუსლიმანი მესხები და მზად არიან მიიღონ ქართული გვარ-სახელები, შეისწავლონ ქართული ენა, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და გახდნენ საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქენი(იხ. ს. ხოზრევანიძის სტატია „უცხო ნურვის ვეგონებით, ქართველები ვართ, ბედუკუღმართობით რჯულდაკარგულნი და ენადაკარგულნი.“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2005 წ. 17 აპრილი).

სამწუხაროდ, სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მაჰმადიანი მესხებისა და მათი შთამომავლების მიმართ საქართველოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ერთნი მიიჩნევენ, რომ რადგან მათი უმრავლესობა აღიარებს თურქულ წარმომავლობას და ამასთან აქვს პროთურქული განწყობილება, დაუშვებელია მათი საქართველოში დასახლება. მეორენი ფიქრობენ, რომ ის მუსლიმანი მესხები, რომლებიც აღიარებენ ქართულ წარმომავლობას და მზად არიან მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა, შეიძლება დასახლდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განცალკევებულად, სადაც შეიქმნება მათთვის ხელსაყრელი პირობები სრული ადაპტაციისათვის და გადაიქცევიან თავიანთი შორეული წინაპრების ეროვნულობისა და, შესაძლებელია, რწმენის გამგრძელებლებად.

დეპორტირებულთა და მათი შთამომავლების უმრავლესობა კატეგორიულად აღიარებს თავის თურქულ წარმომავლობას, გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან, როგორც აღვნიშნე, ისინი არა მარტო სამცხე-ჯავახეთიდან, არამედ სამხრეთ კავკასიის დანარჩენი რეგიონებიდან გადასახლებული, სხვადასხვა ეროვნებისა და ეთნოსის მატარებელი მაჰმადიანები არიან.

პრობლემის სამართლიან აღქმას განსაკუთრებით აძნელებს ის გარემოება, რომ სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს რეგიონებიდან დეპორტირებულ ყველა მაჰმადიანს, განურჩევლად ეროვნებისა და ეთნოსისა, შეარქვეს არარსებული ეთნოსის „თურქი-მესხების“ სახელი, მათ ისტორიულ სამშობლოდ აღიარეს საქართველოს ძირძველი მხარე სამცხე-ჯავახეთი და მოისურვეს მათი კომპაქტური ჩასახლება ამ რეგიონში თუ არა, საქართველოში მაინც, რადგან ყველასათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოს ერთ ნებისმიერ რეგიონში რამდენიმე ასეული ათასი მუსულმანი ვერ განთავსდებოდა.



საქართველოდან მაჰმადიანების დეპორტაციის შემდეგ, სოლიდური დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში დეპორტირებულთაგან ცოტა ვინმე თუ დარჩა ცოცხალი. მოხდა თაობათა ცვლა, წინაპრების ადგილი დაიკავეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აგრეთვე თურქეთსა და აშშ-ში დაბადებულმა და ჩამოყალიბებულმა შთამომავლებმა განსხვავებული მსოფლმხედველობით, მენტალიტეტით, წეს-ჩვეულებებითა და ნიშან-თვისებებით. მრავალმა შეიცვალა რწმენა, ეროვნება, ენა. მრავალი მათგანი არის სხვა ქვეყნის მოქალაქე, ინტეგრირებული და ადაპტირებულია ადგილობრივ მოსახლეობასთან, აქვთ საცხოვრებელი ადგილი, შრომის, სამედიცინო მომსახურებისა და განათლების გარანტია, შექმნილი აქვთ შერეული ოჯახები, ცხოვრობენ მათთვის ჩვეულ ენობრივ, რელიგიურ და ფსიქოლოგიურ გარემოში.

ცნობილია, რომ რეგიონებში, სადაც ამჟამად ცხოვრობენ დეპორტირებულები და მათი მრავალათასიანი შთამომავლები, მოსახლეობის დასაქმება და ცხოვრების დონე განსხვავებული და უმეტესწილად, უკეთესია, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში. ჩნდება სავსებით კანონზომიერი კითხვა: იქნება კი მართებული სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, სხვა რწმენის, წეს-ჩვეულებების, მენტალიტეტის მქონე, ფეხის ხმას აყოლილ სხვადასხვანაირად მოაზროვნე ადამიანებს საქართველოში ვითომ „აღთქმულ ქვეყანაში“ დასახლებით მოვუწყოთ კიდევ ერთი გამოცდა? საქართველოში ჩასახლების შემდეგ ხომ არ გაუჩნდებათ მათ უკმარისობის გრძნობა, პრეტენზიები ჩვენი ხალხისა და ქვეყნის მიმართ, ხომ არ გადაიზრდება ყოველივე ეს ხელისუფლებასა და დამხდურ მოსახლეობასთან დაპირისპირებაში?

შექმნილ სიტუაციაში ფრიად მნიშვნელოვანია გამოინახოს საიმედო მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიიდან დეპორტირებული მაჰმადიანებიდან ვინ, ან დეპორტირებულთა ურიცხვი შთამომავლიდან რომლის წინაპარი გაასახლეს საქართველოდან და ვინ — არა, ვინ შეიძლება დასახლდეს საქართველოში და ვინ არა.

ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს, რეგიონებიდან 1944 წელს დეპორტირებული მაჰმადიანების და საზღვარგარეთის ქვეყნებში ფორმირებული შთამომავლების პრობლემა თანამედროვეობის ერთ-ერთი რთული და ძნელად გადასაწყვეტი პრობლემათაგანია. წლების განმავლობაში იგი გახდა მსოფლიოს პრესტიჟული ორგანიზაციების, ევროპისა და აზიის ზოგი ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, ამ ქვეყნებში არსებული არასამთავრობო, ადამიანის უფლებათა დაცვის და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე, თვით დეპორტირებულთა მრავალრიცხოვანი საზოგადოებების ფართო განხილვის საგანი. ამ პრობლემით დაინტერესდა, აგრეთვე უმცირესობათა საკითხის ევროპული ცენტრი, რომელიც ფონდ „ფოლკსვაგენის“ გულუხვი დახმარებით 2004 წლის ივლისიდან 2006 წლის თებერვლამდე ატარებდა ფართომასშტაბიან კვლევებს თემაზე: „ინტეგრაცია და განსახლება: თურქი მესხები“. კვლევის საწყისი შედეგები ოსკარ პენტიკაინენისა და ტომ ტრიერის მუშა მოხსენების სახით გამოქვეყნდა 2004 წლის სექტემბერში.

სამწუხაროდ, **ყველა ეს და სხვა ანალოგიური კვლევები ე. წ. „თურქი მესხების“ პრობლემებზე, ნაკლებ შედეგიანი იქნება, რადგან დაფუძნებულია მცდარ ცნებებსა და იდეებზე: არარსებულ და შეთხზულ ტერმინზე „თურქი მესხები“, ამავე დასახელების ეთნოსის სამცხეთ-ჯავახეთში ფორმირების ცრუ იდეაზე, 1944 წელს სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული მაჰმადიანების დეპორტაციის მასშტაბისა და მიზეზების არცოდნაზე და სხვ. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1998 წელს ვენაში და 1999 წელს ჰააგაში ე.წ. „თურქი მესხების“ პრობლემაზე გამართული საერთაშორისო საკონსულტაციო შეკრების შედეგებმაც, როდესაც მრავალდღიანი კამათის შემდეგ ერთხმად მიიღეს ტერმინი „თურქი მესხები“, რის გამოც საზოგადოებაში დამკვიდრდა მცდარი მოსაზრება, რომ თითქოს 1944 წელს მაჰმადიანები დეპორტირებულნი იყვნენ მხოლოდ საქართველოდან და მის ძირძველ მხარედან სამცხე-ჯავახეთიდან, რომ ეს მხარე არის დეპორტირებული მაჰმადიანების ისტორიული სამშობლო, სადაც უნდა მოხდეს მათი და შთამომავლების კომპაქტური ჩასახლება.**

შემთხვევითი არაა, რომ ვენის შეკრებაზე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა იმის ნაცვლად, რომ კონკრეტული ვალდებულება აეღო რუსეთში დასახლებულ ე.წ. „თურქი მესხების“ სამართებლივ ინტეგრაციაზე, განაცხადა: „Репатриация турок-Месхетинцев в Грузию должна быть первоочередной задачей для всех усилий по решению проблемы“.

**საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი კი იმავე შეკრებებზე დაჟინებით მოითხოვდა ტერმინის „თურქი მესხების“ ჩანაცვლებას „მესხები“-თ, რაც დაადასტურებდა, რომ თითქოს დეპორტირებული მაჰმადიანების აბსოლუტური უმრავლესობა გამაჰმადიანებული მესხები (ქართველებიძ არიან, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ შეეფერება სინამდვილეს.**

ზემოაღნიშნულის ფონზე დიდად სამწუხაროა, რომ 2005 წლის 5 ივლისს თბილისში დეპორტირებულ მაჰმადიანებისა და მათი შთამომავლების პრობლემებზე გამართულ კონფერენციას ეწოდა: „მესხთა პრობლემების მდგრადი გადაწყვეტის ძიება“, რომელზეც მოისმინეს ათამდე ქვეყნის წარმომადგენლის მოხსენებები თემაზე: „მესხთა პრობლემები: აზერბაიჯანში, ყაზახეთში, უზბეკეთში, რუსეთში, ყირგიზეთში, უკრაინაში, თურქეთში, საქართველოსა და აშშ-ში“.

**ალექსი მიქელაძე,**
**პროფესორი**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 27-28.

**წარმოვიდგინოთ ამ ფონზე განათლების მინისტრების კარტოზიასა და კვარაცხელიას დროს გახსნილი 250 კომერციული უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის 10-ზე მეტი უნივერსიტეტი. საქმე იქამდე მივიდა, რომ შეჯიბრი გამოცხადდა – ვინ მეტ ახალგაზრდას მიიპატიჟებდა უმაღლესში ყოველგვარი გამოცდების გარეშე, ოღონდ ფული მიეტანა**



რეფორმის შუქ-ჩრდილები

# უსამართლობამ და ფარისევლობამ ისევ დაისადგურა ქვეყანაში

**რეფორმის მიზანი ყველგან და ყოველთვის არის არსებული ვითარების გაუმჯობესება, ძველი ხარვეზების აღმოფხვრა და საუკეთესო მონაპოვრების დანერგვა, საქმის სწორად დასახვა და წარმართვა.**

რა თქმა უნდა, ჩვენი განათლების სისტემა ფეხმძიმე იყო თავისი მახინჯი და ოდიოზური ნაკლოვანებებით, მათ შორის კორუფციით. საბჭოთა პერიოდში თავი წავჭამეთ მთელ მსოფლიოს ტრაბახით, საქართველო პირველ ადგილზე დგას უმაღლესი განათლების კადრებითო. წარმოვიდგინოთ ამ ფონზე განათლების მინისტრების კარტოზიასა და კვარაცხელიას დროს გახსნილი 250 კომერციული უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის 10-ზე მეტი უნივერსიტეტი. საქმე იქამდე მივიდა, რომ შეჯიბრი გამოცხადდა – ვინ მეტ ახალგაზრდას მიიპატიჟებდა უმაღლესში ყოველგვარი გამოცდების გარეშე, ოღონდ ფული მიეტანა.

ფაქტია ისიც, რომ მეცნიერებასაც ბევრი უმაქნისი მიეტმასნა. ამასთან, ზოგჯერ სამეცნიერო ხარისხმაც დევალვაცია განიცადა, როგორც სხვაგან, აქაც ნაცნობ-მეგობრობამ, ნათესაურ-კლანურმა სენმა და ანგარებამ იჩინა თავი. არა მგონია ვინმე საღად მოაზროვნე ადამიანი დავობდეს იმაზე, რომ საქმე უნდა გამოსწორებულიყო, რეფორმა უნდა გატარებულიყო.

მაგრამ, საუბედუროდ, რეფორმა გატარდა და ტარდება მოუფიქრებლად – იერიშით, არაკომპეტენტურად, ბნელად, ნაცნობ-მეგობრული პრინციპით და საეჭვო არაა – ანგარებით. რაც მთავარია, რეფორმის ნიღბით ხდება ნამდვილ მეცნიერთა იგნორირება და დისკრედიტაცია, საუკეთესო მეცნიერული მონაპოვრების ლიკვიდაცია და ამ სფეროში ხელმოცარულ-უსაქმურთა აღზევება.

ამ მიმართულებით მსურს ზოგი რამ ვთქვა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მაგალითზე: როდესაც საქმე მეცნიერებათა აკადემიის დაშლა-ლიკვიდაციას ეხებოდა, მაშინ ამ საქმის მესვეურები – მინისტრი ალექსანდრე ლომაია და პარლამენტის კომიტეტის თავკაცი ნოდარ გრიგალაშვილი საქვეყნოდ ირწმუნებოდნენ, რომ აკადემიის დაშლით დიდი საქმე გაკეთდებოდა – ბედნიერებას ეწეოდნენ აკადემიიდან გამოყოფილი ინსტიტუტები, რითაც ვითომ დიდად მოიგებდა მეცნიერება. ყოველივე ამის აგიტაცია ხდებოდა სამართლის ინსტიტუტის (დირექტორი გიორგი ხუბუაძ მაგალითზე.

პირადად ჩემთვის, და, ალბათ, ყველასათვის უცნობი დარჩა – თუ რა ბედნიერება ეწია სამართლის ინსტიტუტს (გარდა „სამართალ სუბიექტის" სახელწოდებისაძ, აკადემიიდან გამოსვლით რა ფოლიანტები შესძინა ხუბუამ იურიდიულ მეცნიერებას, მაგრამ უკვე ყველასთვის ნათელია ის, თუ რატომ იყო მაინცდამაინც ხუბუა საგიტაციო საგანი და ვინ და რატომ იყო მისით დაინტერესებული (მით უფრო – მიზანმა არ დაახანა, ხსენებული პიროვნება გახდა ფავორიტი და უნივერსიტეტის დარბევის თავკაცი, ცხრა გამოჩენილი მეცნიერის სამარცხვინო გასამართლების მიზეზი, აგრეთვე რექტორობის ერთადერთი ღირსეული კანდიდატურა მთელ ქვეყანაში, რომელიც აირჩიეს კიდევაც რექტორად, როგორც საბჭოთა პერიოდში – კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

არა მგონია უკეთესად იყოს საქმე პედაგოგიურ უნივერსიტეტში (არაფერს ვამბობ ფაქტობრივად გაუქმებულ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტზე, აგრეთვე სწავლის გარეშე დატოვებულ, გაბრიყვებულ და დაკნინებულ სტუდენტობაზეძ, რომლის რექტორმა (რეფორმის მამამძ გიგი თევზაძემ თაშაოზდა, რომელთაგანაც მხოლოდ 30-მდე დატოვეს. აქვე უნდა დავძინო, რომ უნაკლოვანო უწინ არც ეს ინსტიტუტი იყო, სადაც მათხოვრული ხელფასის (30-70 ლარიძ პირობებში ახალგაზრდა



ვი უნივერსიტეტიდან ყველა ისტორიკოსის და სხვა ცნობილ მეცნიერთა გამოძევებით გამოიჩინა, აგრეთვე სხვა სამეცნიერო კადრების თვითნებური წმენდით, ოღონდ მამისი არ დაავიწყდა.

საქმე არანაკლებ ანეკდოტურად წარიმართა მეცნიერებათა აკადემიიდან გამოყოფილ და „გაბედნიერებულ" ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, სადაც რეფორმამდე დაახლოებით 190-მდე ისტორიკოსი და ეთნოგრაფი მუთითქმის არავინ დარჩა, ხოლო ასაკიანი იძულებული იყო შიშველი ენთუზიაზმის საფუძველზე ემუშავა და უმძიმეს პირობებში გმირული კვლევა-ძიება ეწარმოებინა უკეთესის მოლოდინში. ამის საფუძველზე ინსტიტუტის ზოგიერთმა მეცნიერმა შეუძლებელი შეძლო – საბჭოთა რეჟიმისათვის დამახასიათებელი არაერთი მანკიერება და ხარვეზი დაძლია. მაგალითად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ასახვის საქმეში, საბჭოთა წყობილების არსის გარკვევაში, კლასთა ბრძოლის იდეის გაშუქებაში, კერძო საკუთრების პროგრესზე, აფხაზეთის და ოსების ისტორიაში გამართვაში, ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის შექმნაში, რელიგიის შესწავლასა და კულტურის პროგრესის გაშუქებაში და ა.შ. კაცმა რომ თქვას, ინსტიტუტის არაერთმა თანამშრომელმა ჭეშმარიტად პატრიოტულ-გმირული და მუხლმოუხრელი შრომა გასწია თავისი ქვეყნის ისტორიის ყოველმხრივ შესწავლის საქმეში (ამ მხრივ გამორჩეული, სანიმუშო ფუნდამენტური მონოგრაფიების, ასევე სხვა ნაშრომების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდაძ.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა იმ მანკიერებაზე, თუ რა განუკითხავად, უსამართლოდ, ბნელად და კრიმინალურ-კორუფციულად წარიმართა და განხორციელდა რეფორმა თუ კონკურსი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. ინსტიტუტის მთავარ და წამყვან მეცნიერ თანამშრომლებთან ყოველგვარი კონტაქტის გარეშე შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომელმაც მეცნიერული კრიტერიუმების დაუდგენლად და სრულიად საიდუმლო სხდომების საფუძველზე (არ ვიცით, რა ორგანოების მონაწილეობით და მითითებითძ მიიღეს გადაწყვეტილებები. გამოჟონა, რომ 70 წლის ასაკის ზემოთ, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, არ დაეტოვებინათ შტატში. აქედან გამომდინარე, ზოგიერთ მათგანს უარი ეთქვა კონკურსში მონაწილეობაზე, მაგრამ ვინც ამ თვითნებურ დიქტატს არ შეეპუა, მისი საკითხი კონკურსზე ან არ განიხილეს, ან კომისიის წევრებს ფორმალურად წააშლევინეს საკონკურსო ბიულეტენში.

იხ. 6 გვ.

№ 29. ხუთშაბათი, 15 თებერვალი, 2007 წელი.

ფასები

# ამ სამ წელიწადში მეტი ვერ მოვასწარითო...

***თუ ხელისუფლებას დავუჯერებთ, ქვეყანა ეკონომიკური აღმავლობის ფაზაშია და ეს დღითი დღე ნათელი ხდება, მაგრამ, რატომღაც, ამ აღმავლობას ვერ „ხედავენ" ან ვერ „გრძნობენ" სხვადასხვა კატეგორიის ვეტერანები და ინვალიდები. თუმცა, ხედავენ კი არა, ეს ჭარმაგი, ცხოვრებაში ბევრ ჭირ-ვარამგამოვლილი, ნაომარი ადამიანები უკვე რამდენიმე დღეა მთავრობის მიერ გაუქმებული შეღავათების აღდგენის მიზნით პარლამენტის წინ აქციას მართავენ, მაგრამ ჯერჯერობით, უშედეგოდ... რომ იტყვიან, გასაკვირად უკვირს მათი ასეთი საქციელი უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს ბესო ჯუღელს: „ცოტა მაკვირვებს ამ ხალხის, პენსია ცოტა გვაქვსო, ანუ 48 ლარს „ცოტას" ეძახიან... ადამიანს ხშირად ავიწყდება ის, რაც იყო, და ბევრს ითხოვს, მაგრამ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ. ამ სამ წელიწადში მეტის გაკეთება ვერ მოვასწარით".***

რატომ ვერ მოასწარით? იქნებ სჯობდა, რომ საკუთარ ბიზნესსა და ხელფასებზე კი, არა, თქვენ და ბევრ თქვენგანსაც ამ საკითხზე უფრო მეტი გეფიქრათ? მაშინ ხომ დრო საკმარისი გექნებოდათ? დიახ, ბევრი რამე გაკეთდა და კეთდება, მაგრამ უბრალო ხალხის სოციალური მდგომარეობა რომ სავალალოა, განა არ იცით?

რატომ გიკვირთ, ბატონო ბესო, პენსიონერთა გაჭირვება? ჯერ ერთი, 48 ლარი მხოლოდ თბილისელ პენსიონერებს აქვთ, დანარჩენებს 40 ლარამდე, ანუ იმდენი, ამჟამინდელ გაძვირებულ ბაზარში ერთ ჯერზეც რომ არ ეყოფა ადამიანს, პენსიონერს კი ერთი თვე უნდა ეყოს. ნუთუ ეს კანონზომიერი გგონიათ?

ახლა კი იმ ოფიციალური ინფორმაციის შესახებ, რომელიც **სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ფასების სამმართველოს უფროსმა – ლია მდინარაძემ,** როგორც ყოველთვის, ახლაც ჩვეული ოპერატიულობით მოგვაწოდა:

**– ქალბატონო ლია, რას გვეტყვით, რა გაიაფდა და რა გაძვირდა ამ ერთ თვეში?**

– 2007 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 2,7 პროცენტი შეადგინა. შედარებისათვის, 2006 წლის იანვარში ინფლაციის დონე 1,2 პროცენტი იყო, ხოლო 2005 წლის იანვარში – 2,1 პროცენტი.

2007 წლის იანვარში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით ფასების საერთო დონე პრაქტიკულად განსაზღვრა ფასების ზრდამ ბოსტნეულსა და ხილზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქონელი ტრადიციულად მკვეთრი სეზონური ხასიათის მატარებელია და ზამთრის პერიოდში ყოველთვის პიკს აღწევს ფასების ზრდის დონე, მიმდინარე წლის იანვარში ბოსტნეულზე ფასების საერთო დონის ზრდამ ქვეყანაში საშუალოდ 17,9 პროცენტს მიაღწია, ხოლო ხილზე – 10,5 პროცენტს.



ამასთან ერთად, ფასები გაიზარდა **ცივი წყლის** გადასახადზე საშუალოდ ქვეყანაში 66,6 პროცენტით, მათ შორის თბილისში 100 პროცენტით, ხოლო ბათუმში – 54,2 პროცენტით.

აღნიშნულ პერიოდში ფასები გაიზარდა **სურსათისა და უალკოჰოლო სასმელებზე** 4,5 პროცენტით, **ალკოჰოლიან სასმელებსა და თამბაქოზე** – 0,2 პროცენტით, **საცხოვრებელი სახლები, წყალი, ელექტროენერგია, გაზი და სათბობის სხვა სახეობები გაძვირდა** – 4,7 პროცენტით.

რაც შეეხება მომსახურების ნაწილს: 2007 წლის იანვარში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, **ფასები გაიზარდა ჯანდაცვაზე** ქვეყანაში საშუალოდ 2,5 პროცენტით, მათ შორის გაძვირდა **ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები** – საშუალოდ 5,2 პროცენტით, **სისხლის ანალიზი** – 7,9 პროცენტით და ა.შ.

ამასთან ერთად, **ფასები შემცირდა** სატრანსპორტო მომსახურების ჯგუფზე საშუალოდ 0,2 პროცენტით, რაც ძირითადად გამოწვეული იყო იანვარში ქვეყანაში ბენზინის საშუალოდ 1,3 პროცენტით გაიაფებით, მათ შორის თელავში ბენზინზე ფასები შემცირდა 2,2 პროცენტით, ხოლო თბილისსა და ბათუმში კი – 1,8 პროცენტით.

**2007 წლის იანვარში, 2006 წლის იანვართან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 10,4 პროცენტი შეადგინა.** 2006 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 5,2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2005 წელს – 9,3 პროცენტს.

**თორმეტ თვეში ფასების საერთო დონე გაიზარდა: ხილზე** 41,1 პროცენტით, **ბოსტნეულზე** – 36,9 პროცენტით, **საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, გაზი და სათბობის სხვა სახეობები** – 25,2 პროცენტით, **ჯანდაცვაზე** – 18,5 პროცენტით, **სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების მომსახურებაზე** – 7,5 პროცენტით და ა.შ.

ამასთან, აღნიშნულ პერიოდში **ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფზე** საშუალოდ 12,3 პროცენტით, მათ შორის **თამბაქოს ნაწარმზე** ფასები შემცირდა 17,6 პროცენტით.

**ასე რომ, საიმედო ჯერჯერობით არაფერია. ექსპერტები საკვები პროდუქტების გაიაფებას კი არა, კიდევ უფრო გაძვირებას ვარაუდობენ.**

**ვნახოთ, რა იქნება.**

**ნაზი იმნაიშვილი**

● გაზის მილება-არმილებით გამოწვეულ ქვეცნობიერ სტრესულ ვითარებას წერტილი თებერვლის ბოლოს დაესმება და გამთბარ ამინდთან ერთად, ზამთრის თვეებში ავანსად მილებული გაზის გაზრდილი გადასახადი დაჯერებულად შემოაბიჯებს ქვეყნის მოქალაქეთა ოჯახებში



№ 29. ხუთშაბათი, 15 თებერვალი, 2007 წელი.

◉ ინფორმაცია

## ლევან მამასახლისი გაათავისუფლეს

ბიჭვინთაში დაკავებული ლევან მამასახლისი 6-წლიანი პატიმრობის შემდეგ აფხაზებმა გაათავისუფლეს. ამის შესახებ ლევან მამასახლისის ადვოკატი პაველ ბერაია იტყობინება.

2001 წელს ბიჭვინთაში ნალმზე აფეთქების შედეგად ლევან მამასახლისმა ხელის მტევანი დაკარგა. ის პირველი ჯგუფის ინვალიდია და ამ დრომდე დრანდის ციხეში იმყოფებოდა. მამასახლისს, რომელიც წარმოშობით სოხუმელია, აფხაზები სამშობლოს ღალატსა და ტერორისტული აქტის მოწყობაში ადანაშაულებდნენ.

მისი გათავისუფლება ღამით მოხდა. იგი ამჟამად ზუგდიდში, ნათესავებთან იმყოფება.

ამასთან, 2004 წელს მამასახლისის ადვოკატებმა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. ისინი მამასახლისის ევროკონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევას ასაჩივრებენ.

ადვოკატები ირწმუნებიან, რომ იგი სასტიკად აწამეს და ტყვეობაში ჰყავდათ. მათივე თქმით, ორი-სამ თვეში სარჩელის წარმოებაში მილების საკითხიც გადაწყდება.

ინტერპრესნიუსი

◉ რეფორმის შუქ-ჩრდილები

# უსამართლობამ და ფარისევლობამ ისევ დაისადგურა ქვეყანაში

(მეხუთე გვერდიდან)

კონკურსის ჩატარებას წარმართავდა ინსტიტუტის დირექტორად მოვლინებული (ამავე ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი) ვ.კიკნაძე, რომელმაც მართალია, რამდენიმე თვის წინათ დაიცვა დოქტორის ხარისხი, მაგრამ ინსტიტუტის თანამშრომელთა უმრავლესობა მას არ იცნობდა, ის არ მონაწილეობდა ინსტიტუტის ცხოვრებაში, სამეცნიერო დისპუტებში, გამორჩეული ნაშრომების განხილვებში, დისერტაციების აპრობაციებში, ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდაში, საქირზბოროტო კრებებში და ა.შ. როგორც აბსოლუტურად პასიური. ამიტომ, რასაკვირველია, ასეთმა კაცმა მეცნიერთა კონკურსი ჩაატარა არაკომპეტენტურად, მეცნიერებაში ასაკის ცენზის დაწესებით, რითაც ყველა ღირსეული და დამსახურებული მეცნიერი უადგილოდ დატოვა. მაგალითად, დ. მუსხელიშვილი, ა.ზენდიანიშვილი, მ.ნათმელაძე, ნ.ხაზარაძე, ამ წერილის ავტორი, ა.დაუშვილი, ო.ჟორდანია, ზ.რატიანი, ვ. ითონიშვილი, ნ.კუპატაძე, თ.იველაშვილი და სხვ. ვ. კიკნაძემ ამასთან, კონკურსი ჩაატარა – „მასარგებლე-გასარგებლებ, ანუ ხელი-ხელს ბანს“ პრინციპით, რომლის შედეგად, ინსტიტუტის დირექტორობასთან ერთად, მან ხელში ჩაიგდო უნივერსიტეტში შემონახული პროფესორობა, აგრეთვე თავისადმი რწმუნებული ინსტიტუტის – ეთნოგრაფიის გრანტში მონაწილეობა, რომელიც უკვე დიდი ხანია დაწერილია და მას ამ გრანტთან არაფერი ესაქმება. ამასთან ერთად, მან თავისთავს დაუნიშნა დირექტორის უმაღლესი ხელფასიც.

ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ ერთმა კაცმა ერთდროულად სამი საპატიო, რთული და უმძიმესი საქმე იტვირთოს, რაც უნდა ფენომენი იყოს?

არანაკლები სკანდალური და ოდიოზური პირია სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილედ განწესებული თეიმურაზ ჯოჯუა, რომელიც ვაჟა კიკნაძესთან ერთად დაბეჯითებით აცხადებდა, „ნაშრომებს რა მნიშვნელობა აქვსო“. აბა, მეცნიერისთვის რას აქვს მნიშვნელობა?! ამბობენ, რომ ის მინისტრის ახლობელია. ის ხელნაწერთა ინსტიტუტის შტატშიც მუშაობს, საინტერესოა, რა სასწაულით ახერხებს ორივე ინსტიტუტში ერთდროულად მუშაობას, როდესაც, საშუალო ასაკის მიუხედავად, საკანდიდატო ხარისხის დაცვაც კი ვერ შეძლო!

ვინც ღრმად ჩაიხედავს კომისიის სამზარეულოში, წარმოდგენილი მაქვს, რა მახინჯ დეტალებს დაინახავს. ფაქტია, რომ კომისიამ განგებ არ დაადგინა კონკურსის კრიტერიუმები, არ შემოიღო მეცნიერული მუშაობის სხვადასხვა საკითხის ქულებით შეფასება, რათა თვითნებური სურვილის მიხედვით კი არა, ფაქტობრივი მონაცემებით შეეჯამებინა ყოველივე.

რა საფილოსოფოსოა ასეთი უმსგავსობა, რასაც საბჭოთა დროშიც არავინ გაბედავდა, როდესაც 2-3 ადგილზე ერთდროული მუშაობა აკრძალული იყო. ახლა კი, ქრონიკული უმუშევრობის და ადგილების დეფიციტური ნაკლულობის პირობებში, როცა ნამდვილი მეცნიერები ქუჩაში დარჩნენ, მათ ღირსებას, პატივსა და უფლებას აბუჩად იგდებენ, რატომაა მოქმედი მეცნიერისათვის ასაკი „კრიმინალურ მოვლენად“ ჩათვლილი? სამაგიეროდ ვაიმეცნიერები 2-3 საპატიო ადგილით არიან უზრუნველყოფილი! რა მაგალითი უნდა მისცენ მათ ახალგაზრდებს, რა კვლევა-ძიება და მორალი უნდა ასწავლონ ახალგაზრდებს, როცა თვითონ ამორალურები არიან?!

საკითხავია, რატომ დაემხო ე.შევარდნაძის ხელისუფლება, თუ ისევ უსამართლობამ, ფარისევლობამ, უმადურობამ დაისადგურა ჩვენს ქვეყანაში, ნაცვლად სამართლიანობის, სიკეთის, პატიოსნების და დემოკრატიისა?!

**დაბოლოს, იმედს გამოვთქვამ, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია გააუქმებს უსამართლო კონკურსის შედეგებს – ერთი და იგივე პირის რამდენიმე ადგილზე გაყვანის შესახებ, რითაც ერთმხრივ დამტკიცდება, რომ ამგვარი უფლება სამინისტროს არ გაუცია, მეორე მხრივ, ეს შესაძლებლობას მისცემს რაღაც მოტივებით უმუშევრად დატოვებულ ღირსეულ მეცნიერებს დაიკავონ შესაბამისი თითო ადგილი, მესამე მხრივ, ამით აღდგება კანონიერება და სამართალიც იზეიმებს.**

**გერონტი გასვიანი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

◉ გლობუსი

# ცივი ომის რეანიმაციის



**გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ქართული პოლიტიკური ცხოვრებაც ილვიძებს, თუმცა წინაპართა მიხედვით, როდესაც წინ მარტია, ზამთარი ჩამთავრებულად არ ჩაითვლება. გაზის მილება-არმილებით გამოწვეულ ქვეცნობიერ სტრესულ ვითარებას წერტილი თებერვლის ბოლოს დაესმება და გამთბარ ამინდთან ერთად, ზამთრის თვეებში ავანსად მილებული გაზის გაზრდილი გადასახადი დაჯერებულად შემოაბიჯებს ქვეყნის მოქალაქეთა ოჯახებში. სამწუხაროდ, გაზი ისეთი რამ არის, ზაფხულშიაც, ზამთართან შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გამოიყენება და რაც უნდა ეკონომიურად მოიხმარო, ჩვენი მწირი საოჯახო ბიუჯეტებისთვის გადასახადი საგრძნობი იქნება.**

ქართულისაგან განსხვავებით მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების აქტიურობა არ უკავშირდება წელიწადის დროებს. ამის დასტურად წლევანდელი წელიც გამოდგება. წინა წლებიდან გადმოყოლილი ტვირთი ვერც დროის გაჭიმვას ეგუება და ვერც ხანგრძლივ საახალწლო შესვენებას.

ახალი წლის დასაწყისი ახალი დაპირისპირებებით აღინიშნა პალესტინის ავტონომიაში. ერთი თვის განმავლობაში ელვის სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს ფათეჰსა და ჰამასს შორის სისხლიანი შეტაკებები და მოლაპარაკებები. გასულ კვირას ამ გაუთავებელ ცვალებადობას წერტილი დაუსვა საუდის არაბეთის მეფის ინიციატივამ. დაპირისპირებულმა მხარეებმა მუსლიმანთა წმინდა ქალაქ მექაში ხელი მოაწერეს ეროვნული თანხმობის მთავრობის ჩამოყალიბების დოკუმენტს. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ამჯერად მაინც შესაძლებელი გახდება ფათეჰისა და ჰამასის წევრებისაგან შექმნილი მთავრობის ამოქმედება. მექის ხელშეკრულებამ დიდი სიხარული გამოიწვია პალესტინის ავტონომიაში.

პოლიტიკური წრეების მიხედვით ავტონომიაში აფეთქებული ბოლო კონფლიქტი 1994 წელს, პალესტინის ადმინისტრაციის შექმნიდან დაწყებული, ყველაზე სერიოზული დაპირისპირებაა. ავტონომიის პრეზიდენტის და ფათეჰის ლიდერის, მაჰმუდ აბასის განცხადებით, ღაზის სექტორსა და მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე მიმდინარე პროცესმა ყოველგვარი დაშვებული და დაუშვებელი საზღვრები გადალახა.

რამ გამოიწვია ასეთი ვითარება, რა იყო იმის მიზეზი, რომელმაც პალესტინელთა შეიარაღებული ხელი არა დაუძინებელი მტრის, ისრაელის, არამედ ერთმანეთის წინააღმდეგ აღმართა? ექსპერტთა აზრით, პალესტინელთა შიდა დაპირისპირება ჰუმანიტარულ-ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია. დასავლეთის ფინანსურ დახმარებას მიჩვეული ავტონომია, საყოველთაო არჩევნებში ჰამასის მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ, ფინანსური დახმარების გარეშე დარჩა. ხალხის გადაწყვეტილებას მხარი დაეჭირა რადიკალური ჰამასისათვის, რომელსაც, მათი აზრით, ავტონომია სიდუხჭირისა და კორუმპირებული მოხელეებისაგან უნდა დაეხსნა, მძიმე შედეგები მოჰყვა.

გასული წლის იანვრის არჩევნებმა დაარღვიეს ავტონომიაში არსებული სტატუს-კვო – ანუ იასირ არაფატის მიერ დაარსებული ფათეჰის მრავალწლიანი მმართველობა და მისი მოწინააღმდეგე ძალის, ჰამასის ხელისუფლების სათავეში მოსვლა დააკანონეს. დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების შედეგებმა იმედები გაუცრუეს როგორც აშშ-ს ადმინისტრაციას, ისე ევროკავშირს. რადიკალური ჰამასი კატეგორიული წინააღმდეგია ისრაელის, როგორც სახელმწიფოს აღიარების და მასთან მოლაპარაკების გამართვის. ვაშინგტონმა და ბრიუსელმა ჰამასის მოსარჯულებლად მკვეთრი გადაწყვეტილება მიიღეს – პალესტინის ავტონომიისთვის ფინანსური დახმარების შეწყვეტა. შარშანდელი მარტიდან დაწყებული სახელმწიფო დაწესებულებების უხელფასოდ დარჩენილმა მუშაკებმა დაიწყეს პერმანენტული დემონსტრაცია-გაფიცვები, რასაც მოჰყვა ორ პოლიტიკურ ძალას შორის სამხედრო დაპირისპირება. გასული წლის ოქტომბერში არაბული ქვეყნების მიერ შეგროვებული თანხებით – 65 მილიონი დოლარით – ადმინისტრაციამ შესძლო ხელფასის დავალიანების ნაწილობრივი გასტუმრება. მთლიანი დავალიანების დაფარვისთვის კი 120 მილიონი იყო საჭირო.

„ჰამასი“ – „ჰარაკატ ალ-მუკავამა ალ-ისლამია“ ანუ „ისლამის წინააღმდეგობის მოძრაობა“ 1987 წელს დაარსდა. ის აერთიანებს ლეგალურად მოქმედ 2 ისლამურ ორგანიზაციას – „ალ-მუჯაჰედინ ალ-პალესტინიინს“ და „ალ-მადჯს“. სარწმუნო ცნობების მიხედვით ჰამასის შექმნის ინიციატორები იყვნენ ისრაელი და აშშ-ი, მეორე ორგანიზაციის ფათეჰის საპირწონედ. ორგანიზაციის იდეოლოგიურ ბაზისად მიჩნეულია პალესტინის სახელმწიფოს შექმნა ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელიც პალესტინას ეკავა 1948 წლამდე, ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე. ჰამასის ყოველწლიური ბიუჯეტი 30 მილიონი დოლარია. მთავარი დონორები არიან ირანი, სპარსეთის ყურის ქვეყნები, სუდანი. თანხის დიდი ნაწილი მიედინება რელიგიური აღზრდის სისტემასა და ახალგაზრდობის განათლებაში. 1996 წლიდან ჰამასის პოლიტბიუროს თავმჯდომარეობს ჰალედ მაშაალი. სწორედ მან მოაწერა ხელი მექის ხელშეკრულებას.

ჰამასის ხელმძღვანელობა არ ცნობს ამერიკელთა მიერ შემუშავებულ „საგზაო რუკას“, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს პალესტინა-ისრაელის დაპირისპირება, მიუხედავად ამისა, 2005 წლის თებერვლიდან ჰამასი შეუერთდა ისრაელის წინააღმდეგ ცეცხლის შეწყვეტის წინადადებას.

ექსპერტთა აზრით, აშშ-ს მხრიდან განხორციელებულმა ზეწოლამ, დაფინანსების შეჩერებამ და სხვა რადიკალურმა ნაბიჯმა მიიყვანა პალესტინის შიდა ცხოვრება სერიოზულ დაპირისპირებამდე.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემები სამხედრო, პოლიტიკური და რელიგიური თვალსაზრისით მჭიდროდ არის დაკავშირებული არაბულ სამყაროსთან და რაც მთავარია, სირიასთან და ირანთან. ამ ქვეყნების გათვალისწინება სამშვიდობო პროცესის განხორციელების საქმეში აუცილებელიც არის. სირია-ირანის მნიშვნელობაზე აქტიურად საუბრობენ აშშ-ს დემოკრატიულ კონგრესში. სამწუხაროდ, მათ მოწოდებას უგულებელყოფს ბუშის ადმინისტრაცია, რომელიც გასულ კვირასაც დამაფიქრებელ და ერთობ აგრესიულ განცხადებებს აკეთებდა ირანის წინააღმდეგ. ვაშინგტონს არც თეირანი ჩამორჩება. ქვეყნის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ თეირანი არ დააყოვნებს თუ ვაშინგტონი გაბედავს ირანზე თავდასხმას. და განახორციელებს შეტევას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში არსებულ ამერიკულ ობიექტებზე.

მილიტარისტული დიალოგი სახეზეა. მის სამხედრო განზომილებაში გადაზრდისათვის სულ ცოტა რამ არის საჭირო. ღმერთს უნდა შევევედროთ, რომ ამას ადგილი არ ჰქონდეს, ვინაიდან არცთუ დიდი მანძილით დაშორებულ ირანზე თავდასხმის ექო ჩვენამდეც მოაღწევს.

მსოფლიოში არსებული დაძაბულობის გაღვივებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული დიპლომატიის მეთაურის იტალიაში გაკეთებულმა განცხადებამ აშშ-ს სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე სავარაუდო განლაგებასთან დაკავშირებით. მინისტრის განცხადებას მოჭარბებული ყურადღებით შეხვდნენ უპირველეს ყოვლისა უშუალო მეზობლები და ჩვენი მეზობლის მეზობელი ირანი. თუ რა იქნება მომავალში ან როდის განხორციელდება თუ არა ეს ნაკლებად „საშური“ საქმე, თავისი ნაკლები დადებითი და უამრავი უარყოფითი მხარეებით, ღმერთმა იცის, მაგრამ განცხადებამ უნდობლობის მარცვალი დათესა რეგიონის ქვეყნებში, რომელიც კეთილ მოსავალს ნამდვილად ვერ მოიყვანს.

იტალიაში გამოჩენილი დამაფიქრებელი მჭევრმეტყველების გარდა ქართულ პოლიტიკაში თავი იჩინა თავისებურმა აგრესიულობამაც. შორს ვართ იმ მოსაზრებისგან, რომ თითო-ოროლა პარლა-

# დღევანდელობა

● საკითხი უდავოდ სერიოზულია და საჭიროებს რეფერენდუმის გზით გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, მაგრამ მანამდე მოსახლეობა ყოველმხრივ და არა ცალმხრივ უნდა იყოს ინფორმირებული ნატოში გაწევრიანების ავკარგიანობაზე.



◎ არეულ ტალღაზე

## შეიძლება დასახმარებელიც აღარავინ იყო...

**დები იშხნელების ქუჩაზე აირია მონასტერი.**

**„მერსედესის“ მძღოლს არ ეყო მოთმინება, საწინააღმდეგო მხრიდან მომავალი მანქანების გრძელი ჯაჭვის წინ მოინდომა ცენტრალური ქუჩიდან გადახვევა.**

**ისიც სამოძრაო ნაწილის გადაკვეთით.**

**მოჭრა მოკლეზე.**

**სცადა შესახვევში შევარდნა.**

**ვერ მოზომა...**

გვერდულად გაიჩხირა ქუჩაში.

სამი მიმართულებით ჩაკეტა მოძრაობა.

მანქანების ასეთი მოზღვავებისას თბილისის ცენტრალურ პროსპექტებზეც ჭირს სიარული.

ძველ ქუჩებზე მით უმეტეს.

წამიერად იცვლება ყველაფერი.

„მერსედესის“ მძღოლის თავხედურმა გადაწყვეტილებამ უცებ შეკრა მოჯადოებული წრე.

ერთბაშად შეაჩქვიფა ბორბლებიანი რკინის ჯოგი.

ატყდა საყვირების ზრიალი.

რია-რია.

შორს გავარდა სულსწრაფი მძღოლების „კეთილი“ მოკითხვები.

იოზის მოთმინებით ისმენდნენ ყველაფერს საუკუნის წინ გაშენებული კვარტლის ვიწრო ქუჩის აქეთ-იქით ჩამწკრივებული ორსართულიანი სახლების მკვიდრები.

შემთხვევითი გამვლელები.

მანდილოსნები.

მეტწილად ყველაფერზე ყურგამახვილებული მოზარდები.

ნორმალური კაცი იუხერხულებდა ამას. აქ კიდევ არაფერი შემინიშნავს მსგავსი.



წყენა.

გაოცება.

არც ერთის სახეზე.

არც ერთის თვალებში.

ეტყობა, ამ გადარეულმა დრომ საბოლოოდ დააწყვიტა ნერვები ყოველდღიური საზრუნავისგან თავგაბეზრებულ ადამიანებს.

შეაჩვია ყველაფერს.

ვერაფერი ვუთხარი ჩვენს გვერდით გაჩხერილი „აუდის“ პატრონსაც უშვერი სიტყვების უმისამართო კორიანტელისთვის.

გავახელებდი უაზროდ.

ნამდვილად არ იყო ზრდილობაზე ლექციის კითხვის დრო. მკვდარსა და ცოცხალს არ უტოვებდნენ ერთმანეთს ერთბაშად ადამიანის სახედაკარგულები.

უსირცხვილოდ.

საჯაროდ.

ყველას გასაგონად.

ვიდექით.

ვუსმენდით.

ველოდით.

უაზროდ იკარგებოდა ძვირფასი დრო.

სადღაც, ძალიან ახლოს, ისმოდა სასწრაფო დახმარების მანქანის გაბმული საყვირი. არავის, არანაირად არ აშფოთებდა მასში მყოფის თუ მისი შინ მომლოდინის ბედი.

არაფერს ვიგონებ.

ნამდვილად ხითხითებდა სატანა სადღაც.

იქვე.

ჩვენს გვერდით.

სხვისი ჭირი ჩემი ლოზის ჩხირიო, ამბობდა ის ყოვლად ოხერი.

ამიტომაც ასე თამამად ხითხითებდა კიდეც...

ფარშავანგივით გამყივანი ხმა ჰქონდა სასწრაფო დახმარების მანქანის საყვირს...

შეიძლება დასახმარებელიც აღარავინ იყო უკვე.

**როზერტ ძერია**

◎ თვითმმართველობა

## სისტემა თანდათან დაიხვეწება

**ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა ახალია და მისი ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური მექანიზმები რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებიდან გამომდინარე, დასახვეწია, სრული ჭეშმარიტებაა. ყოველი ახალი, კანონი იქნება ეს თუ დებულება, დემოკრატიის პრინციპებთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს. ამიტომ ახლა საჭიროა ამ კუთხით მეტი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა უფრო გასაგები და გამჭვირვალე იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დელეგირებული უფლებამოსილების მექანიზმები, ნათლად ჩანდეს, თუ რა სახის ხარჯების გაწევის უფლება აქვს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს საკუთარი ბიუჯეტიდან ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად.**

კონკრეტულად ამ და სხვა აუცილებელ საკითხებს მიეძღვნა სპეციალური ტრენინგი, რომელიც გასულ თვეში ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში. მისი ორგანიზატორები იყვნენ „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი“ და „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“. მასში მონაწილეობდნენ ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრები, ფრაქციათა თავმჯდომარეები, ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის წარმომადგენლები.

თვითმმართველობის ახალი სისტემის საკანონმდებლო ბაზის შესახებ ილაპარაკა „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის“ წარმომადგენელმა კონსტანტინე კანდელაკმა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა დავით ნარმანიამ.

ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში გერმანიის გამოცდილებაზე ტრენინგის მონაწილეებს მოუთხრო რაინჰარდ რაისმა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ განხილულ საკითხებზე გაიმართა საინტერესო დისკუსია, სადაც გამოიკვეთა ყველა ის მიმართულება, რის გათვალისწინებითაც უნდა იმოქმედონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა.

მონაწილეებს დაურიგდათ საჭირო მასალები, ბროშურები და, რაც მთავარია, ყველა კითხვას გაეცა სათანადო პასუხი. სასურველია ასეთი შინაარსიანი ტრენინგები პერიოდულად იმართებოდეს.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◎ გლობუსი

# დასაწყისის შესაფერისი რიტორიკა

მენტარის მიერ ნასროლი ფრაზები მთლიანად მთელი ხელისუფლების პოზიციად ჩაითვალოს, მაგრამ განცხადების სიხისტე სერიოზული განსჯისაკენ უბიძგებს საზოგადოებას. საკითხი ნატოში გაწევრიანებასაც ეხება. ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ავტორიტეტულად ითქვა რიგაში გამართული სამიტის დროს. მაშინ დაასახელეს ის სამი ქვეყანა, რომელთა სავარაუდო გაწევრიანება 2008 წელს იქნება შესაძლებელი. სერიოზული ობიექტური მიზეზების გამო მათ რიცხვში საქართველო არ დაუსახელებიათ. მიუხედავად ამისა, აშშ-ს ადმინისტრაცია დაბეჯითებით მოუწოდებს ნატოს წევრ ქვეყნებს მხარი დაუჭირონ უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს გაწევრიანებას. ჩვენთვის კარგად ნაცნობმა სენატორებმა ლუგარმა და მაკკეინმა სენატის განსახილველად შეიტანეს კანონპროექტი აღნიშნული ქვეყნების ნატოში სწრაფი გაწევრიანებისათვის მხარდასაჭერად. თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სენატი, ამას მალე შევიტყობთ. მანამდე კი მიუნხენში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე პუტინის კრიტიკული გამოსვლით გაღიზიანებულმა ამერიკის თავდაცვის მინისტრმა გეიტსმა განაცხადა, რომ 2009 წლიდან გაგრძელდება ნატოს გაფართოების ახალი ტალღა და თუ უკრაინა და საქართველო ნატოს მიერ დასახულ ამოცანებს შეასრულებენ, სრული მოსალოდნელია მათი ნატოში შესვლა. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად უბიძგა პუტინის კრიტიკამ გეიტსის ნიშნის მოგებით განცხადებას უკრაინისა და საქართველოს ნატოში შეყვანის შესახებ, მაგრამ უკრაინის ნატოში გაწევრიანება რეფერენდუმის გარეშე წარმოუდგენელია. დღეს რომ გაიმართოს რეფერენდუმი, მოსახლეობის დიდი ნაწილი ნატოში შესვლის წინააღმდეგი გამოვა. სხვა ვითარებაა საქართველოში. აქ იმდენად დიდია ნატოში შესვლის სახელისუფლო სურვილი, რომ საკმარისია ვიღაცას ოდნავ განსხვავებული მოსაზრება გამოუჩნდეს, მას მოღალატის იარლიყი არ აცდება. გასულ კვირას დასახელდა კიდეც იმ „მოღალატეთა“ გვარები. ამ „თავხედურმა“ განცხადებამ ხელისუფლებაზე ისე მტკივნეულად იმოქმედა, რომ ერთ-ერთი პარლამენტარის პირით აღორძინდა გასული საუკუნის 30-იანი წლების საბჭოური მოწოდება — ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია. არადა, რაც ეროვნული ფორუმის წარმომადგენლებმა გა-



ნაცხადეს, დიდი ხანია საქმეში ჩახედული მოსახლეობის ნაწილიც იმასვე ამბობს, თუმცა მათი ხმა არავის ესმის. როგორ თუ რას მოგვიტანს ნატოში გაწევრიანებაო? ვინ მოგცათ ასეთი კითხვის დასმის უფლებაო? როდესაც ასეთი სახის კითხვები იბადება, რა სახის ან ხარისხის დემოკრატიასთან გვაქვს საქმე?

ისე კაცმა რომ თქვას, რა დაიჩემა ამ ეროვნულმა ფორუმმა, სხვებიც ხომ არიან ოპოზიციაში, მაგრამ ისინი ნატოს სიყვარულში ხელისუფლებასაც აჭარბებენ, როგორც დავით ბერძენიშვილი ამბობს: „ნატოში საქართველოს ინტეგრაციისა და ევროკავშირთან დაახლოების დეკლარირებული კურსი სახელისუფლებო პარტიასა და საპარლამენტო ოპოზიციას ერთიანი აქვს“. ჰოდა, არ აჯობებდა ამ იდილიური ერთიანობისათვის მხარში ამოდგომა?

ეროვნული ფორუმის განცხადებას ცივი შხაპის მსგავსი გამოსაფხიზლებელი შედეგი მოჰყვა. გამოდის, რომ კარგა ხნის წინათ დაწყებული ნატოს სასარგებლოდ პროპაგანდა, რომელშიც ჩართულია ამერიკელთა მიერ დაფინანსებული არასამთავრობოები, საქართველოში მოქმედი რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების ინსტიტუტები, სტრატეგიული კვლევის ცენტრი, რადიო „იმედის“ სპეცგადაცემა „საქართველო ნატოში“ და სხვა მრავალი, არცთუ შედეგიანი გამოდგა. საქართველოში მყოფი უცხოელების გამოთვლით, საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი მხარს უჭერს ნატოში ინტეგრაციას. ძნელია დაიჯერო სატელეფონო კითხვებით გამოყვანილი შედეგები, ვინაიდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კითხვებს არასერიოზულად აღიქვამს. საკითხი უდავოდ სერიოზულია და საჭიროებს რეფერენდუმის გზით გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, მაგრამ მანამდე მოსახლეობა ყოველმხრივ და არა ცალმხრივ უნდა იყოს ინფორმირებული ნატოში გაწევრიანების ავკარგიანობაზე.

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ნეიტრალური სტატუსის ცნებამაც გაიჟღერა, რაც ასევე არახალია. იდეა საინტერესოა, და ნატოში გაწევრიანების იდეასთან ერთად მასაც აქვს არსებობის უფლება, მით უმეტეს, როდესაც ნეიტრალიტეტზე სერიოზული საუბარი 2001 წლის მარტში გაიმართა ქ. ბათუმში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე: „საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები სამხრეთ კავკასიისთვის 21-ე საუკუნეში — ბლოკური კუთვნილება თუ ნეიტრალიტეტი“. კონფერენციაში ცნობილი დასავლელი მეცნიერები და პრაქტიკოსები იღებდნენ მონაწილეობას. თავის გამოსვლაში ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს თანამშრომელმა, ავსტრიელმა თომას კიონინგმა აღნიშნა, რომ ისტორიულად საქართველომ დაპყრობაც იწვნია, სამოქალაქო ომებიც და ეთნიკური კონფლიქტებიც. მომავალში კონფლიქტებისაგან თავის დაღწევის მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოს ნეიტრალიტეტზე ფიქრიც. სხვა გამომსვლელებიც აღნიშნავდნენ ნეიტრალური სტატუსის დადებით მხარეებს. ითქვა იმის შესახებაც, რომ ნეიტრალური სტატუსი დადებითად იმოქმედებს მეზობელ და რეგიონის ქვეყნებზეც. თუ რას ელის რუსეთი საქართველოსგან ამას წინათ გაცხადდა რუსეთის ელჩის პირველ პრესკონფერენციაზე, რომლის დროს მან ნეიტრალიტეტიც ახსენა. ნატოს რელსებზე შემდგარი ქართული პოლიტიკოსებისთვის ძნელი წარმოსადგენია ნატოს ვაგონიდან ნეიტრალურ ვაგონში გადასვლა, მაგრამ ნატოში ყოფნა-არყოფნის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, რომ კულუარული გადაწყვეტილება სავალალო შედეგით შეიძლება დასრულდეს.

დღეს, როდესაც ესოდენ დაძაბულია საერთაშორისო ვითარება, როდესაც სახეზეა ცივი ომის რეანიმაციის შესაძლებლობა, როდესაც აშშ-ს თავდაცვის მინისტრი ცივი ომის პერიოდისათვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიას მიმართავს, რომ რუსეთი ჩინეთთან და ჩრ. კორეასთან ერთად აშშ-ს პოტენციური მოწინააღმდეგეა, როდესაც სევილიაში, ნატო-რუსეთის შეხვედრაზე, რუსეთის თავდაცვის მინისტრი, ამერიკელი კოლეგის მიერ მოყვანილ არგუმენტებს მიუღებლად მიიჩნევს, როდესაც აშშ-ი ემზადება რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის აღმოსავლეთ ევროპაში განსალაგებლად და ამის საწინააღმდეგოდ რუსეთი ემზადება ახალი სამხედრო სისტემის შექმნისათვის, როდესაც მიუნჰენში, თავდაცვის დავოსად მონათლულ კონფერენციაზე, პუტინი მკაცრად აკრიტიკებს აშშ-ს, ერთპოლუსიან მსოფლიოს და ვაშინგტონის სურვილს მსოფლიო ბატონობისათვის, როდესაც შარშან დეკემბერში პენტაგონი ატარებს 10-დღიან სამხედრო მანევრებს თემაზე — „ბინძური ბომბების მოგერიება“, სადაც ამერიკაზე პირობით თავდამსხმელები არიან რუსეთი, ჩინეთი, ჩრ. კორეა და ირანი, და სხვა მრავალი, სულაც არ არის საჭირო მოვლენათა შუაგულში გაჩხერა. ცივი ომის მეორე რაუნდის დაწყების მსგავს ვითარებაში თავშეკავება უკეთესი დიპლომატია იქნებოდა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# წინაპარი

● ამითაც ძალიან ატკინეს გული ალალ-მართალ გენერალს. „ამ ამბებმა მთლად ბოლო მომიღოო“, — გულისტკივილით წერს. ლტოლვილთა რიცხვმა თანდათან იკლო და გ. მაზნიაშვილმა გადაწყვიტა პარიზში დაბრუნებულიყო. მართლაც, დეკემბრის ბოლოს ჩავიდა და მთავრობის წევრებს სრული ანგარიში ჩააბარა



№ 29. ხუთშაბათი, 15 თებერვალი, 2007 წელი.

◉ ეს ჩვენი ისტორიაა

# თავისუფლების რაინდი

1924 წლის ზაფხულის მიწურულს საქართველოში აჯანყება დაიწყო. გ. მაზნიაშვილი წერს: „31 აგვისტოს, დაახლოებით შუადღის სამ საათზე პატარა ჯგუფი ემიგრანტებისა, ვისხედით კაფეში და მიმდინარე ამბების შესახებ ვბაასობდით, უცბად კაფეში შემოიჭრა სანდრო ქუთათელაძე და გულამოვარდნით გვითხრა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროდან ჩხენკელმა მიიღო რადიოდეპეშის ასლი, რომელიც დაიჭირა ეიფელის კოშკის სადგურმა. რადიო-დეპეშაში იყო სულ სამი სიტყვა: „საქართველოში დაიწყო აჯანყება“. მე, ს. კედია, ლ. ასათიანი და ი. გობეჩია მაშინვე წავედით ჩხენკელთან ამ ამბის გასაგებად.

ჩხენკელმა გვაჩვენა რადიოდეპეშა, მაგრამ ვერაფერი განმარტება ვერ მოგვცა, რადგან მისი სიტყვებით, ეს ამბავი მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ჩხენკელმა მხოლოდ ის გვითხრა, რომ მას უკვე შედგენილი აქვს დეპეშა, რომელსაც ის უგზავნის კ. გვარჯალაძეს კონსტანტინეპოლში და სთხოვს ყოველდღე აცნობოს საქართველოში მომხდარი ამბები.

ლეგაციასთან არსებული საინფორმაციო ბიურო უცხოეთისა და რუსულ პრესას აწვდიდა კონსტანტინეპოლში მენშევიკების წარმომადგენლის მიერ შეთხზულ ცნობებს. ამ ცნობების მიხედვით აჯანყება საქართველოში საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა. მეამბოხეთა ხელში იყო ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი, რკინიგზა და სხვა. ახალციხეში შესდგა დროებითი მთავრობა, თბილისი აიღეს სამი დღის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ. აჯანყება მოედო აზერბაიჯანსაც. 30 ათასი ბაქოელი მუშა შეუერთდა ქართველ მეამბოხეებს, აიღეს დერბენდი, თემირხანშურა და ომი სწარმოებს პეტროვსკასთან და სხვადასხვა.

ყველა ეს ცნობები გვჯეროდა არამცთუ ჩვენ, უბრალო ემიგრანტებს, არამედ, როგორც ეტყობა, სჯეროდა თვითონ ჟორდანიასაც, რადგან 19 სექტემბერს ერთად შეხვედრის დროს მან მკითხა, რატომ არ მივდივარ მე საქართველოში, რომელსაც ამჟამაც ასე ესაჭიროება „ჩემი ნიჭი და გამოცდილება და როდესაც მე ვუთხარი, წასვლისთვის საჭირო ფული არა მაქვს და ეს საკითხი არც წამოყენებულა მთავრობაშიმეთქი, მიპასუხა, რომ ამისთვის ფული მოიპოვება და მე უნდა მზად ვიყო წასასვლელად.

მთავრობას ფული არ აღმოაჩნდა და მთავრობის ნებართვით მე გამოვართვი ორი კერძო პირს 20 ათასი ფრანკი და ამ ფულით გავემგზავრე კონსტანტინეპოლისაკენ.

2 ოქტომბერს, საღამოზე ჩავედი კონსტანტინეპოლში და მეორე დღეს დილით მივედით ბინაზე ე. გვარჯალაძესთან.

კონსტანტინეპოლში ორი-სამი დღის ყოფნის დროს კარგად გავიგე საქმის ნამდვილი ვითარება და მწარედ დავღონდი“, — იგონებს გენერალი.

საქართველოში წამოსვლას გ. მაზნიაშვილი აღარ ფიქრობდა, დააპირა პარიზში დაბრუნება, მაგრამ ამ დროს კონსტანტინეპოლში მივიდა ცნობა, რომ მეამბოხეთა ნაწილი გადმოვიდა ოსმალეთის საზღვარზე და ითხოვდნენ მატერიალურ დახმარებას.

ზოგიერთი ქართველის დახმარებით, რომლებიც დაახლოებული იყვნენ ოსმალეთის მთავრობის წევრებთან, ამ მეამბოხეთა ჯგუფს საფრანგეთში წასვლის ნებართვა მიეცა.

იმავე დროს მათს დასახმარებლად კ. გვარჯალაძის ინიციატივით კონსტანტინეპოლში შედგა კომისია, რომლის თავმჯდომარედაც გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა. კომისიას პარიზთან მოუვიდა 40 ათასი ფრანკი, 10 ათასი ფრანკი შეაგროვა კ. მაზნიაშვილმა კონსტანტინეპოლში კავკასიის კოლონიის მცხოვრებლებს შორის და ამ ფულს ახმარდა ლტოლვილებს, აცმევდა, ასაზრდოებდა და სხვა. ლტოლვილები მოდიოდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად 15-20 კაცი ერთად.



გიორგი მაზნიაშვილის მეუღლე სოფიო და ქალ-ვაჟი — ანეტა და ივანე.

ერთ-ერთ ასეთ ჯგუფში იყო სპირიდონ ჭავჭავაძე, რომელიც პარიტეტული კომიტეტის მიერ დანიშნული იყო ამიერკავკასიის აჯანყებულთა რაზმების მთავარსარდლად.

გიორგი მაზნიაშვილი შეეკითხა ჭავჭავაძეს, რისი იმედი ჰქონდა, როდესაც სათავეში უდგებოდა ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს, მან მიუგო, რომ ის, ჭავჭავაძე დაიბარა ანდრონიკაშვილმა და წინადადება მისცა, რომ ეკისრა აჯანყებულთა უფროსობა და დაუმატა, რომ რიზესა და ხოფას შუა დგანან იარაღით და სურსათით და დესანტის დატვირთული გემები გენერალ მაზნიაშვილისა და ნოე რამიშვილის მეთაურობით, რომლებიც ელიან მხოლოდ იმას, რომ ჩვენ დავიჭერთ ზღვის სანაპიროებს, მაშინ ისინი ჩაუდგებიან სათავეში აჯანყებულებს და თვითონ იციან რასაც იზამენო.

ისე, რომ უნდოდათ მაზნიაშვილის ჩაბმა აჯანყებაში, თანაც სათავეში უნდა ჩასდგომოდა მას. „ასე ჩემ დაუკითხავად, მოურიდებლად და ურცხვად გამოიყენეს მენშევიკებმა ჩემი სახელი“, — დასძენს გ. მაზნიაშვილი.

როგორც ცნობილია, 24 წლის აჯანყება მარცხით დამთავრდა და გიორგი მაზნიაშვილს ახლა იმაზე მოსცხეს ჩირქი, თითქოს მას აჯანყებულთა გეგმა გაეცეს, რამაც დამარცხება გამოიწვიაო.

ამითაც ძალიან ატკინეს გული ალალ-მართალ გენერალს. „ამ ამბებმა მთლად ბოლო მომიღოო“, — გულისტკივილით წერს. ლტოლვილთა რიცხვმა თანდათან იკლო და გ. მაზნიაშვილმა გადაწყვიტა პარიზში დაბრუნებულიყო. მართლაც, დეკემბრის ბოლოს ჩავიდა და მთავრობის წევრებს სრული ანგარიში ჩააბარა.

იანვრის დასაწყისში გიორგი მაზნიაშვილმა ოჯახისაგან წერილი მიიღო, მეუღლე და შვილები წერდნენ, თბილისში უცნაური ჭორები გავრცელდა და სთხოვდნენ რამენაირად გაეფანტა ეს ჭორები.

და 14 იანვარს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სახელზე დაწერა განცხადება, რომლითაც ითხოვდა სინამდვილის გარკვევას, ჭორების გაფანტვას.

ამას ემატება ისიც, რომ მეტად გაჭირვებით ცხოვრობდა.

აი, ამ გაჭირვებამ და მისი პიროვნებისა და პატიოსნების აბუჩად აგდებამ აიძულა მიემართა საბჭოთა მთავრობისათვის, შეემოკლებინათ მისი გაძევების ვადა, ნებართვაც მიიღო, მას სამშობლოში დაბრუნება იმიტომაც უნდოდა, რომ ხმამაღლა ეთქვა ყველა ქართველის გასაგონად, რომ რამიშვილისა და მისი დამქაშების ავანტიურებში მე არავითარი წილი არ მიდევსო“.

ნოე რამიშვილმა ადრე მართლაც ბევრჯერ ატკინა გული, კუდში დასდევდა გენერალ მაზნიაშვილს. ის გმირულად ებრძოდა სამშობლოს მტრებს, ნოე რამიშვილი თავდადებულ გენერალს ედგა კრიჭაში, მოსვენებას არ აძლევდა. მისი ბრძანებით მალ-მალე თავს ესხმოდნენ, ბინებს უჩხრეკდნენ. ქვეყანაში შიმშილობა მძვინვარებდა, გიორგი მაზნიაშვილმა სოფელში სურსათი, ძირითადად ზეთი, მაკარონი, ვერმიშელი ჩამოიტანა და დამშეულ თანასოფლელებს დაურიგა, ეს მოხერხებულად გამოიყენა მისმა დაუძინებელმა მტერმა, ნოე რამიშვილმა და სასამართლოში უჩივლა: მაზნიაშვილმა ჯარის სურსათი მიითვისაო. რამიშვილმა ეს ამბავი ვერ დაუმტკიცა და გაამტყუნეს. თავმომწონე და შეურაცხყოფილმა გიორგი მაზნიაშვილმა ცილისწამებისთვის რამიშვილის დასჯა მოითხოვა, მაგრამ რამიშვილს ნოე ჟორდანია გადაეფარა და გააჩერეს.

გიორგი მაზნიაშვილს ბინები ჰქონდა თბილისშიც და სასირეთშიც, ცხოვრობდა საშუალოდ. ის კარგი თბილისური ბინა მისი შეძენილი არ იყო, სიდედრმა მდიდარმა, სომხის ქალმა აჩუქა, მაზნიაშვილის მეუღლე — სოფიო ივანეს თუმანიანის ნათესავი იყო, დეიდაშვილად მოხვდებოდა.

გადამდგარი გენერალი ძირითადად სოფელში ცხოვრობდა, იშვიათად თუ ჩავიდოდა თბილისში, ისიც მაშინ, როცა საქმე ჰქონდა.

1929 წლის ივნისიდან გიორგი მაზნიაშვილი პენსიაზე გადის და ენიშნება 150 მანეთი „პირადი სამხედრო დამსახურებისათვის“. გადამდგარი გენერალი უმთავრესად მშობლიურ სოფელ სასირეთში ილვწოდა, უქმად ვერ ნახავდა კაცი, უწინარესად, თავის მამა-პაპეულ სახლს მიხედა, ხელახლა გააშენა ვენახები და ბაღები, ბარაქა და დოვლათი არ ილეოდა მის დიდებულ მარანსა და სახლში. თავისი ოფლითა და გარჯით მაგალითს აძლევდა მიწისა და შრომის ისედაც მოყვარულ თანასოფლელ გლეხებს.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს გიორგი მაზნიაშვილის გამოსცხადებია წმინდა გიორგი, რომლისთვისაც უთხოვნია, ოღონდაც ცოცხალი გადამარჩინე და შენი სახელობის ეკლესიას აღვადგენო. ეს გაუმეორებია პირველ მსოფლიო ომში ბრძოლის დროსაც.

ჰოდა, აი, სოფელში რომ დაბრუნდა, პირველ რიგში აღადგინა თითქმის საძირკვლამდე დანგრეული სასირეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც თვითონ იყო მონათლული.

და ეს ხდება მაშინ, როცა თითქმის მთელ საქართველოში ულმერთოთა ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ანგრევდნენ მართლმადიდებლურ სამლოცველოებს.

სხვაც ბევრი პრობლემა აწუხებდა სოფელს, როგორც ცნობილია, სასირეთი მტკვრის ახლოს მდებარეობს, იქ, სადაც მდინარე თეძამი ერთვის დედამდინარეს. მტკვარი თითქმის შუაზე ჰყოფს სასირელების მინდვრებს, ნახევარი მტკვრის გაღმაა, აშურიანის ქედის ძირში, დავაკებაზე, იმ მიწების დასამუშავებლად და მოსავლის გამოსაზიდად სასირელებს ხშირად უხდებოდათ მტკვარში გასვლა-გამოსვლა ფონით, ეს კი დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული, ყოფილა შემთხვევა, როცა ურემი გადაუბრუნებია ადიდებულ მდინარეს, მეურმეც დაუხრჩვია და ხარ-კამეჩიც.

რაკი ეს ამბავი ძლიერ აწუხებდა სოფელს, გენერალი თბილისში წავიდა, როგორც იტყვიან, ქვეყანა შეძრა და ბორნის ჯაჭვები იშოვა და მალე ბორანი ააგო. სოფელს სხვა უარესი გასაჭირიც ედგა. სასმელი წყალი არა ჰქონდა, თეძმის წყალს სვამდნენ, მაგრამ მდინარე ხშირად ადიდდებოდა და იმღვრეოდა, დასალევად უვარგისი და სახიფათო ხდებოდა.

ეს პრობლემაც გადაუწყვეტია გიორგი მაზნიაშვილს. სოფელ ახალქალაქში, რომელიც ასირეთიდან 5-6 კილომეტრის მოშორებით, იმავე თეძმის პირას მდებარეობს და სადაც ოდითგანვე მისდევდნენ მეთუნეობას, თიხის მილები დაამზადებინა და 7 კილომეტრის სიშორიდან წყარო ჩამოიყვანა, გაიხარეს სასირელებმა, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე გამოდგა, ხეხილის ფესვებმა მილები დახეთქა და წყალი გზადაგზა იკარგებოდა, სოფლამდე ველარ აღწევდა.

**გიორგი ხორგუაშვილი**

**(დასასრული იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 22-28.**

◉ ინფორმაცია

## ბანკომატებისთვის მიწის ნაკვეთები იჯარით

თბილისის მთავარ ქუჩებსა და გამზირებზე, ბანკომატების ქსელის განვითარების მიზნით, ჯიხურების განთავსებისთვის მიწის ნაკვეთები იჯარით გაიცემა. როგორც დედაქალაქის ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა განმარტა, პირველი ეტაპისთვის გაიცემა 4 მიწის ნაკვეთი, 10-წლიანი ვადით.

— ჯერჯერობით უცნობია, იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთებზე რომელი ბანკის ჯიხურები განთავსდება. ამას თავად კონკურსი გადაწყვეტს. რომელი ბანკიც გაიმარჯვებს, მისი ბანკომატები განთავსდება პრესტიჟულ ადგილებზე, — განაცხადა მამუკა ახვლედიანმა.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ გახდა ცნობილი, ბანკომატებისტვის განკუთვნილი 4 სავარაუდო ადგილიდან ერთ-ერთი უნივერსიტეტის ბაღის მიმდებარე ტერიტორია იქნება.

მერიაში მიწის ნაკვეთის ღირებულებაზე, ჯერჯერობით, არ საუბრობენ.

ჯი-ეიჩ-ენი

## პოლ დაიკი მთაწმინდაზე

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის კომერციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ პოლ დაიკმა დღეს მთაწმინდაზე ყოფილი რესტორნის შენობა დაათვალიერა, რომლის აღდგენასაც კომპანია „ჯი-ემ-თი ჯგუფი“ ახორციელებს.

„საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმები ხორციელდება. დაწყებულია ბევრი დიდი პროექტი. მთაწმინდის ყოფილი რესტორნის შენობის აღდგენა ერთ-ერთი განსაკუთრებული პროექტია, მასში კი ამერიკელი ინვესტორებიც მონაწილეობენ“, — განაცხადა პოლ დაიკმა.

მისივე თქმით, მისი თბილისში ვიზიტის მიზანია ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაცნობა, ასევე მთავრობის წარმომადგენლებთან და საქართველოში მოღვაწე ამერიკელ ბიზნესმენებთან შეხვედრების გამართვა.

როგორც „ჯი-ემ-თი ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი თავაძემ განაცხადა, მთაწმინდის ყოფილი რესტორნის შენობის აღდგენა-განახლებით თბილისს კიდევ ერთი სიმბოლო დაუბრუნდება.

— პროექტით გათვალისწინებულია შენობის ფასადის შენარჩუნება, მისი ინტერიერის უახლესი სტანდარტებით მოწყობა და შენობისთვის ძველი დიდების დაბრუნება. შენობის დიზაინზე მუშაობს ქართველი, ფრანგი და ინგლისელი დიზაინერების და არქიტექტორების ჯგუფი“, — აღნიშნა თავაძემ.

მისივე თქმით, მაისის თვეში დაგეგმილია სამუშაოების პირველი ნაწილის დასრულება, რაც ფუნიკულიორის ხაზის ამოქმედებას უკავშირდება.

ინტერპრესნიუსი

## წუთისოფელი

**„ახლა რაღა დროა, — სიცოცხლე გაუმწარეო“, შესძახა თურმე ილია ჭავჭავაძემ, როცა ნ. ნიკოლაძის სტატია „ობზორში დაბეჭდილი წაუკითხავს. გადაწყდა, ნ. ნიკოლაძის წერილის გამო პასუხი მისთვის ივანე მაჩაბელს უნდა დაეწერა.**



ნიკო ნიკოლაძე



ივანე მაჩაბელი

**მამულიშვილები**

*ნიკო ნიკოლაძე და ივანე მაჩაბელი ორთავე — XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მშვენებაა.*

*ნიკო ნიკოლაძე (1843-1929წ) თავისი პუბლიცისტიკით თავისუფალ სიტყვას ამკვიდრებს, ხოლო ივანე მაჩაბელი (1854-1898წ) „სიტყვისმიერი ხელოვნებით“ ქართული კლასიკური თარგმანის ფუძემდებელია.*

*ქართულ პრესაში მათ ერთმანეთის გვერდით უხდებოდათ მოღვაწეობა იმ დროს, როდესაც, ფაქტობრივად, „თერგდალეულთა“ იდეოლოგია დასასრულს უახლოვდებოდა. ამდენად, მათ (ილიას, აკაკის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ი.მაჩაბლის...) განსხვავებული აზრი, სიტყვა და ხედვა ჰქონდათ.*

*დიდი პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად ზნეობრივ ფაქტორს „წესისა“ და „კანონის“ აღსრულებას მოითხოვდა — საზოგადოებაში ამგვარი ტერმინიც შემოაქვს — „ზნეობრივი დეზინფექცია“.*

*80-იან წლებში ნ. ნიკოლაძეს „ახალ ჟურნალისტიკაში“ ახალი თაობიდან ივ. მაჩაბელს ასახელებს, რომელთანაც არ აცდა პოლემიკა, რადგან ი. ჭავჭავაძეს თანადგომას იმსახურებდა. ივანე მაჩაბელი მიუღგომელი, შემტევი და აქტიური პოლემისტი აღმოჩნდა. მთავარი ის გახლდათ, რომ ჩვენმა წინაპრებმა შესანიშნავად იცოდნენ ერთმანეთის ღვაწლის დანახვა და შეფასება.*

*ნ. ნიკოლაძესა და ივ. მაჩაბლის ურთიერთობის შესახებ მასალები იბეჭდება პირველად.*

# ბუმბერაზთა ჭიდილი — ქვეყნის სასიკეთოდ

1876 წელს დაწყებული ნიკო ნიკოლაძის და ილია ჭავჭავაძის პოლემიკა, — თითქოსდა მინელდა, მაგრამ სრულიად არ ჩამქრალიყო.

და, აი, ახალა, 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც — „ახალ ჟურნალისტიკაში“ (ნ. ნიკოლაძე) აშკარად გამოიკვეთა ივ. მაჩებლის სახელი, ის ილია ჭავჭავაძის გვერდით იდგა და ნიკოლაძესთან პოლემიკაში უთანაგრძნობდა.

1880 წელს ნ. ნიკოლაძე „ობზორში“ (1878-1881წ) გამოაქვეყნებს ფელეტონს და „ივერიაში“ (1879წ) დაბეჭდილ ივ. მაჩაბლის ლექსს დაცინვით „ასტრონომიულ ლექსს“ უწოდებს. ეს იყო ნ. ნიკოლაძის პირველი შეტევა მაჩაბლის წინააღმდეგ, თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ „პოეტი“ მაჩაბელისთვის — გულსატკენი და მიუღებელი. თავისი ტკივილი მაჩაბელმა ნიკოლაძის წინააღმდეგ „დროებაში“ დაბეჭდილი ფელეტონით გამოხატა — „სცენა ვეფხვის ტყაოსნიდგან“ — „ობზორის“ რედაქციაში — ავთანდილი (ივ. მაჩაბელი) მიმართავს მეფე როსტევანს (ი. ჭავჭავაძეს) სოგრატ ვეზირთან (ნ. ნიკოლაძე) ერთად, რომელსაც რედაქციაში თათბირი გაუმართავს:

**„იქნება ვინმემ გაბედა,**
**შენზედ რაიმე ძვირიო!**
**გვიბრძანე სრულად**
**აღმოვფხრათ მისი ფესვი**
**და ძირიო,**
**ცუდათ შევუქმნათ თათბირი**
**და მისი დანაპირიო“.**

სოგრატ ვეზირი (ნ. ნიკოლაძე):

**„მე მიწერენ, ვითომც ვცრუობ,**
**ეს ვინ როგორ გამიბედა!**
**დღეს სხვას ამბობ, ხვალ**
**სხვასაო, ბრძანდებიო**
**ცუდათ-ყბედა“.**

სხვათა შორის, ნ. ნიკოლაძის ამგვარი ხედვა ივ. მაჩაბელმა თავის პირველ საპოლემიკო წერილში არსებითად გამოხატა. მხედველობაში გვაქვს (ივ. მაჩაბლის წერილი „რაღა დროს!“) და როდესაც 1880 წელს (იანვარი) ნ. ნიკოლაძემ ბ. ღოღობერიძის მოღვაწეობა კვლავ გაიხსენა, პუბლიცისტის ტონი ამჟამად შერბილებული გახლდათ და ვრცლად საუბრობდა ღოღობერიძის მოღვაწეობის დადებით მხარეზე (ბ. ღოღობერიძე ერთი წლის გარდაცვლილი გახლდათ 1879 წ.).

„ახლა რაღა დროა, — სიცოცხლე გაუმწარეო“, შესძახა თურმე ილია ჭავჭავაძემ, როცა ნ. ნიკოლაძის სტატია „ობზორში დაბეჭდილი წაუკითხავს. გადაწყდა, ნ. ნიკოლაძის წერილის გამო პასუხი მისთვის ივანე მაჩაბელს უნდა დაეწერა.

მძიმე, ძალზე მძიმე ამოცანის წინაშე იდგა თურმე ახალგაზრდა ივანე მაჩაბელი. იგი უნდა შებრძოლებოდა უკვე სახელმოხვეჭილ, მახვილგონიერი კალმის პატრონს, ნიკო ნიკოლაძეს, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ რუსეთისა და უცხოეთის დიდი მოღვაწენი.

მაგრამ ყოველივე მაინც მოხდა: ივანე მაჩაბელი, როგორც პოლემისტი წარსდგა საზოგადოების წინაშე და ნ. ნიკოლაძეს ილიას სიტყვებით მიმართა, „რაღა დროს!“ — ამბობენ, რომ „დროების“ რედაქციაში წერილი ყველას მოეწონა და შეუსწორებლად გამოაქვეყნეს. საპოლემიკო წერილში ივ. მაჩაბელი განიხილავდა „ობზორში“ დაბეჭდილ ნიკოლაძის ფელეტონებს („ობზორი“ 1878 წ. 108 და 1879 წ. 392წ). ივ. მაჩაბელი დაწვრილებით საუბრობდა ნ. ნიკოლაძის ბრალდებებზე ღოღობერიძის მიმართ, მიანიშნებდა მის დამოკიდებულებას ღოღობერიძის მოღვაწეობაზე სხვა და სხვა დროს.

ნ. ნიკოლაძე არ დააყოვნებს და მეორე დღესვე „ობზორში“ სასწრაფოდ დაბეჭდავს საპასუხო წერილს, რომელშიც მაჩაბელს იხსენებს, როგორც „какой-то **И. Мачабели“,** თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ „ვიღაც“ მაჩაბელი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი, ილიას თანამდგომი და თანამოღვაწე გახლდათ.

ნ. ნიკოლაძის ასპარეზი ძლიერი კალმით, მრავლისმომცველი ლოგიკით ხასიათდებოდა, ამდენად, ნიკოლაძე პუბლიცისტი გაცილებით მაღლა იდგა, მაჩაბელთან შედარებით. ნ. ნიკოლაძის პოლემიკური ოსტატობა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ილია ჭავჭავაძის გვერდით.

1884 წელს ნიკო ნიკოლაძე ისევ საქართველოშია. ჭავჭავაძე, ნიკოლაძე, მაჩაბელი კვლავ ერთად არიან. დრო და ვითარება მათ ერთად ყოფნას ითხოვდა და არა დაპირისპირებას, რასაც შესანიშნავად აცნობიერებდნენ.

1884 წლის 30 ნოემბერს „დროების“ რედაქციამ (რედაქტორი ივ. მაჩაბელი) ნადიმი გაუმართა საფრანგეთის კონსულს მ. მეიერის (იმ დღეს ითხივე ერთად ესწრებოდა კონსულის საპატივცემულოდ გამართულ წარმოდგენას), ნადიმზე სტუმარს შესანიშნავი სიტყვით მიმართა ილია ჭავჭავაძემ, ილიას სიტყვას ფრანგულ ენაზე ნიკო ნიკოლაძე თარგმნიდა, მასპინძელი ივ. მაჩაბელი ამ დღეს ძალზედ მოკრძალებული გახლდათ. თუმცა ილიას დიდებული სიტყვის გამო აღფრთოვანებას ვერ მალავდა, მისი მოუსვენრობა ნიკო ნიკოლაძეს შეუმჩნევია და მიუმართავს: „ვანო, ხომ არ გინდა დაგითმო სიტყვის გადათარგმნა?“

ივ. მაჩაბლის პასუხი შემდეგი გახლდათ: **„მე აღტაცებით ვიკისრებ, თუ ილიას ნება იქნება“**-ო. ილიას თანხმობა განუცხადებია. ივ. მაჩაბლის ფრანგულით კონსული დიდათ კმაყოფილი დარჩენილა, ვანოს მჭერმეტყველებით აღფრთოვანებული, სიტყვას ტაშით აწყვეტინებდა.

ამ დაუვიწყარ დღეს არც ერთს არ ახსოვდა ურთიერთწყენა, ნ. ნიკოლაძის არყოფნის დროს ივ. მაჩაბელს დიდი ბრძოლები გადახდა „დროების“ რედაქტორობისთვის, ბანკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად. ორივე ბრძოლა მაჩაბელმა ილია ჭავჭავაძის სურვილის საწინააღმდეგოდ წარმართა, გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ეს მოვლენაც თითქმის დავიწყებას მიეცა. ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ახლებურად აღიქვამდა რჩეულ შვილთა მოღვაწეობას.

სამწუხარო ის გახლდათ, რომ ზოგჯერ მათ დაპირისპირებასაც ახერხებდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი საქმე უნდა გადაწყვეტილიყო.

წარსულში თუ პოლემიკა მწვავე და მკაფრი იყო, იმავდროულად იგი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო რთული ხდებოდა ცხოვრება, ახალი დრო შეუცნობლობით მკვიდრდებოდა, „თერგდალეულებს“ შორის ერთიანობა ირღვეოდა, ქვეყნის რჩეული შვილები ცხოვრების რთული პერიპეტიების წინაშე აღმოჩნდნენ.

დრომ მოითხოვა ახალი რუსული პერიოდული ორგანოს „ნოვოე ობოზრენიეს“ დაარსება (1884-1906წ, რომლის რედაქტორი იყო ალექსი სტეპანოვი (1844-1887წ), პროფესიით იურისტი. გაზეთი დემოკრატიული კავკასიური რუსული პრესის „ტიფლისკი ვესტნიკისა“ და „ობზორის“ შესანიშნავ ტრადიციებს აგრძელებდა. გაზეთში აქტიურად ხდებოდა ქართული ლიტერატურის კონკრეტული საკითხების გაშუქება. გაზეთის არსებობამ სხვა ელფერი და ძალა შეიძინა, როდესაც ნიკო ნიკოლაძე მისი ფაქტობრივი ხელმძღვანელი შეიქმნა (1894წ.)

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეპოქის სირთულე ქვეყნის რჩეულ ადამიანებს ხან თანადგომას, ხან დაპირისპირებას სთავაზობდა.

ნიკო ნიკოლაძე კარგად ხედავდა არსებულ სიტუაციას და 90-იან წლებში თავის აზრს „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებიდან გამოთქვამდა.

იხ. 14 გვ.

**ვეტერანები**

# მაღაროელის ზამთრისპირი

**სოფელი კაცითააო, ყველას გვსმენია, ყველას მოგვწდენია ასეთი ვაჟკაცებისა და ქალბატონების მადლი. სოფელი სოფლადო კი ვამბობთ, მაგრამ ჩვენში, როგორც სხვაგან, ქალაქშიც მრავლად არის ასეთი ხალხი, ვინც ამშვენებს მშობლიურ კუთხეს, გულს უცისკროვნებს ნათესავებსა და ახლობლებს.**

არც ულამაზეს ჭიათურას აკლია ლაზათიანი, გამრჯე და გულიანი ადამიანები, თუმცა მათ შორისაც არიან ერთგვარად გამორჩეულნი. სწორედ ასეთი კაცი გახლავთ ყოფილი მაღაროელი, სოფელ სარეკის მკვიდრი, ომისა და შრომის ვეტერანი **ნიკოლოზ მუმლაძე.** ბატონმა ჯაბამ, როგორც მას შინაურები ეძახიან, სახელოვანი შრომითი და საბრძოლო გზა განვლო. 1939 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჭიათურაში კალინინის სახელობის მაღაროში ელექტრომონტიორად დაიწყო მუშაობა, მაგრამ ცოტა ხანში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ახალგაზრდა კაცი ჯერ როსტოვის მისადგომებთან, შემდგომ ფრონტის სხვა უბნებზე ებრძოდა მტერს. 1947 წელს, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ვაჟკაცი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა, ხოლო 1950 წელს, ქუთაისის საავტომობილო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროში თავდაპირველად მექანიკოსად იწყებს მუშაობას, 1960 წლიდან კი უკვე მექანიკური სახელოსნოს უფროსია.

ძველ მაღაროელებს, რომლებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, არცთუ მრავლად შემოგვრჩნენ, კარგად ახსოვთ და უყვართ ეს პატიოსანი, მუხლჩაუხრელი მუშაკი, გულიანი მეგობარი, სხვისი სატკივარის გულთან ახლოს მიმტანი კაცი.



ბატონი ჯაბა, მრავალი ნოვატორული იდეის ავტორი, საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში მოტრიალე კაცი, ამჯერადაც ახალგაზრდული შემართებით დასტრიალებს საქმეს, ახლა უკვე საკუთარ კარ-მიდამოში, მშობლიურ სოფელში, შვილებისა და შვილიშვილების გულის გასახარად.

ბევრი აღარ აკლია ბატონ ჯაბას საუკუნოვანი ასაკის შესრულებამდე. მას, ისევე, როგორც ჩვენ მრავალ სათაყვანებელ ჭარმაგ მშრომელ კაცს, ვალმოხდილ მამულიშვილს, ღირსეულ ვეტერანს, რომლებსაც, სამწუხაროდ, ასე აკლიათ სახელმწიფოს ზრუნვა, უწინარესად, ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

# სიტყვა თქვენი, საქმე ჩვენი

**ოთხმოც წელს გადააბიჯა ოთარ ჭილლაძემ, მოფერებით „გენერალს“ რომ ეძახიან გორელები, მაგრამ დღესაც ისეთ ჯავარზეა, გეგონება ახლა მიდიოდეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.**

17 წლის ბიჭი ომში სკოლის მერხიდან გაიპარა. ჯერ ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდა, შემდეგ კი იაპონიის კვანტუნის მილიონიანი არმიის განადგურებაში თავისი, ჯარისკაცური წვლილი დაიდო. ცხრამეტისა იყო („ოცი არ გადაეხადა“), როცა ომი დამთავრდა და საბრძოლო ორდენებით მკერდდამშვენებული ჭაბუკი შინ დაბრუნდა. როგორც იტყვიან, სახნისისგან გუთანი გამოკვერა და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩადგა.

თვალსა და ხელს შუა ჩამოიმარცვლა ცხოვრების კრიალოსანზე ექვსი ათეული წელი. დღეს ნაომარი და ნაჯაფი ოთარ ჭილლაძე დამსახურებულად ისვენებს. ცხოვრობს ხიდისთავში, უვლის ვენახს, აყენებს ზღაპრულ „თავკვერს“ და სოფელში პირველ მოჭადრაკედაც ითვლება.

„არაფერს ვუჩივი, არც ჯანს, არც ცხოვრებისეულ ხალისს, არც ეკონომიკურ მდგომარეობას, ოღონდ ეგაა — უტელევიზორობა მტანჯავს, მეზობლებში დავდივარ ახალი ამბების მოსასმენად, ფეხბურთის საყურებლად, ეგება დამეხმაროთ“, — მიწერა ამას წინათ ოთარ ჭილლაძემ შიდა ქართლის გუბერნატორს. ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ხიდისთავში ჭილლაძეების სახლის წინ მანქანა გაჩერდა, იქიდან გორის გამგებელი ვასილ მახარაშვილი გადმოვიდა და ვეტერანს შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ ქარელის საჩუქარი — ახალი ტელევიზორი გადასცა. სწორედ რომ, დროულად! იმ საღამოს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, ფეხბურთში საქართველოსა და თურქეთის ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს...

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

№ 29. ხუთშაბათი, 15 თებერვალი, 2007 წელი.



„ჩვენ ყოველთვის ვარიდებდით თავს ნატოში საქართველოში გაწევრიანების ზუსტი თარიღის დასახელებას. მაგრამ ახლა გენერალურმა მდივანმა თვითონ მონიშნა ეს ვადები. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანებას ვერაფერი შეუშლის ხელს", – თქვა სააკაშვილმა და იქვე მყოფ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველო სწორედ 2009 წელს შევა ალიანსში

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ფრთხილი მიწვევა ალიანსში

**13 თებერვალს თბილისში გახსნილი პარლამენტის საგაზაფხულო სესიის დღის გმირი დაუსწრებლად გახდა ნატოს გენერალური მდივანი. უშიშროების საკითხებისადმი მიძღვნილ მიუნხენის კონფერენციაზე იააპ დე ჰოოპ სჰეფერის გამოსვლამ, რომლის დროსაც მან განაცხადა, რომ საქართველოს, სერბეთს და უკრაინას უკვე ორი წლის შემდეგ ექნებათ ალიანსში გაწევრიანების რეალური შანსი, ეიფორია მარტო დეპუტატებს შორის როდი გამოიწვია.**

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას, მაგალითად, უკრაინისგან განსხვავებით, არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ნატოს კურსს მხარს დაუჭერს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა. ეს, კერძოდ, განაცხადა ორშაბათს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ. „ნატოში გაწევრიანებისთვის გვჭირდება ქართველი ხალხის თანხმობა, და ეჭვი არ მეპარება, რომ სწორედ ეს არის ქართველი ხალხის სურვილი და ნება", – აღნიშნა მან.



წინა დღით ამ ახალ ამბავს კომენტარი გაუკეთა ქართულოსური კონფლიქტის ზონაში მყოფმა ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. „ჩვენ ყოველთვის ვარიდებდით თავს ნატოში საქართველოში გაწევრიანების ზუსტი თარიღის დასახელებას. მაგრამ ახლა გენერალურმა მდივანმა თვითონ მონიშნა ეს ვადები. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანებას ვერაფერი შეუშლის ხელს", – თქვა სააკაშვილმა და იქვე მყოფ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველო სწორედ 2009 წელს შევა ალიანსში.

ნატოში გაწევრიანების გზაზე თბილისი ვერც იმაში ხედავს დაბრკოლებას, რომ საქართველო შედის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. როგორც პარლამენტის საგარეო კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა თქვა, თანამეგობრობიდან გამოსვლასთან დაკავშირებით პრობლემები არ წარმოიქმნება: „როცა დადგება შესაფერისი მომენტი, საკმარისი იქნება მხოლოდ პარლამენტის სხდომის მოწვევა, რომელიც, რა თქმა უნდა, მხარს დაუჭერს ამ გადაწყვეტილებას".

ასეთ ფონზე ყოველგვარი ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ საქართველო რაღაც ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს. თუმცა, ჯერ კიდევ ორი დღის წინათ სწორედ ეს საკითხი იყო ერთ-ერთი მთავარი ნინო ბურჯანაძისა და რუსეთის ფედერაციის ელჩის ვიაჩესლავ კოვალენკოს შეხვედრის დროს, რომელზეც პრესის წარმომადგენლები არ დაუშვეს. მაგრამ, საუბარი, როგორც ჩანს, ვერ შედგა. თბილისში დაბრუნების შემდეგ გამართულ პირველივე პრესკონფერენციაზე ელჩმა განაცხადა, რომ რუსეთს სურს საქართველო იხილოს ნეიტრალურ სახელმწიფოდ. მაგრამ ახლა კოვალენკო იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ეს საკითხი ღიად რჩება და მას კვლავ წამოჭრის რუსეთის მხარე.

თუმცა, ნატოში 2009 წელს გაწევრიანებასთან დაკავშირებით თბილისის ასეთ აღფრთოვანებას მოსკოვში დაუსაბუთებლად მიიჩნევენ. კერძოდ, ფედერაციის საბჭოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ ოზეროვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ალიანსის გენერალურ მდივანს მიუნხენში არ დაუსახელებია ნატოში საქართველოს მიღების ზუსტი თარიღი: „შემიძლია სიტყვა-სიტყვით გავიმეორო ის, რაც გენერალურმა მდივანმა თქვა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ 2009 წელს, როცა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აღნიშნავს თავისი დაარსების 60 წლისთავს, ნატო მზად იქნება განიხილოს ხორვატიის და მაკედონიის გაწევრიანების საკითხი. ამავე დროს, სერბეთთან, უკრაინასთან და საქართველოსთან ნატო გააგრძელებს მუშაობას ალიანსში მათი შესაძლო შესვლასთან დაკავშირებით". გენერალური მდივნის თქმით, ნატოში გაწევრიანებისთვის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა ის, რომ კანდიდატქვეყანას არ უნდა ჰქონდეს ტერიტორიული დავა. „საქართველოში ტერიტორიული მოწყობის საკითხები მოუგვარებელია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობაში. და, ალბათ, ვერც 2009 წლისთვის მოხერხდება ამ პრობლემის გადაჭრა", – მიაჩნია სენატორს.

**ანატოლი გორდიენკო, იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# საქართველომ ჟენევაში წინადადებათა პაკეტი წარადგინა

**გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელთა ჟენევის შეხვედრის დროს, რომელშიც ქართული და აფხაზური მხარეებიც მონაწილეობენ, საქართველოს დელეგაციამ გაუსვა ხაზი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირ ორმხრივ დიალოგს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის ხელშეწყობის მიზნით.**

საქართველოს მხარემ შეხვედრაზე წარმოადგინა იმ წინადადებათა პაკეტი, რომელთა განხორციელებაც, თბილისის აზრით, „დასახავს შესაძლებლობებს ასეთი დიალოგისთვის, შეუწყობს ხელს ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენას, რაც, საბოლოო ანგარიშით, გახდება წანამძღვარი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის".

როგორც კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში გვაცნობეს, ეს წინადადებები, კერძოდ, გულისხმობენ:

კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და უშიშროების აღდგენისთვის განკუთვნილი უშიშროების მექანიზმების ფორმირებას (შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს გალის რაიონის მოსახლეობის უშიშროებისა და მათი უფლებების დაცვის უზრუნველყოფაზეძ. ქართული მხარის აზრით, ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა გალში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნას და საერთაშორისო პოლიციური კომპონენტების ამოქმედებას;



მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილებისა და იძულებით ადგილნაცვალი პირების ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების პრინციპის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების, მათ შორის საკუთრებაზე უფლების სრული დაცვის პირობებში;

ქართული მხარის მზადყოფნა კვლავაც დაუჭიროს მხარი ეკონომიკურ სარეაბილიტაციო პროგრამებს, უწინარეს ყოვლისა, ევროკავშირის პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავენ კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციას, როგორც ქართულ-აფხაზური კონტაქტების გააქტიურებისა და ურთიერთნდობის ამაღლების საშუალებას;

ქართულ-აფხაზური საზოგადოებრივი კავშირების, ორმხრივი და მრავალმხრივი ჰუმანიტარული პროგრამების და მთლიანად ადამიანური განზომილების საკითხის წინა პლანზე წამოწევა.

ქართულმა მხარემ ასევე მოუწოდა აფხაზებს, გაალრმავონ თანამშრომლობა და არ შეუქმნან საფრთხე სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესის უწყვეტობას, – აღნიშნეს კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

REGNUM

# საქართველო დეპორტირებულთა უფლებებს სტრასბურგში დაიცავს

**13 თებერვალს საქართველომ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მიმართავს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, რათა დაიცვას რუსეთიდან დეპორტირებული თავისი მოქალაქეები. საქართველოს პარლამენტმა დეპორტირებულთა უფლებების დაცვის დროებითი კომისიის დასკვნით სხდომაზე მოისმინა იუსტიციის მინისტრისა და რუსეთში საქართველოს კონსულის გამოსვლები. პარასკევს პარლამენტი ამ საკითხის თაობაზე შესაბამის დადგენილებას მიიღებს.**

დროებითი საპარლამენტო კომისია შეიქმნა 2006 წლის ოქტომბერში, როცა 27 სექტემბერს თბილისში ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ოთხი რუსი ოფიცრის დაკავების შემდეგ, რუსეთმა განახორციელა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი სამხრეთელი მეზობლის წინააღმდეგ – უკანონო მიგრანტების იძულებითი დეპორტირების ჩათვლით. საქართველოს კონსულმა რუსეთის ფედერაციაში ზურაბ პატარიძემ განაცხადა, რომ რუსეთის სასამართლოებმა ამ საკითხის თაობაზე მიიღეს 4634 გადაწყვეტილება. სამშობლოში იძულებით დააბრუნეს 2380 საქართველოს მოქალაქე. თბილისში მიაჩნიათ, რომ ამ პროცესს ახლდა ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები და დევნა ეთნიკური პრინციპით.

როგორც დიპლომანტმა აღნიშნა, მიმდინარე წელს რუსეთში საქართველოს მოქალაქეების მიმართ დამოკიდებულება თანდათანობით იცვლება უკეთესობისკენ. მაგრამ ქართველ დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ უკან დახევა დაუშვებელია და რუსეთის წინააღმდეგ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღიძრას საქმე სასამართლოში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გიორგი ქავთარაძემ განმარტა, რომ სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში უნდა აღიძრას მარტის დამლევამდე. სარჩელის შედგენაში ქართულ მხარეს ეხმარება ორი ბრიტანელი იურისტი. მაგრამ ჯერჯერობით არ არის გარკვეული, რა სახის იქნება ეს სარჩელი: სახელმწიფო – სახელმწიფოს წინააღმდეგ თუ ევროპის სასამართლოში საქართველოდან გაგზავნიან დეპორტაციის დროს დაზარალებულთა ინდივიდუალურ სარჩელებს. შესაძლოა, რომ ეს ორივე ფორმა აირჩიონ.



იუსტიციის მინისტრის თქმით, ახლა მიმდინარეობს მუშაობა რუსეთის მხარის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის დოკუმენტურ მტკიცებულებებზე. მაგალითად, მრავალ დეპორტირებულს არ აქვს ხელთ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები – ისინი ან არ გაუციათ, ან ჩამოართვეს მათ რუსეთის საზღვარზე. „მე ვერ დავუშვებ იმას, რომ საქართველომ შეიტანოს სარჩელი და ვერ მოიგოს საქმე, – თქვა გიორგი ქავთარაძემ. – მე ვმუშაობ სამართლებრივ და არა პოლიტიკურ დოკუმენტებზე".

ზოგიერთ ოპოზიციონერ-დეპუტატმა მიიჩნია, რომ მინისტრმა უკან დაიხია. ოპოზიციური „დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელმა, ცნობილმა ალპინისტმა გიორგი თორთლაძემ მოითხოვა, რომ სარჩელი აღიძრას სწორედ სახელმწიფოს სახელით, რადგან ეს „მთელი საქართველოს პრესტიჟის საქმეა". კომისიის თავმჯდომარე, პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის წარმომადგენელი ნიკოლოზ გვარამია კი ამტკიცებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობაში საქართველო არაფრის დათმობას არ აპირებს. თვით ასეთი კომისიის შექმნის ფაქტიც კი უკვე არის „პოლიტიკური ჟესტი", „რეაქცია რუსეთში საქართველოს მოქალაქეების უფლებების კატასტროფულ შელახვაზე".

და მაინც, ოპოზიცია ვერც ამან დაამშვიდა. „ჩვენ ვაპირებთ მოვითხოვოთ მატერიალური და მორალური კომპენსაციები, აგრეთვე იმ რუსი სახელწიფო მოხელეების დასჯა, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ჩვენი მოქალაქეების უფლებათა დარღვევების გამო", – თქვა გიორგი თორთლაძემ.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

№ 29. ხუთშაბათი, 15 თებერვალი, 2007 წელი.

● სამშაბათს ბეირუთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ბიქფაიის მახლობლად, რომელიც ძირითადად ქრისტიანებითაა დასახლებული, აფეთქდა ორი ავტობუსი, რის შედეგადაც დაიღუპა სამი კაცი



# ვაცლავ კლაუსმა ვლადიმერ პუტინის მიერ დასმულ კითხვას პასუხი გასცა

**ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა პასუხი გასცა თავისი რუსი კოლეგის ვლადიმერ პუტინის კითხვას, რომელიც მან მიუნხენის კონფერენციაზე დასვა. კლაუსმა, კერძოდ, განაცხადა, რომ ჩეხეთში ამერიკელთა სარაკეტო თავდაცვის სისტემების შესაძლო განლაგება არ არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ.**

„ჩეხეთის ტერიტორიაზე სარაკეტო თავდაცვის კომპონენტების შესაძლო განლაგება მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დაცვისთვის როდია განკუთვნილი. ეს არის ჩეხეთის მიერ შეტანილი წვლილი ნატოს მთელ სივრცეში უშიშროების განმტკიცების საქმეში. კითხვას, არის თუ არა ამ პროგრამების სამიზნე რუსეთი, ასე ვუპასუხებდი – არა“, – თქვა ვაცლავ კლაუსმა.

შეგახსენებთ, რომ მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოს მოქმედება. პუტინმა ასეთი კითხვა დასვა: ვის წინააღმდეგ არის მიმართული სარაკეტო თავდაცვის სისტემა, რომლის განლაგებასაც აპირებენ აღმოსავლეთ ევროპაში?

როგორც ვაცლავ კლაუსმა აღნიშნა, ამერიკის მხარესთან ამ საკითხის დეტალური განხილვა „სულ რამდენიმე დღის წინათ დაიწყო“. „ჩვენ მზად ვართ დისკუსიისთვის, მაგრამ რაიმეზე კონკრეტულად ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია“, – აღნიშნა მან და დასძინა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება ერთი წლის შემდეგ მიიღონ.



შეეხო რა რუსეთთან ურთიერთობას, ჩეხეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ იგი თანდათანობით ნორმალური ხდება. „ახლა ჩვენთვის რუსეთი, უბრალოდ სხვა ქვეყანაა, არც მეტი, და არც – ნაკლები“, – განაცხადა ჩეხეთის სახელმწიფოს მეთაურმა და დასძინა, რომ მისი ქვეყნის ძირითადი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები სადღეისოდ არის „ერთი მხრივ, ევროკავშირი, მეორე მხრივ კი – ნატო“.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის იანვრის დამლევს შეერთებულმა შტატებმა დაიწყო მოლაპარაკება ჩეხეთის მთავრობასთან რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკელთა სარაკეტო თავდაცვის გლობალური სისტემის რადარების განლაგების შესახებ. ვაშინგტონს დაგეგმილი აქვს ცენტრალურ ევროპაში განალაგოს საჰაერო თავდაცვის ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა „ტერორისტებთან დაკავშირებული პოლიტიკური რეჟიმების მიერ გაშვებული რაკეტების ლიკვიდაციას“.

სავარაუდოდ, ამერიკელთა სარაკეტო დანადგარები შეიძლება განათავსონ პოლონეთში, რადარები კი – ჩეხეთში. მათი დისლოკაციის ადგილად მიიჩნევენ ჩეხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე „ლიბავის“ პოლიგონს.

რუსეთმა გაილაშქრა შეერთებული შტატების გეგმების წინააღმდეგ. „ჩვენ ვეწინააღმდეგებით ევროპაში ამერიკელთა სარაკეტო თავდაცვის მესამე პოზიციური რაიონის შექმნის გეგმებს, რადგან ვერ ვხედავთ ამაში არათუ პოლიტიკურ, არამედ სამხედრო აზრსაც კი“, – განაცხადა რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა. როგორც მან თქვა, აღმოსავლეთ ევროპაში სარაკეტო თავდაცვის სისტემათა განლაგების შემთხვევაშიც კი, ეს ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს რუსეთის უშიშროებაზე. Тополь-მ სარაკეტო კომპლექსებს, რომლებიც ჩვენ უკვე კარგა ხანია ყველას ვუჩვენეთ, გარანტირებულად შეუძლიათ ნებისმიერი სარაკეტო თავდაცვის სისტემების დაძლევა. ამიტომ, ამერიკელთა ასეთ გეგმებს ჩვენ მშვიდად ვეკიდებით“, – თქვა მინისტრმა.

მოგვიანებით სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ არც ფხენიანს და არც თეირანს არ აქვთ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, რომლებიც შეუქმნიდნენ საფრთხეს შეერთებულ შტატებს და მათ მოკავშირეებს. „მათ აქვთ მოქმედების საშუალო რადიუსის რაკეტები, მაგრამ უახლოესი მომავლისთვის გამორიცხულია ამ ქვეყნებში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გამოჩენა“, – თქვა მინისტრმა. მან ეჭვქვეშ დააყენა სარაკეტო თავდაცვის სისტემის აუცილებლობის დასადასტურებლად ნატოს მიერ მოტანილი არგუმენტები, კერძოდ ის, რომ „სისტემები საჭიროა იმ რაკეტების გადატაცების მიზნით, რომლებიც შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მიმართულებით შეიძლება გაუშვან ჩრდილოეთ კორეამ ან ირანმა“.

# თურქმენეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

**ოთხშაბათს თურქმენეთში ოფიციალურად გამოაცხადეს პრეზიდენტის არჩევნების შედეგები. სახელმწიფოს მეთაური გახდა გურბანგული ბერდიმუხამედოვი, რომელსაც ამომრჩეველთა 89 პროცენტმა დაუჭირა მხარი.**

ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის გარდაცვალების შემდეგ, ბერდიმუხამედოვს ბევრი მიიჩნევდა ამ პოსტის მთავარ პრეტენდენტად.

კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ აშხაბადში გაიმართა ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია, რომელსაც ესწრებოდნენ რუსეთის პრემიერ-მინისტრი მიხეილ ფრადკოვი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რიჩარდ ბაუჩერი, ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ ახმადინაჯედი და სხვა საპატიო სტუმრები.

სამართალქომაგთა მრავალმა ორგანიზაციამ, დასავლელმა დიპლომატებმა და ქვეყნიდან დევნილმა თურქმენმა ოპოზიციონერებმა არჩევნებს არაკანონზომიერი უწოდეს, რადგან მასში მონაწილეობის ნება არ დართეს ოპოზიციის კანდიდატებს.

არჩევნების შედეგები ოფიციალურად გამოაცხადეს თურქმენეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე.

პოლიტიკაში გადასულმა ყოფილმა დანტისტმა გურბანგულ ბერდიმუხამედოვმა დადო ფიცი. ინაუგურაციასთან დაკავშირებით აშხაბადის მთავარ მოედანზე გაიმართა სამხედრო პარადი და სხვა საზეიმო ღონისძიებები.

როგორც პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, თურქმენეთს, ენერგორესურსების უზარმაზარი მარაგების მქონე ქვეყანას, ახლა სჭირდება სტაბილურობა. მათი აზრით, თურქმენეთი შეიძლება გახდეს ენერგოშემცველების სფეროში ცენტრალური აზიის და ევროპის დამაკავშირებელი დერეფანი.

ქვეყნის განსვენებული პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი თურქმენეთს სათავეში ედგა 20 წელიწადზე მეტ ხანს. ამ დროის განმავლობაში მან შექმნა პიროვნების კულტი, შეამცირა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და ქვეყანა დანარჩენი სამყაროსგან იზოლაციაში მოაქცია.

თურქმენეთი დღემდე ითვლება ცენტრალური აზიის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტარულ სახელმწიფოდ, და მართალია, არჩევნებში რამდენიმე პრეტენდენტი მონაწილეობდა, ისინი ყველა მმართველი პარტიის წევრები იყვნენ.



ანალიტიკოსთა აზრით, ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა შეიძლება განახორციელოს ზოგიერთი გარდაქმნები. გურბანგული ბერდიმუხამედოვი, კერძოდ, აპირებს განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემათა რეფორმირებას, ეკონომიკის გახსნას უცხოური ინვესტიციებისთვის, მისი წინამორბედის მიერ გაუქმებული პენსიების გადახდის განახლებას და ქვეყანაში ინტერნეტით სარგებლობის დაშვებას. იგი აგრეთვე აცხადებს, რომ დართავს ნებას თურქმენეთში სხვა პოლიტიკური პარტიების საქმიანობას. ბევრს იმედი აქვს, რომ ახალი პრეზიდენტი ასევე გადასინჯავს ნიაზოვის დროს მსჯავრდებული პოლიტპატიმრების საქმეთა შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებებს.

# ბეირუთის ქუჩებში დაძაბულობაა

**ლიბანის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბა ათასობით ადამიანი, რომლებიც აღნიშნავენ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობის ორი წლისთავს. მთელ ქვეყანაში მიიღეს უშიშროების გაძლიერებული ზომები. ხელისუფლება შიშობს, რომ შეიძლება მოხდეს შეტაკებები ფუად სინიორას მთავრობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.**

მოქმედი მთავრობის მომხრეები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ყოფილი პრემიერის მანქანის აფეთქებაში სირიის მხარეც მონაწილეობდა, შეიკრიბნენ ლიბანის დედაქალაქის ცენტრში, რაფიკ ჰარირის საფლავთან.

ბეირუთის მთავარ მოედანს შემოარტყეს მავთულხლართის ღობეები, რათა არ დაუშვან დემონსტრანტების შეტაკება სინიორას მოწინააღმდეგეებთან, რომლებიც აპირებენ პროდასავლური მთავრობის წინააღმდეგ საპროტესტო აქციის გამართვას.



სამშაბათს ბეირუთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ბიქფაიის მახლობლად, რომელიც ძირითადად ქრისტიანებითაა დასახლებული, აფეთქდა ორი ავტობუსი, რის შედეგადაც დაიღუპა სამი კაცი.

პრემიერ-მინისტრს ფუად სინიორას მმართველმა კოალიციამ უკვე დაადანაშაულა სირიის მხარე ავტობუსების აფეთქებაში მონაწილეობის გამო. მთავრობის მომხრეთა აზრით, აფეთქების ორგანიზატორები მიზნად ისახავდნენ ადამიანების დაშინებას, რათა მათ არ მიეღოთ მონაწილეობა ჰარირის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგში. თუმცა, ამ აქციის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ მიტინგი მაინც გაიმართება.

ლიბანის პრეზიდენტმა ემილ ლაჰუდმა, რომელიც სირიის მოკავშირეა, ასევე გამოთქვა სინანული აფეთქებების გამო და განაცხადა, რომ ასეთ თავდასხმათა ორგანიზატორების მიზანია ჩაშალონ ლიბანის საზოგადოებაში კომპრომისის მიღწევის ყველა მცდელობა. „ყოველთვის, როცა ლიბანელები თანდათანობით უახლოვდებიან თანხმობის მიღწევას, ქვეყნის მტრები ახალ-ახალ დანაშაულობებს სჩადიან“, – განაცხადა ლაჰუდმა.

ლიბანის საზოგადოებაში მზარდი კრიზისი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება იმას, რომ მინისტრთა კაბინეტს სურს რაფიკ ჰარირის დაღუპვის საქმის გამოძიებაში ჩააბას გაერო. გამოძიებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მთავრობამ ჯერ კიდევ ნოემბერში მოიწონა. მაშინ თანამდებობიდან გადადგა ექვსი მინისტრი, რომლებიც დამასკოს მოკავშირეებად ითვლებოდნენ.



გაეროს გამოძიება მიანიშნებს, რომ ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მკვლელობასთან კავშირი ჰქონდათ სირიის მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეებს და მათ ლიბანელ თანამზრახველებს. თუმცა, დამასკო უარყოფს მონაწილეობას ჰარირის მკვლელობაში.

მაგრამ პრემიერ-მინისტრის დაღუპვის შედეგად გამოწვეულმა დიდმა აღშფოთებამ აიძულა სირია გაეყვანა თავისი ჯარები ლიბანიდან, რომლებიც იქ 29 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

გასულ კვირას გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიაღწია ხელშეკრულების დადებას, რომლის თანახმადაც უნდა შეიქმნას რაფიკ ჰარირის მკვლელობის გამომძიებელი საერთაშორისო ტრიბუნალი. მაგრამ, სანამ ეს დოკუმენტი ძალაში შევიდოდეს, მისი რატიფიკაცია უნდა განახორციელოს ორად გახლეჩილმა ლიბანის პარლამენტმა.

● იური და მიხეილ კადამასოვებს ბრალად ედებათ თანხის გამოძალვის მიზნით ხუთი ადამიანის გატაცება-მკვლელობა, მათ შორის იყო ნიკა ხარაბაძეც



№ 29. ხუთშაბათი, 15 თებერვალი, 2007 წელი.

◉ ინფორმაცია

## ჩეხები ჩვენს საავადმყოფოებს შეისყიდიან

**ქართულ-ჩეხური კომპანია „ბლოკი“ სისხლის გადასხმის ახალ ინსტიტუტს ააშენებს.**

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადა, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, „ბლოკს“ „მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“, ასევე ზუგდიდში არსებული სამი სამედიცინო დაწესებულების, მათ შორის „მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს“, „ცენტრალური საავადმყოფოსა“ და „ზუგდიდის რაიონული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების“ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 90-პროცენტიანი წილი პირდაპირი წესით მიყიდოს.

მინისტრის თქმით, სანაცვლოდ კომპანია მზადყოფნას აცხადებს, თბილისში, დიღმის კლასტერში სისხლის გადასხმის 100-საწოლიანი ინსტიტუტი, ხოლო ზუგდიდში 150-საწოლიანი მრავალპროფილიანი საავადმყოფო ააშენოს. აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის კი „ბლოკი“ სულ მცირე 8 მილიონი დოლარის ინვესტიციის გამოყოფას გეგმავს.

— ზუგდიდის პირველი ფლიგელი საქმიანობას უკვე 20 მარტიდან დაიწყებს, იქ კომპანია თანამედროვე ევროპული დონის სამედიცინო აპარატურას შეიტანს. კიდევ ერთი ფლიგელის მშენებლობა კი წლის ბოლომდე დასრულდება, — განაცხადა ჭიპაშვილმა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ქართულ-ჩეხური კომპანია დახარჯული თანხების ამოღებას, ძირითადად, არა მათთვის გადაცემულ ტერიტორიებზე დაწყებული მშენებლობებიდან, არამედ საავადმყოფოების სწორი მენეჯმენტიდან აპირებს.

მისივე თქმით, ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთი მაქსიმლურ ფასად, 1 კვ. მეტრი 800 დოლარად შეფასდა.

— რაც შეეხება ზუგდიდის საავადმყოფოებს, მათზე პრაქტიკულად დაინტერესება არც კი გამოუთქვამთ და აცხადებენ, რომ, შესაძლოა, შეარემონტონ და იქ ჩასახლებულ დევნილებს გადასცენ საჩუქრად, — განაცხადა ჭიპაშვილმა

## ნარკომანებს შოუ-ბიზნესი გადაარჩენს?



**ნარკომანიის საწინააღმდეგო პროექტს „ალიანსი ნარკომანიის წინააღმდეგ“ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ცნობილ ადამიანებთან ერთად განახორციელებს.**

ჯანდაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილე დავით მესხიშვილმა ჟურნალისტებს და შოუბიზნესის წარმომადგენლებს ნარკომანიის საწინააღმდეგო პროექტის დეტალები და სამოქმედო სტრატეგია გააცნო.

— ნარკომანია ავადმყოფობაა, ამ სენის დასამარცხებლად ჯანდაცვის სამინისტრომ და საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

მესხიშვილის განცხადებით, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ მსოფლიოს დიდ ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზე იმყოფება ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბით.

უახლოეს პერიოდში ჯანდაცვის სამინისტროში ნარკომანიის საკითხებთან დაკავშირებით სატელეფონო ცხელი ხაზიც ამუშავდება.

## აფხაზთა გატაცებას ქართულ სპეცსამსახურებს აბრალებენ

**აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. პარლამენტმა გალის რაიონიდან გატაცებული გალის რაიონის ე.წ. ცესკო-ს თავმჯდომარის დავით სიგუასა და გალის რაიონის სოფელ ბარღების ადმინისტრაციის უფროსის ფრიდონ ჩაკაბერიას გატაცებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა.**

გავრცელებულ განცხადებაში აფხაზეთის ე.წ. პარლამენტი სიგუასა და ჩაკაბერიას გატაცებას, რა თქმა უნდა ქართულ სპეცსამსახურებსა და საქართველოს ხელისუფლებას აბრალებს.

სეპარატისტი პარლამენტარები გაეროს, ეუთოს, ევროკავშირს, ევროსაბჭოს და რუსეთის ფედერაციას მიმართავენ და „საქართველოს ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული აფხაზეთის მოქალაქეების“ განთავისუფლების საკითხში ქართულ მხარეზე ზეწოლის განხორციელებას სთხოვენ.

## ნიკა ხარაბაძის მკვლელებს სიკვდილით დასჯიან

**მსახიობ გოგი ხარაბაძის შვილის მკვლელებს აშშ–ში სიკვდილით დასჯიან. ლოს-ანჯელესის 12-მა ნაფიცმა მსაჯულმა ბრალდებულებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.**

იური და მიხეილ კადამასოვებს ბრალად ედებათ თანხის გამოძალვის მიზნით ხუთი ადამიანის გატაცება-მკვლელობა, მათ შორის იყო ნიკა ხარაბაძეც.

გამტაცებლებმა თანხა მილიონ 200 ათასი დოლარი მიიღეს, მაგრამ ორი ბიზნესმენი, ერთი კინოპროდიუსერი, ბუღალტერი და ხმის ოპერატორი ნიკა ხარაბაძე მაინც მოკლეს. ხუთივე მათგანი გაგუდეს და წყალსაცავში გადააგდეს.

თუ ლოს-ანჯელესის ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებას ფლორიდის შტატის მოსამართლე გაითვალისწინებს, დამნაშავეებს სიკვდილით დასჯიან.

## საბაჟოს კვლავ ქრთამი ანათებს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები დააკავეს.**

როგორც სამინისტროს პრესსამსახურიდან იტყობინებინ დაკავებული არიან რეგიონალური საბაჟო „დასავლეთის“ ფოთის პორტის საბაჟო გაფორმების განყოფილების უფროსი სამსონ კუტალია, ამავე განყოფილების ინსპექტორები ზვიად მორგოშია და კარლო კვიჟინაძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მათ ერთ-ერთ მეწარმეს, საქონლის განბაჟების პროცედურის გამარტივების სანაცვლოდ, სოლიდური თანხა გამოსძალეს.

საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

◉ მხარე

## ძიუდოს ცრემლების არ სჯერა

**ო, როგორ უნდოდა იმ დღეს ლადო ზაუტაშვილს ტატამზე გამარჯვება! საიდან არ შეუტია მეტოქეს, რა ფანდი არ ჩაიფიქრა, მაგრამ ვერას გახდა. ან კი რას გახდებოდა: ბიჭს ათი წელი ეს-ეს არის შეუსრულდა, მას კი თექვსმეტი წლის კუნთმაგარი ჭაბუკი ერკინებოდა. ბოლოს ისევ ღონემ და ასაკმა თავისი გაიტანა – მიხვდებით, როგორ დამთავრდებოდა ორთაბრძოლა. ბიჭმა მეტოქეს გამარჯვება მიულოცა და ტრიბუნაზე გადაინაცვლა. აქ კი გრძნობებს ვეღარ მოერია და ატირდა.**

ეს ამბავი ამას წინათ გორში გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში მოხდა. იმ დღეს სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის სახელოვან გორელ ფალავანთა მთელი პლეადის აღმზრდელის **გივი ზაუტაშვილის** დაბადების დღე იყო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ხაბარელმა, ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა თემურ ხუბულურმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ბორის გოგიჩაიშვილმა და სხვებმა ძიუდოს ანბანი სწორედ გივი ზაუტაშვილის ხელმძღვანელობით შეისწავლეს. ბატონი გივის პატივსაცემად არც ტრადიციული, ხშირად მოსაწყენი შეხვედრა-საღამო გამართულა, არც რესტორანში დაუკვეთიათ ადგილები, ჭიდაობის თავკაცებმა სხვადასხვა რაიონებიდან 1991-92 წლებში დაბადებულები მიიწვიეს და ჩაატარეს ტურნირი, რომლის მთავარი მსაჯობა, ცხადია, გივი ზაუტაშვილს შესთავაზეს. ზემოთ აღწერილი ორთაბრძოლის შემდეგ თავისი შვილიშვილი დათო მოიხმო, დაუყვავა და ასე უთხრა: ძიუდოს ცრემლების არ სჯერა, ბევრი უნდა იშრომო და ოფლი ღვარო, მეტოქეს რომ სძლიო.

დარბაზის ორივე ტატამზე ფიცხელი ორთაბრძოლები გაიმართა. ჭაბუკებმა გამოავლინეს შესაშური ტექნიკა, მაღალი ფიზიკური კონდიციები და, რაც მთავარია, გამარჯვებისაკენ სწრაფვის უნარი. პაექრობებს ინტერესით ადევნებდნენ თვალს ჭიდაობის სპეციალისტები – ბორის გოგიჩაიშვილი, გიორგი და ანზორ თენაძეები, ქართლოს პავლიაშვილი, ვაჟა კეკელიშვილი, ქართული ძიუდოს პატრიარქი გურამ პაპიტაშვილი.

პრიზიორები იმავე საღამოს გამოვლინდნენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ კასპელი კობა მარღიშვილი, დუშელები – თორნიკე თათარაშვილი, ვალერი პირმისაშვილი, გი-



ორგი ბოდაველი, მირიან გვერძიელი, გორელები – თამაზ ეგნატაშვილი, თემურ გოგიაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, გოჩა ვარძელაშვილი, ნიკა გოგინაშვილი, ზვიად კაპანაძე, რომლებსაც შესაბამისი ხარისხის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

შარშან ზაფხულში ჩადგა მწყობრში გორის ძიუდოს დარბაზი, რომელსაც წუთითაც ვერ ნახავთ თავისუფალს – ხან დიდები ვარჯიშობენ, ხან ჭაბუკები, ზოგჯერ ტურნირები ეწყობა. ყოველივე ამის შემხედვარე, ვის დასცდება უმადური სიტყვა ქალაქის ხელისუფალთა, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელთა მიმართ. და მაინც... გორის ძიუდოს დარბაზი 250 მაყურებელს იტევს. ზემოაღნიშნულ ტურნირზე მარტო 200-ზე მეტი მონაწილე იჯდა ტრიბუნებზე. დაუმატეთ ამას მოასპარეზეთა მშობლები, მწვრთნელები, მოწვეული სტუმრები და რიგი გულშემატკივრებისთვის ადგილი აღარ აღმოჩნდა. არადა, თავისუფლად შეიძლება დარბაზში დასაჯდომი ადგილები 100 ერთეულით გაიზარდოს. საამისოდ დიდი თანხა სულაც არ არის საჭირო. გორში ბევრი წარმატებული მეწარმეა, ზოგი მათგანი ყოფილი სპორტსმენია. ერთ-ერთმა მაინც მსუბუქადაც რომ გაიკრას ჯიბეზე ხელი, პრობლემა უმალ მოგვარდება. ვიმედოვნებთ რომ ასეც იქნება.

**გურამ ვაშაკიძე**
**„სრ“ საკ. კორ. გორი.**

№2/9

# განჩინება

**შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ**

12 თებერვალი 2007 წელი — ქ. კასპი

**კასპის რაიონულ სასამართლოს მოსამართლემ მალხაზ ენუქიძემ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველის გიორგი მერებაშვილის განცხადება კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე.**

### დ ა ა დ გ ი ნ ე:

1. შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველის გიორგი მერებაშვილის განცხადება დაკმაყოფილდეს.

2. შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების კრედიტორთა კრება მოწვეული იქნეს 2007 წლის 21 თებერვალს 12 საათზე ქ. კასპში, კასპის რაიონული სასამართლოს შენობაში.

3. კრედიტორთა კრების დღის წესრიგი განისაზღვროს:

ა) მოთხოვნების ცხრილის საფუძველზე გაკოტრების ტაბულის საბოლოო ვარიანტის დამტკიცება;

ბ) გაკოტრების მმართველის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;

გ) ექსპერტიზისა და აუდიტორიული დასკვნების განხილვა;

დ) სააუქციონო ანგარიშის გახსნა და სააუქციონო დებულების პროექტის განხილვა, დამტკიცება და აუქციონის თარილის განსაზღვრა.

4. განჩინება გამოქვეყნდეს ცენტრალურ პრესაში და განთავსდეს სასამართლოს დაფაზე, განჩინების ასლი გადაეგზავნოს აღიარებულ კრედიტორებს.

**კასპის რაიონული სასამართლოს მოსამართლე — მ. ენუქიძე**

საქმე №2/156

# განჩინება

**შპს „მირიანი-ი“-ს კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ**

ქ. კასპი — 14 თებერვალი, 2007 წ.

**კასპის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მ. ენუქიძემ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე შპს „მირიანი-ი“-ს გაკოტრების მმართველის ვ. კაპანაძის განცხადება კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე.**

### დ ა ა დ გ ი ნ ე

1. შპს „მირიანი-ი“-ს გაკოტრების მმართველის ვახტანგ კაპანაძის განცხადება დაკმაყოფილდეს.

2. შპს „მირიანი-ი“-ს კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნას 2007 წლის 21 თებერვალს, 11 საათზე ქ. კასპში, კასპის რაიონული სასამართლოს შენობაში.

3. კრედიტორთა კრების დღის წესრიგი განისაზღვროს:

აძ აუქციონის დებულების დამტკიცება;

ბძ აუქციონის თარილის განსაზღვრა;

გძ წინასწარი განაწილების შესახებ ანგარიშის შემოწმება.

4. განჩინება გამოქვეყნდეს ცენტრალურ პრესაში და განთავსდეს სასამართლოს დაფაზე. განჩინების ასლი გაეგზავნოს აღიარებულ კრედიტორებს.

**მოსამართლე: — მ. ენუქიძე**

**სტოკჰოლმში მოეწყო 21-წლამდელთა „ევრო-2009“-ის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა, რომელმაც საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად ესპანეთი, რუსეთი, პოლონეთი და ყაზახეთი არგუნა**



**ფეხბურთი**

## ისევ რუსეთი

**სტოკჰოლმში მოეწყო 21-წლამდელთა „ევრო-2009“-ის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა, რომელმაც საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად ესპანეთი, რუსეთი, პოლონეთი და ყაზახეთი არგუნა. გთავაზობთ ჯგუფში ჩვენი შეჯიბრების განრიგს:**

*2007 წელი*
*5 ივნისი. საქართველო-ესპანეთი.*
*22 აგვისტო. პოლონეთი-საქართველო.*
*7 სექტემბერი. საქართველო-ყაზახეთი.*
*11 სექტემბერი. ესპანეთი-საქართველო.*
*16 ოქტომბერი. ყაზახეთი-საქართველო.*
*20 ნოემბერი. საქართველო-რუსეთი.*



*2008 წელი*
*5 სექტემბერი. რუსეთი-საქართველო.*
*10 სექტემბერი. საქართველო-პოლონეთი.*

დავძენთ, რომ თითოეული ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გამარჯვებულები და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი გავლენ (სულ ათი ჯგუფიაძ. მორიგ რაუნდში დასახელებული 14 გუნდი „პლეი-ოფის“ სისტემით შვიდ უძლიერესს გაისად 11-12 და 14-15 ოქტომბერს გამოავლენს, „შესანიშნავ შვიდეულს“ კი ფინალური რაუნდის მასპინძელი შვედეთი დაემატება 2009 წლის ზაფხულში და მედლებსაც ისინი გაითამაშებენ.

**ტყვიის სროლა**

## კვარცხლბეკი არ იცვლება



**ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დამთავრდა საქართველოს ჩემპონატი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. საასპარეზოდ 25-მა ჩუზინმა მოიყარა თავი.**

ქალთა შორის ოლიმპიურ ჩემპიონს ნინო სალუქვაძეს ვერავინ აჯობა. მეორე-მესამე ადგილებზე ტრადიციულად, ნინო უჩაძე და თამილა ასათიანი გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ სამეულმა შარშანწინ ევროპის ჩემპიონატზე გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. 12-18 მარტს ისინი სწორედ ამ შემადგენლობით საფრანგეთში კონტინენტის წლევანდელ პირველობაზეც გამოვლენ და ჯილდოებისთვის იბრძოლებენ.

გაუწყებთ საქართველოს ჩემპიონატის დანარჩენ პრიზიორთა ვინაობას: **ვაჟები.** 1. სერგი ჩიტაიშვილი, 2. ბესარიონ სირაძე, 3. ალექსი კუჭუხიძე. **გოგონები.** 1. თეონა იაშვილი, 2. თათია უშვერიძე, 3. მეგი ქადაგიძე. **ჭაბუკები.** 1. ბექა გოგინაშვილი, 2. გიორგი კელიხაშვილი, 3. გიორგი ბერიშვილი.

**სურათზე: მარცხნიდან – ნინო უჩაძე, ნინო სალუქვაძე და თამილა ასათიანი.**

**კალათბურთი**

## ევროგაცხრილვა



**ვლადიმერ ბოისას „მონტეპასკიმ“ იოლად დაძლია ულების თასის გათამაშების მერვედფინალური წინაღობა.** სიენელები ორი კვირის წინათ საბერძნეთში გამართულ პირველ რაუნდში პაოკთან მოპოვებულ იოლ გამარჯვებას (79:62ძ არ დასჯერდნენ და მეტოქეს შინ საპასუხო მატჩიც მოუგეს – 80:77. შემდეგ ეტაპზე იტალიური კლუბი ყაზანის „უნიქსს“ შეხვდება, რომელმაც ასევე უპრობლემოდ სძლია „ჰემოფარმს“ – 95:64 (90:73ძ. დანარჩენი წყვილები ერთმანეთს ასეთი შედეგებით დასცილდნენ: **„რეალი“** – „ალბა“ 73:57 (74:65ძ, „ხიმკი“ – **„ცრვენა ზვეზდა“** 76:93 (77:89ძ, „ნანსი“ – **„სტრასბური“** 74:86 (86:89ძ, „ვენტსპილის“ – **„ჰაპოელი“** 62:73 (73:88ძ, **„ჟელეზნიკი“** – „გრან კანარია“ 70:64 (88:84ძ, **„ლიეტუვას რიტასი“** – „სნაიდერო“ 65:60 (72:75ძ.

აქვე გაუწყებთ ფიბა-ევროპის თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირის მორიგი მატჩების შედეგებს: „დინამო“ – „აზოვმაში“ 68:51, „ლოკომოტივი“ – „შაილერუა“ 75:66, „თურქ ტელეკომი“ – „პანიონიოსი“ 78:77, „მარუსი“ – „რიგა“ 68:70, „ლიეჟი“ – აელ 58:77, „ესტუდიანტესი“ – „შაულიაი“ 95:70.

**სამბო**

## ოთხი „ოქრო“ – ჟენევიდან

**საქართველოს საუკეთესო სამბისტები სანამ შინ მნიშვნელოვან შეჯიბრებებისთვის ემზადებიან, მათს ევროპულ კოლეგებს ცხარე ორთაბრძოლები აქვთ გაჩაღებული ხალიჩაზე.** ამას წინათ ჟენევაში დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც რუსეთის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, ბრაზილიის, კანადის, შვეიცარიის, სერბეთის სამივე ასაკის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ. მათ შორის გახლდათ ორი ქართველი სამბისტი – გიორგი ჩიტაშვილი და სახელოვანი მწვრთნელის ოლეგ იაძის ვაჟი – გიორგი.

საგულისხმოა, რომ ჩვენმა ფალავნებმა შესანიშნავად იასპარეზეს და ოქროს მედლები მოიპოვეს. ჩიტაშვილი (65 კგ.ძ ჭაბუკებში გახდა ჩემპიონი, იაძემ (74ძ კი ახალგაზრდებში აჯობა ყველას.

**ჭადრაკი**

## კარნახი დოპინგის ტოლია



**ასეთად მიიჩნია ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდეძ, საჭადრაკო პარტიების დროს მეტოქეების მიერ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება.**

ალბათ გახსოვთ სკანდალი, რომელიც წარმოიშვა მსოფლიო გვირგვინისთვის ვლადიმერ კრამნიკისა და ვესელინ ტოპალოვის მატჩის დროს. ბულგარელმა მაშინ რუსეთელი დიდოსტატი კომპიუტერის საშუალებით საჭადრაკო კარნახის გამოყენებაში დაადანაშაულა. ამიტომაც გადაწყვიტა ფიდემ კონტროლის გაძლიერება. მოჭადრაკე, რომელსაც შეამჩნევენ კარნახის გამოყენებაში, დისკვალიფიცირებული იქნება.

**ორბიტაზე**

## ისევ „ოლდ ტრაფორდზე“

**სამმა ინგლისელმა ფეხბურთელმა – დევიდ ბექჰემმა, ჯეიმი კარაგერმა და სტივენ ჯერარდმა – თანხმობა განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ევროპის ვარსკვლავების ნაკრების საზეიმო მატჩში მონაწილეობაზე, რომელიც 13 მარტს მანჩესტერში, სტადიონ „ოლდ ტრაფორდზე“ გაიმართება.**

ეს მატჩი ორ მოვლენას-ევროპის გაერთიანების თაობაზე რომის ხელშეკრულებისა და ევროპულ არენაზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ პირველი მატჩის 50 წლისთავს ეძღვნება. ბილეთების გაყიდვით შემოსული მთელი თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა განაცხადა: „ჩემთვის „ოლდ ტრაფფორდზე“ დაბრუნება განსაკუთრებული მოვლენაა. მოუთმენლად ველი ამ დღეს“.



ევროპის ვარსკვლავთა ნაკრებს უხელმძღვანელებს მარჩელო ლიპი, იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონობამდე რომ მიიყვანა.

## მიაგნო!

**გერმანული კლუბის „დუისბურგის“ კამერუნელ თავდამსხმელს მო ინდრისს მობეზრდა მარტოხელაობა. და აი, ჰანოვერში მან გაიცნო და სასიყვარულო ქსელში გააბა მომხიბვლელი კატი შტაინერი, მარკეტოლოგის პროფესიას რომ ეუფლება.**

მას შემდეგ დიდებული ტანის (90-70-90ძ ქალიშვილმა, 23 წლის კატიმ მონაწილეობა მიიღო გერმანიის ულამაზესი ქალების კონკურსში და საპატიო მესამე ადგილიც მოიპოვა.

ახლა ორივე თავს ბედნიერად გრძნობს „ცხოვრება მშვენიერია“, – ამტკიცებს მო, „მე ის მიყვარს, იგი ძვირფასია ჩემთვის“, – უერთდება მას კატი.



**თარიღი**

## მესამე ცოლი მესამე სიდედრსაც ნიშნავს...



**ჭადრაკში მსოფლიოს მეათე ჩემპიონს 70 წელი შეუსრულდა. ბორის სპასკი ლენინგრადში (ახალი „სტილით“ – პიტერშიძ დაიბადა 1937 წლის 30 იანვარს. სსრ კავშირის დიდოსტატი და საერთაშორისო დიდოსტატი (1956ძ, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი (1962,1973ძ, მსოფლიოს ჩემპიონი (1969-1972, ტიგრან პეტროსიანთან გამარჯვების შემდეგძ, ბობი ფიშერთან ორი გახმაურებული მატჩის მონაწილეა (1972 და 1992 წლებიძ.**

**30 წელია საფრანგეთში ცხოვრობს, დაქორწინებულია რუსეთული წარმოშობის ფრანგზე (მესამე ქორწინებითძ. „Труд“-ის ჟურნალისტმა იუბილარს პარიზში დაურეკა.**

**– ბორის ვასილის ძევ, ვინ დააპატიჟეთ დაბადების დღეზე სახელოვან ადამიანთაგან?**

– ჩემთვის სახელოვანნი ცოლი და სიდედრი არიან. სიდედრი ძალიან მიყვარს. იუბილეს კი სერიოზულად არ ვეკიდები. აბა, რა სიხარულია 70 წლისთავში? სიხარული ღვთით სამყაროა, ბუნება.

**– არც ვალოდია კრამნიკი მიიწვიეთ? ეგ ხომ ახლა თქვენსავით პარიზში ცხოვრობს, ფრანგ მეუღლესთან ერთად.**

– ვალოდიას ხომ ისედაც ხშირად ვხედავ.

**– პენსია თუ გაქვთ საფრანგეთში?**

– ძალიან უმნიშვნელო. აქ ხომ ასეთი სისტემაა: სანამ მუშაობ, ფული პენსიაზე გერიცხება. მე კი, ძირითადად, საბჭოთა კავშირში ვმუშაობდი. ვისურვებდი რუსეთში რომელიმე საპატიო პენსიონერად ყოფნას... აგერ, სამი თვის წინათ ტვინში სისხლი ჩამექცა. მადლი უფალს, აქ მედიცინა ძლიერია, გადავრჩი. არადა, ასეთი ოპერაცია 10-15 ათასი ევრო ღირს და აბა, სინჯე დაუზღვევლად გადახდა. კარგია, რომ გვარიანი თანხით ვიყავი დაზღვეული.

**– რუსეთში არ აპირებთ ჩამოსვლას?**

– ზაფხულში მინდა ურალში ჩასვლა. სატკეში საბავშვო საჭადრაკო სკოლა მაქვს, სესიაზე გავემგზავრები. კომპიუტერში რა ხეირი უნდა ნახონ ბავშვებმა? დიდოსტატთან ურთიერთობა მოსწავლეებისათვის ერთობ სასარგებლოა. საერთოდ ვცდილობ, რომ საჭადრაკო სკოლებს გავუწიო დახმარება.

**– მოსკოვში სად ჩერდებით ხოლმე?**

– ყველაფერი, რაც რუსეთის დედაქალაქში შევინარჩუნე ოროთახიანი ბინა. ჰოდა, მივდივარ ერთხელაც მეტრო „კიევსკაიადან“ ავტობუსით ჩემთან, მოსფილმის ქუჩაზე, მიახლოვდება კონტროლიორი: „ბიძაჩემო, ბილეთუნა წარმოადგინე“. პასპორტს ვუწვდი: „შეხედეთ, 67 წლისა ვარ, ასეთ ასაკში ბილეთს არსად არ სთხოვენ. თანაც ნახეთ, მე ხომ ბორის სპასკი ვარ, ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი“. „კარგი რა, ნუ ახეთქებ. აქ ბოლო გაჩერებაზე ყოველდღე შემოდის ტალი!“.

რაღას ვიზამდი, მომიწია ჯარიმის გადახდა...

№ 29. ხუთშაბათი, 15 თებერვალი, 2007 წელი.

# დროება

● ირკუტსკში რამდენიმე წლის წინათ გრანდიოზული ძეგლი დაუდგეს თეთრი მოძრაობის ორგანიზატორს, გენერალ კოლჩაკს, 1920 წელს ქალაქის რევკომის გადაწყვეტილებით დახვრიტეს. თუმცა ძეგლის დაცვა დღისითაც უწევთ და ღამითაც — ადგილობრივი კომკავშირლები აფეთქებით ემუქრებიან...

◎ მამულიშვილები

# ბუმბერაზთა ჭიდილი — ქვეყნის სასიკეთოდ

**(მეცხრე გვერდიდან)**

ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ (1873-1893წ, როდესაც ილიამ და მაჩაბელმა შექსპირი თარგმნეს, როდესაც ილია და მაჩაბელი ნიკოლაძეს ფალავნად თვლიდნენ, როდესაც ნიკო ნიკოლაძე განაწყენებული „დროებას" ტოვებდა. რა შეიცვალა ამხნის მანძილზე? ამ ორმა ათეულმა წელმა ორად გახლეჩილი საზოგადოება მოგვცა, „მაჩაბლისტები" და „ჭავჭავაძისტები". ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ საბრძოლველად ოპოზიციამ ივ. მაჩაბელი თავის წინამძღოლად აირჩია: საზოგადოება მაჩაბლისგან პროგრამას ითხოვდა. ნიკო ნიკოლაძის აზრით, „ჰქონდა კი მაჩაბელს თავისი პროგრამა? რომელიც ერის სასიცოცხლო საკითხების გადაჭრას უკეთესად, ან უარესად შეძლებდა, ვიდრე ილია?!" ნ. ნიკოლაძის აზრით, მაჩაბელს სამოქმედო პროგრამა არ გააჩნდა.

საზოგადოება პასუხს ელოდა...

ერთდროს ილია ჭავჭავაძეზე განაწყენებული ნიკო ნიკოლაძე ბანკის საკითხებზე გამძაფრებული პოლემიკის დროს, 1892 წელს, თანადგომას ილია ჭავჭავაძეს გამოუცხადებს, რაც არც არავის გაჰკვირვებია!

განვლილმა დრომ ნიკო ნიკოლაძეს დაანახა, რომ საბანკო საქმეში გამობრძმედილი ილია შეუცვლელი აღმოჩნდა. საზოგადოებას კარგად ახსოვს ნიკო ნიკოლაძის ბრძოლები „საბანკო საკითხების", თუ „ივერიის" დაარსების დროს. ასევე კარგად ახსოვდა უფრო ადრინდელი ხანა, როდესაც ნიკო ნიკოლაძის ძალისხმევით ილიამ ხელი აილო სახელმწიფო სამსახურზე და დუშეთიდან თბილისში დაბრუნდა, რითაც ილია პრესისა და საზოგადო საქმის შუაგულში აღმოჩნდა, მაგრამ ახლა ნიკოლაძეს აღარ სურდა ძველის გახსენება, მით უმეტეს, რომ წარსული უკვე ისტორიის კუთვნილება გახლდათ.

ახლა ნ. ნიკოლაძისათვის მთავარი ბანკის დანიშნულებაზე საუბარი კი არ არის, არამედ ის, თუ ვის უკეთესი პროგრამა აქვს, — ილიას თუ მაჩაბელს, ვის გაჰყვება ხალხი: „თ-დ ჭავჭავაძეს შეიძლება არ დაეთანხმოს, შეედავოს და შეებრძოლოს ის ხალხი, — წერდა ნიკოლაძე, — რომელიც სხვა თვალთახედვას ეყრდნობა, სხვა საწინააღმდეგო საფუძველზე დგას, ვიდრე იგი, მაგრამ საჭიროა გულცივად ასწონო და გადაწყვიტო საკითხი: განა არ შეიძლება შემდგომი აუცილებელი პროგრესი განხორციელდეს იმის ნგრევის გარეშე, რაც უკვე მიღწეულია და იმათი სახელის გაუტეხავად, ვინც იგი მოიპოვა? — რასაკვირველია, თუ დამტკიცდება, რომ თ-დი ჭავჭავაძე ემსახურება დაუძლეველ დაბრკოლებებს თავისი საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის, რაც ხშირად ემართებოდა სასარგებლო საზოგადო მოღვაწეებს, მაშინ საკითხი თავის თავად გადაჭრილია, არა მის სასარგებლოდ.

თ-დმა მაჩაბელმა ისე დაიწყო ბრძოლა, რომ არც თავისთვის და არც საზოგადოებისათვის არ განუმარტავს თავისი პროგრამა და მიზნები და აუცილებლად მოითხოვდა მათგან, სამოღვაწეო პროგრამას, რომელიც აზრს მისცემდა მათ ბრძოლას".

მაგრამ სად არის პროგრამა? — და ვინ იქნება თავდები, რომ ეს პროგრამა მოგვევლინება?!

ნ. ნიკოლაძის აზრით, თ-დი ჭავჭავაძე თუ პირველი არა, ერთ-ერთი პირველთაგანი მაინც იქნება, ივანე მაჩაბლის ოპოზიციურმა ჯგუფმა ვერ დაამყარა ბუნებრივი კავშირი საზოგადოებასთან, ამიტომაც არ მოხერხდა, მათ ეხილათ „ახალი ძროლვის" გამარჯვება თავიანთი ოპოზიციური სულისა („ნოვოე ობოზრენიე", 1892, 2 898ძ.

სწორედ ამიტომაც, დასძენს ნიკოლაძე, ახალგაზრდობა განუდგა მაჩაბელს და თ-დ ჭავჭავაძეს მიეკედლა, რამაც მას ძლიერი სული შთაბერა.

ნიკო ნიკოლაძის თქმით, ოპოზიციონერთა ბრძოლას შედეგად ილიას ავტორიტეტის ამაღლება მოჰყვა. დიდი პუბლიცისტი იმავდროულად ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარ პარტიულ ბრძოლას არ ჰქონდა ადგილი, საქმე საქართველოს ინტერესებს ეხებოდა, მაჩაბელს კი ურჩევდა, შეეწყვიტა ეს უაზრო ბრძოლა, რადგან მას არ შესწევდა ადამიანური ძალა წინ აღდგომოდა ილია ჭავჭავაძეს ისე, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ არ გაელაშქრა.

„ნოვოე ობოზრენიე"-ს ფურცლებიდან ნიკოლაძე ხმამაღლა აცხადებდა, რომ ჭავჭავაძე პირველი შეუერთდებოდა მაჩაბლის პროგრამას, რომელშიც რაიმე სასიკეთო აზრს დაინახავდა, მაგრამ მისი აზრით, მაჩაბელს ასეთი პროგრამა არ გააჩნდა. **„თავის მხრივ,** — წერდა პუბლიცისტი, — **ჭავჭავაძე მაჩაბელთან ბრძოლის მთელ მანძილზე უეჭველად გრძნობდა საკუთარ სიმართლეს და ძლიერებას. ეს ჩანდა ყველაფერში: — ასეთი მშვიდი, თავის სიმართლეში დარწმუნებული, ქედუხრელი, დიდი ხანია იგი აღარ გვინახავს".**

ოდნავ მოგვიანებით, 1894 წელს ჩატარებულმა ბანკის სხდომებმა ნიკო ნიკოლაძეს, და საერთოდ, ქვეყანას დაანახა, რომ „წესისა" და „კანონის" გარეშე ქვეყნის შველა შეუძლებელი იქნებოდა.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, „პირადი სარგებლობის მაძიებელთა ძალისხმევა (ვინც არ უნდა იყოს ის) უნდა გამორიცხოს, კანონი არ უნდა აძლევდეს მას საზოგადო ასპარეზზე გამოსვლის ნებას, კანონის მცირეოდენი დარღვევაც კი ზიანს მიაყენებს საქმეს". ნიკო ნიკოლაძეს ამგვარი ტერმინიც შემოაქვს: უნდა მოხდეს „ზნეობრივი დეზინფექცია".

თავისი თაობის დამსახურებად ნიკოლაძე იმ ფაქტს მიიჩნევს, რომ მისმა თაობამ ყველა საერო საქმე მამულის ერთგულ და საუკეთესო შვილებს ჩააბარა საქართველოს გადასარჩენად, მისი სიცოცხლისა და აღორძინებისათვის.

**„... ერი მაშინაა ბედნიერი, — წერდა დიდი პუბლიცისტი, — მისი მომავალი მაშინ მიემართება სიკეთისაკენ, როცა მისი ბედი და საქმე მოწინავე პატიოსან და უანგარო ახალგაზრდობას აბარია. მათი ინტერესების იდეა საერთოა".** ამგვარ წრეში იდგა ივანე მაჩაბელიც, მაგრამ მის სურვილებს განხორციელება არ ეწერა, რადგან შესაძლებლობა ნაკლები ჰქონდა. მისი საზოგადო მოღვაწეობა სხვებთან ურთიერთობით განისაზღვრებოდა, „მოაზროვნე პუბლიცისტი" — როგორც მას ილია უწოდებდა, მაინც „ნაყოფიერ მწერლად" დარჩა, რადგან ამ სფეროში იგი სრულიად თავისუფალი გახლდათ, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა არავისზე იყო დამოკიდებული.



ნიკო ნიკოლაძე



ივანე მაჩაბელი

**ლიანა ფერაძე,**
*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.*

◎ რას წერენ, რას ამბობენ რუსები... საკუთარ თავზე

# ვისთან ვწევართ?..

**რუსეთი იმ მხედარს წააგავს, რომელიც წინ მიჰქრის, ოღონდ უნაგირში უკუღმა ზის და წარსულს ჩაშტერებია. მართლაცდა: კაპიტალიზმში ვცხოვრობთ, ქვეყნის მთავარ მოედანზე კი მავზოლეუმი დგას 83 წლის წინათ გარდაცვლილი „პროლეტარიატის ბელადის" მუმიით. გვერდით გლამურული საციგურაო, იმის უკან — მდიდრული სახელმწიფო უნივერსალური მაღაზია, ახალი კაპიტალური „სამოთხის" ვიტრინა.**

ამ დღეებში ხარბინიდან ჩამოიტანეს და დონის მონასტრის სასაფლაოზე დიდი ზარ-ზეიმით დამარხეს თეთრი გენერლის კაპელის ფერფლი. არადა, გენერალი სულ რამდენიმე წლით ადრე „მშრომელი ხალხის" მტრად ითვლებოდა. ახლა მისი საფლავი თეთრი მოძრაობის იდეოლოგის, ფილოსოფოს ივანე ილინის საფლავის გვერდითაა, რომელიც რუსეთიდან 1922 წელს გააძევეს ლენინის პირადი მითითებით. ი. ილინის ფერფლი, ვ. პუტინის პირდაპირი მხარდაჭერით, აგრეთვე ჩამოიტანეს მოსკოვში. ფილოსოფოს-ანტიკომუნისტის შრომები „ნაციონალური რუსეთისათვის ბრძოლის საფუძვლები" და „სულიერი განახლების გზა" კი პრეზიდენტს წიგნების თაროზე უდევს.

ირკუტსკში რამდენიმე წლის წინათ გრანდიოზული ძეგლი დაუდგეს თეთრი მოძრაობის ორგანიზატორს, გენერალ კოლჩაკს, 1920 წელს ქალაქის რევკომის გადაწყვეტილებით დახვრიტეს. თუმცა ძეგლის დაცვა დღისითაც უწევთ და ღამითაც — ადგილობრივი კომკავშირლები აფეთქებით ემუქრებიან...

სრული იდეური დომხალი გვაქვს დღევანდელობასთან დაკავშირებით. რფკპ-ის ლიდერს, ამხანაგ ზიუგანოვს არასგზით არ სურს გააფთრებული ანტიმეეკლესიების, ლენინისა და სტალინის მეემკვიდრეობაზე უარის თქმა, მაგრამ საპატრიარქოში რეგულარულად დაბრძანდება სააღდგომო მილებზე. მეტიც, ძადაგებს კიდევაც რაღაც „მართლმადიდებლური კომუნიზმის" მსგავსს.

ასევე რამდენიმე წლით ადრე მოსკოვის საპატრიარქომ იმპერატორი ნიკოლოზი



წამებულ მეფედ გამოაცხადა და წმინდანად შერაცხა. ამ დღეებში უმაღლესმა სასამართლომ მწვანე შუქი აუნთო მის რეაბილიტაციას. არადა, ყველა საბჭოურ სახელმძღვანელოში მეფეს მხოლოდ „პირსისხლიან ნიკოლოზად" მოიხსენიებდნენ...

უცნაური ხალხი ვართ რუსები. ჯერ კიდევ ახლახან ჩვენ და ჩვენი შვილები სკოლებსა და საბავშვო ბაღებში დაშაქრულ ლექსუნებს ვსწავლობდით რევოლუციასა და მის ბელადებზე. დღეს თითქოს ყველაფერი გვესმის: რომ სტალინმა „გულაგში" შერეკა საკუთარი ხალხი; რომ მავზოლეუმში ძევს ამხ. ლენინის კარკასი, ტვინი კი — შუშის ქილაში, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ტვინის ინსტიტუტში. ვიცით, რომ „სხეულს" ახალ კოსტიუმს ჩააცვამენ ხოლმე, იმიტომ, რომ ძველი იმ ქიმიკატებისაგან ლპება, რომლებითაც „უკვდავი ილიჩია" გაჟღენთილი...

„კომუნიზმის გაუქმებიდან" გასული 16 წლის მანძილზე არსებითად შეიცვალა დამოუკიდებულება რევოლუციისა და ბელადების მიმართ. სულ უფრო იშვიათად მოგვყავს ციტატები მაიაკოვსკის პოემიდან „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი". სულ უფრო ხშირად ვიგონებთ დიდ წინასწარმხილველს დოსტოევსკის, რომელმაც პირველმა უწოდა რუს რევოლუციონერებს ქაჯები. დღეს მხოლოდ 10 პროცენტი ფიქრობს, რომ ოქტომბრის რევოლუცია სიკეთე იყო რუსეთისათვის. 38 პროცენტი მასში გაუმართლებელ შეზანზარებებსა და მსხვერპლს ხედავს, ხოლო 42 პროცენტი — ხალხის მძიმე მდგომარეობით პროვოცირებულ ისტორიულ კატასტროფას.

დღეს ჩვენ იმის მიხვედრას ვიწყებთ, რომ არავითარი „განსაკუთრებული დანიშნულების სახელმწიფო" არა ვართ; რომ ისეთივე ვართ, როგორც ყველა და ჩვენი ადგილი ევროპის ხალხთა რიგშია, ოღონდ ევროპულად მუშაობა უნდა ვისწავლოთ. ეგ კია, რომ წარსული ჯერ კიდევ გვებღაუჭება ისტორიული სასაფლაოებიდან. თუმცა, რუსეთელთა უმრავლესობა (56 პროცენტიძ ფიქრობს, რომ დაპირისპირება „წითლებსა" და „თეთრებს" შორის დასრულდა, მაინც მოსახლეობის თითქმის მეოთხედს სჯერა, რომ სამოქალაქო ომი გრძელდება. რფკპ-ის მომხრეთა შორის ასეთი 34 პროცენტია. ამიტომ არ იშლება მეხსიერებიდან ახლახან გარდაცვლილი იური ლევადას სიტყვები: **„რუსეთს ხსნა საკუთარ წარსულისგან სჭირდება".** ალბათ შემთხვევითი არ იყო, ვ. პუტინი რომ გვაფრთხილებდა მიმართვაში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის დღეს: **„ყველას გთხოვთ, რომ თქვენს ადგილზე ყველაფერი გააკეთოთ, რათა არასოდეს და არავის არ გაუჩნდეს უმცირესი სურვილიც წარსულის თუნდაც რაიმე ელემენტების აღდგენისა"...**

ჩვენ სამოცდაათწლიანი „კომუნისტური ქმრიანობა" გამოვიარეთ, მაგრამ განა შეიძლება საკუთარ წარსულთან გაყრაზე განცხადების შეტანა? ალბათ არ შეიძლება, თუმცა ნამყოდან გაკვეთილების მოხმობა საჭიროა. დასაწყისისთვის კი გავერკვეთ მაინც: ჯერ კიდევ ლენინთან ერთად ვწევართ ლოგინში (გაიხსენეთ ანეკდოტი — იყიდება სამადგილიანი საწოლი „ლენინი ჩვენთან"ძ თუ უკვე ვიღაცა სხვასთან...

...და კიდევ, ფიოდორ ტიუტჩევი გაიხსენეთ:

**„ჭკუით ვერ განჭვრეტს, ვერ გაუგებს**
**რუსეთს ვერავინ**
**და ვერც არშინით ვერ გაზომავს**
**ვერსად, ვეროდეს.**
**სხვაა ტანად და ზედ აცვია სულ სხვა**
**პერანგი...**
**რუსეთის მხოლოდ უნდა გჯეროდეს..."**

**ვიაჩესლავ კოსტიკოვი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

№ 29. ხუთშაბათი, 15 თებერვალი, 2007 წელი.



● შვილიშვილისადმი მიძღვნილი ლამაზი, ძლიერი, ხალასი ლექსის დაბეჭდვას რომ ითხოვს, ეს უკვე უფლის ნებით გაცხადებული კიდევ ერთი ზეციური სასწაულია...



⦿ სულთათანა

# „დედაენიდან“ ამოვსხი ანბანსისხამა იები...



**როზა ბერიკაშვილმა, ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა და ტანმოვარჯიშეთა მრავალი თაობის აღმზრდელმა უცნაური რამ მითხრა გუშინ:** ლაშა მესიზმრა წუხელ, ხელში თქვენი გაზეთი ეჭირა და გახარებული მეუბნებოდა, მადლობა გადაეცი მთელს რედაქციას, რომ „საბაქართული“ დაუბეჭდავთ. ეს ლექსი ხშირად უნდა შეახსენო ჩვენ ყმაწვილებს, რომ „დედაენის“ მადლი რომელიმე მათგანს მაინც წაეცხოსო. ლექსი ბოლომდე წამიკითხა (ზუსტად იმ ჩახლეჩილი ხმით, სიკვდილის წინა დღეებში მწერალთა სასახლის ბაღში რომ კითხულობდაძ და გაუჩინარდა...

პოეტის ქვრივს რომ ხშირად ესიზმრება სამიოდე წლის წინათ „დიდ სოფელში“ წაბრძანებული, ყელში ლექსად მოდებული სიმსივნის მეტასტაზებით მიძინებული **ლაშა გახარია,** რა გასაკვირია, მაგრამ... შვილიშვილისადმი მიძღვნილი ლამაზი, ძლიერი, ხალასი ლექსის დაბეჭდვას რომ ითხოვს, ეს უკვე უფლის ნებით გაცხადებული კიდევ ერთი ზეციური სასწაულია...

სიამოვნებით ვასრულებთ ჩვენი უდროოდ ჩაფერფლილი მეგობრის და კოლეგის „თხოვნას“, მით უფრო, რომ 15 თებერვალი ლაშას გარდაცვალების დღეა.

**სპარტაკ ქობულია**

## საბაქართული

შვილიშვილს – საბას

*ეს სიტყვა გულში აყვავდა, ვით გულისაგას ყვავილი,*
*მერმე ხელებში აბალღდა – გულითვე ამოყვანილი.*
*ამირანისძედ ვიოცე, როს ჩავამთვარდი თვალებში,*
*ავდექ და, დედიშობილა, გავფუთნე ცის ფართალებში;*
*ირმის რძე ჩამოვუწველე, არც ხოხბის დამიკლია და*
*ჯავრისქვაც გავაკბეჩიე, როგორც კი დაკბილიანდა!*
*ღვთიშობელს მოვანათლიე – მცხეთას ნადუღი მირონით,*
*ფასკუნჯის ფრთებით ვუჭალე – ლაჟვარდთა სანაპირონი;*
*უსუპის წარბი ვუშვილდე, ვამშიე ფარ-ხმლის ხმარება,*
*დევს რომ უმხარა, გენახათ, იახსრის ახარხარება!..*
*რთველი ვართველე, რა რთველი – ხართვალა, მტევნებგიდელა,*
*ტანთ თუთარჩელა ვურჩიე, ღამე გავხადე – დინდგელა;*
*სამეფო კვართი ვუკვართე, კვერთხიც ვუკურთხე, ისეთი...*
*მთლა შიშით გადაბაბანდა – უკურთხი სამიზგითეთი!*
*გულს გავეწონე: – ეგების, ვადა იწითნოს – ვადამდე!..*
*ორბისფრთით შემოვუთარგე – ნიკოფსით დარუბანდამდე...*
*„დედაენიდან“ ამოვსხი ანბანსისხამა იები,*
*ხან სული მიუნიავა, ხან – წამწამ-ფარფალიები;*
*„სიტყვის კონაც“ რომ გავუშალე... ნეტავი, თავად გეხილათ,*
*ვით ალაღდა და აბაღდა – მაღლარ სიტყვათა ხეხილად!*
*ფარშევანგის ფრთა მოვართვი, ვით ვაკადრებდი – ბატისას.*
*მაფშალიამაც უმღერა, ჭირიმე იმ ნისკარტისა.*
*გულის გრაალით დავლოცე: – მტერიმც გეხილოს ძლეული,*
*ღვთისენად ამოგემხილოს ის... ფარულ-ზოსიმეული!..*
*აწ მართლა უნდა იმეფოს – ვეფხისტყავშემოკვართულმა,*
*დედოფალსიტყვა მოჰგვარეთ, რომ ძეც შვას – საბაქართულმა!*

**ლაშა გახარია**

⦿ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 40 წლის, მაქვს უმაღლესი იურიდიული განათლება; ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში მცირე ხელფასზე. ვინაიდან ჩემი ხელფასი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ჩემი 5-სულიანი ოჯახის მოთხოვნილებას, გადავწყვიტე თავი დავანებო სახელმწიფო სამსახურს და დავიწყო სამეწარმეო საქმიანობა. გთხოვთ, თუ შეიძლება, დაწვრილებით განმიმარტოთ, ვინ შეიძლება იყოს იურიდიული პირი?**

**გია იაკობიშვილი**

**პასუხი:** ბატონო გია, წარმატებებს გისურვებთ თქვენს მომავალ საქმიანობაში და განგიმარტავთ, რომ იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.



იურიდიული პირი შეიძლება იყოს: კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი შექნის, ორგანიზების და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით. სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (სამინისტროები, დეპარტამენტები და ა.შ. ისე, რომ ისინი არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

* * *

**კითხვა: ვარ 39 წლის, 5 თვის წინ გარდამეცვალა მეუღლე, რომელთანაც ვიმყოფებოდი რეგისტრირებულ ქორწინებაში. ამჟამად დამოუკიდებლად ვზრდი 2 მცირეწლოვან შვილს. ეკონომიურად ძალიან გამიჭირდა. ბავშვები მამის დაღუპვის გამო იღებენ მცირე პენსიას, ისიც უფროსს (ვინაიდან 18 წლის ხდება), ამ წლის თებერვალში მოეხსნება. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვითვლები თუ არა მარტოხელა დედად?**

**მარი ხუბულური**

**პასუხი:** კარგად გვესმის თქვენი, მაგრამ ვალდებული ვართ გაცნობოთ, რომ შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით მარტოხელა დედად არ ჩაითვლებით. კანონის თანახმად, მარტოხელა დედად ის ქალი ითვლება, რომელსაც ბავშვის (ან ბავშვებისძ მამასთან რეგისტრირებული ქორწინება არ ჰქონია, არ ცხოვრობდა მასთან ერთ ოჯახად, არ ეწეოდა საერთო მეურნეობას და დაბადების მოწმობაში შვილები გატარებული ჰყავს თავის გვარზე.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

**რეკლამა**
*„საქართველოს რესპუბლიკაში“* **98-96-32; 899 328576**

გახსენება

## ჩვენი ოთარი



**ოთარ ლითანიშვილი...** წლები გადის და სულ უფრო მეტად გვეჩვენება: ერთი კაცი კი არა, რამდენიმე დავკარგეთ მეგობრებმა. ეს გასაგებიცაა. ადრე ითქვა, რენესანსის დროს ცხოვრობდნენ, ალბათ, ოთარ ლითანიშვილისთანა ადამიანები, აღმოსავლური რენესანსის დროს...

ერთი ოთარი – ხელოვანი, განსაკუთრებული მხატვრული ინტუიციით დაჯილდოებული, დიდი ზეიმების რეჟისორი, ძველი თბილისის უბნების რესტავრაციის ინიციატორი.

ოთარი – უშიშარი ვითა უხორცო, ვაჟკაცი ომსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, სიმართლისა და სამართლიანობის დამცველი. ოთარი – გაჭირვების გამზიარებელი, გვერდში ამომდგომი, დამხმარე და მფარველი.

ოთარი – ლხინის მეფე, უბადლო თამადა, კეთილი იუმორის დიდოსტატი, შეუდარებელი მომღერალი და მოცეკვავე. ოთარი – ულამაზესი კაცი, ელეგანტური, შინაგანი არისტოკრატიზმით აღსავსე.

თბილისელის ეტალონი, ქალაქის კოლორიტის უნიკალური მცოდნე, შემნახველი და თავად შემქმნელი. ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა. მიდის ოთარი და თან მიყვება ჩვენი ქალაქი.

ვფიქრობთ, ყოველივემ ამ ოთართაგან თან გაიყოლა არა მარტო ჩვენი, არამედ თბილისის გულის ნაწილი...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოთარ ლითანიშვილი იყო კაცი – ლეგენდა, დიდი ბურჯი, რომელიც ეპოქებს აერთიანებდა. ხშირად გვახსენდება გურამ გომართელის სტრიქონები:

„კაცი ქცეული ლეგენდად, კაცი საჩინო თვალისა,
სუყველას დამპურებელი, არ მიმხედვარე თავისა,
არც ფუნჯი არ დაუფასეს და არც მოქნევა ხმალისა,
ხან იყო ქალაქის მერი, ხან კი დარაჯი ღამისა“.

წარუშლელი კვალი დატოვა ოთარმა სოხუმში მოღვაწეობითა და ცხოვრებით. მას იცნობდნენ და უყვარდათ საქართველოს ფაქტობრივად ყველა კუთხეში, ბევრი მეგობარი და პატივისმცემელი ჰყავდა საზღვარგარეთაც.

ოთარ ლითანიშვილი განისვენებს დიდუბის პანთეონში, მაგრამ არის ჩვენი ოთარისთვის განკუთვნილი მეორე, არანაკლები მნიშვნელობის – ადამიანთა მეხსიერების პანთეონი.

**მეგობრები**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ავტონომიური რესპუბლიკის ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, აფხაზეთის მრეწველობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტროს ყოფილი პირველი მოადგილე, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, ღირსეული მამულიშვილი, აქტიური მოქალაქე

ჯემალ გოგია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნინო გვენეტაძე, დავით სულაქველიძე, მერაბ ტურავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

ზაურ წულაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჯემალ გახოკიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება ბრწყინვალე მამულიშვილის, პროფესორ

ზაურ წულაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

⦿ ინფორმაცია

## რუსთავში ელექტროენერგიას იტაცებენ

**რუსთავში ელექტროენერგიის დატაცების აღკვეთის მიზნით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად ინტენსიური ღონისძიებები გატარდება. ამის შესახებ „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან“ იტყობინებიან.**

ენერგოკომპანიის ქვემო ქართლის ფილიალის ინფორმაციით, აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართულნი არიან რუსთავის შს სამმართველოს საუბნო სამსახურის თანამშრომლები.

მათივე მონაცემებით, ბოლო პერიოდში საკმაოდ გახშირდა ელექტროენერგიის დატაცების ფაქტები, რითაც არა მხოლოდ კომპანია, არამედ კეთილსინდისიერი აბონენტებიც ზარალდებიან.

კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $96^1$-ე მუხლის მიხედვით, ელექტროენერგიის ტრანსპორტირების ან განაწილების ქსელიდან დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, აგრეთვე ელექტროენერგიის მოხმარება მისი აღრიცხვის წესების დარღვევით გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 600 ლარით, იურიდიული პირის და დაწესებულების კი – 5 000 ლარით.

ამასთან, იგივე ქმედების განმეორება ფიზიკური პირის 1 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირის და დაწესებულების 15 000 ლარით დაჯარიმებას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

**განცხადება**

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს „ქინძმარაულის ღვინის ქარხანას“ (მდებარე ქ. თბილისი, მცხეთის ქ. 8-ში, რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რ-ნის სასამართლოს მიერ 22.03. 2002წ. №5/4-3137 საიდენტ. კოდი 204980770ძ ლიკვიდაცია.

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ დაუყოვნებლივ მოგვმართოთ ქ. თბილისი, ატენის ქ. 6/8, ბ.75, ტელ:915 930 (გია).**

**წმინდა მამები გვასწავლიან, რომ არა მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმიდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყოველ მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის საშუალება, — და ეს ხდება ტაძარში აღსარებისა და ზიარების დროს**



**სულიერება**

# მირქმა (მიგებება) მაცხოვრისა



**15 თებერვალს საქართველოს სამოციქულო ეკლესია მირქმას (მიგებებასძ დღესასწაულობს. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ორმოცი დღის რომ შესრულდა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ. წესისამებრ, ახალნამშობიარევ დედას 40 დღე არა აქვს უფლება ტაძარში შესვლისა, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.**

ტაძარში ჩვილით მისულ მარიამს და მართალ იოსებს მიეგება სულიწმიდის მადლით ცხებული სვიმეონი. იგი იყო ერთ-ერთი 70 ებრაელთაგანი (მეცნიერიძ, რომლებსაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნათ ბიბლია. სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა და როცა მიუახლოვდა ადგილს, სადაც წერია: „აჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, ეგონა, რომ წიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს ეშვა ძე. სვიმეონმა ადგილის შეცვლა განიზრახა.

... მოულოდნელად უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ვერ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ ნახავ ქალწულისგან შობილ მაცხოვარს“. 360 წლის იყო სვიმეონი, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ მრავალ ბავშვს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი“.

წმიდა სვიმეონთან ერთად ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის ქვრივი ანა წინასწარმეტყველი, რომელიც მარხვითა და ლოცვით დღედაღამ განუშორებლად მსახურობდა ღვთის სახლში. მრავალ ჩვილს შორის მანაც შეიცნო ძე ღვთისა და ებრაელებს ახარა უფლის განკაცება.

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ არა მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმიდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყოველ მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის საშუალება, — და ეს ხდება ტაძარში აღსარებისა და ზიარების დროს.

უფალი შედის ცოდვილ ადამიანში, რათა განწმინდოს იგი, მაგრამ პიროვნება მზად უნდა იყოს უფლის მისაღებად. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიის წიაღში. ტაძარში იგრძნობს ადამიანი სულიწმიდის მადლის შეხებას და მაცხოვრის სიყვარულისა და მისი ღვთაებრივი მოწყალების ქვეშ ყოფნას.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

**ჯანდაცვა**

## გადაიხადე და გაგიშვებენ

**უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, საერთო სასამართლოების მიერ აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს შეფარდების ფაქტებმა მოიმატა.**

როგორც უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურში განაცხადეს, 2006 წელს გირაო 6 745-ს, ხოლო 2005 წელს 1 352 პირს შეეფარდა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, გირაოს თანხა 2000 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. ზედა ზღვარი კი ჩადენილი დანაშაულისა და ბრალდებულის მატერიალური შესაძლებლობების პროპორციულად განისაზღვრება.

ექსპერტთა და იურისტთა განმარტებით, სასამართლო პრაქტიკაში გირაოს თანხად ხშირად 30 000—50 000 ლარი გამოიყენება. ბრალდებულები თანხას მოსამართლის გადაწყვეტილებით, საქართველოს პროკურატურის ანგარიშზე რიცხავენ.

რაც შეეხება გირაოს თანხის უკან დაბრუნებას გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაში, როგორც პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა ცხვედიაშვილმა განმარტა, პროკურატურას თანხის უკან დაბრუნება არ ეხება და მათ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებიც არ გააჩნიათ.

## წარდგინება ქუთაისის მერიაში

**ქუთაისის მერიაში მუნიციპალიტეტების ახალი თავმჯდომარეები წარადგინეს. ქალაქი 12 ტერიტორიულ ერთეულად არის დაყოფილი.**

ახალი თავმჯდომარეები ქუთაისის მთავრობამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეკომენდაციით შეარჩია. მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეებს ერთი თვის ვადაში პროგრამების წარდგენა დაევალათ.

ქუთაისი 12 მუნიციპალიტეტად 1993 წელს, თემურ შაშიაშვილის მერობის დროს დაიყო.

**ინტერპრესნიუსი**

## აქცია სენაკის გამგეობასთან

**სენაკის გამგეობის შენობასთან პატიმრის ლევან ქარაიას ახლობლების საპროტესტო აქცია იმართება.**

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ლევან ქარაია უკანონო პატიმარია და მის გათავისუფლებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თბილისში ფეხით წასვლას და კანცელარიის წინ საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ.

ლევან ქარაიას ბრალი ედება ყაჩაღურ თავდასხმაში ხობის რაიონში ერთ-ერთ ოჯახზე.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ლარის კურსი**

**15 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3409 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7130 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2257 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0649 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9694 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4796 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4178 ლარი. |

**ანეკდოტები**

— პრეზერვატივები გაქვთ? — კითხულობს ტიპი აფთიაქში.

— რომელი ზომა გნებავთ?

— ზომა? ჰმ, სახაზავი ხომ არ გაქვთ?

* * *

მოხუცი ებრაელი და ახალგაზრდა კაცი მატარებლის კუპეში ერთად მოხვდნენ. დაძინების წინ ახალგაზრდა ეკითხება:

— ხომ ვერ მეტყოდით, რომელი საათია?

მოხუცი ებრაელი, ვითომც არ გაუგიაო, კედლისკენ გადაბრუნდა და დაიძინა. დილით ახალგაზრდა კაცი გაკვირვებული ეკითხება:



— გუშინ რად არ მიპასუხეთ კითხვაზე და არ მითხარით, რომელი საათია?

— იცით რა, — უთხრა ებრაელმა, — მე რომ მეპასუხა თქვენთვის, მეტყოდით, რომ თქვენც ბერდიჩევში მიდიხართ. გაიბმებოდა მასლაათი.

თქვენ კიდევ სასიამოვნო ახალგაზრდა ხართ, სახლში მიგიწვევდით. სახლში კი ულამაზესი გოგო როზა მყავს.

იგი სუფრას გაგვიშლიდა, თვითონაც შემოგვიერთდებოდა მაგიდასთან. თქვენ იგი უთუოდ შეგიყვარდებოდათ და მის ხელს მთხოვდით. მე კიდევ, მითხარით, რაში მჭირდება სიძე, რომელსაც საათიც კი არ აქვს?

* * *

ორმა თაგვმა არყის ბოთლი გააჩალიჩა, მაგრამ მისატანებელი არა აქვთ. გაიქცნენ ყვავთან, პირში ყველის ნაჭრით ხეზე რომ იყო შემომჯდარი.

— ეი, ყვავო, დალევა გინდა?

— კი!

ყველი ჩამოვარდა. თაგვებმა იქეიფეს. მეორე დღესაც იგივე სიტუაციაა:

— ეი, ყვავო, დალევა გინდა?

ყვავი დუმს.

ერთმა თაგვმა არაყი ჩამოასხა და ეკითხება:

— დალევ?

— კი!

ყველი ჩამოვარდა. თაგვებმა იქეიფეს.

მომდევნო დღეს თაგვებმა ისევ მიირჩბინეს ყვავთან:

— ყვავო, დალევ?

ყვავი დუმს.

თაგვმა ჩამოასხა არაყი და ეკითხება:

— დალევ?

ყვავი დუმს.

— ყვავო, შენ რა, გგონია, რომ ისევ მოტყუებას გიპირებთ?

— ჰო-ო-ო-ო!..

* * *

ზოგიერთები მიწისქვეშა გადასასვლელებით სარგებლობენ მხოლოდ უკიდურესი საჭიროებისას, ასევე დიდი და პატარა საჭიროების დროსაც.

**რეკლამა**
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
98-96-32;
899 328576

**კადრი**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.